

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



ნინო შუბითიძე

ფინანსური სტაბილურობის ანალიზის აქტუალობის საკითხები  
სს „საქართველოს ბანკის“ მაგალითზე

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : ასოცირებული პროფესორი  
იზოლდა ჭილაძე

თბილისი

2019

## ანოტაცია

**თემის აქტუალობა.** ეროვნული დანაზოგი ქვეყნის მომავალი კეთილდღეობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია სტაბილურად განვითარებადი საბანკო სისტემა ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. იმისათვის, რომ დანაზოგები ინვესტიციებად გარდაიქმნას, დაზოგვის მსურველმა ფული უნდა მიაწოდოს სესხების მსურველს. აღნიშნული ფუნქცია ფინანსურ ინსტიტუტებს, ჩვენს ქვეყანაში კი უმეტესწილად ბანკებს აკისრიათ. აქედან გამომდინარე, ფინანსური ინსტიტუტების სტაბილურობა, ქვეყნის კეთილდღეობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. ყოველივე აქედან გამომდინარე, ბანკის ფინანსური სტაბილურობის კვლევა ძალიან აქტუალურია.

კვლევის **მიზანს** წარმოადგენს კომერციულ ბანკებში ფინანსური სტაბილურობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხების შესწავლა. კვლევის **საგანია** კომერციული ბანკის ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელთა სისტემა.

კვლევის **ობიექტად** აღებულია სს „საქართველის ბანკი“, საინფორმაციო ბაზად გამოყენებულია მისი 2013-2017 წლების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები. **კვლევის მეთოდოლოგიურ და თეორიულ საფუძველს** წარმოადგენს ეკონომიკური და ფინანსური ანალიზის ხერხები, მეცნიერული აბსტრაქციის, დეტალიზაციის, შედარების, კოეფიციენტების მეთოდები და სხვა. მათ საფუძველზე, საანალიზო ბანკის მაგალითზე შესწავლილია ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლები გაკეთებულია დასკვნები და შემუშავებულია ფინანსური სტაბილურობის შემდგომი განმტკიცების რეკომენდაციები.

# Annotation

Nino Shubitidze

Actuality of Financial Stability Analysis JSC "Bank of Georgia"

National savings are one of the defining factors for the future prosperity of the country. A steadily developing banking system is one of the key factors of economic growth in the country. In order to convert savings into investments, the lender must supply the money to the borrower, this is the function of financial institutions. Consequently, stability of financial institutions is one of the factors that determine the well-being of the country.

The purpose of the research is to determine the main directions of financial stability in commercial banks, to study theoretical, methodological and practical issues of financial analysis of the bank. The subject of the research is the relevance of financial stability analysis in commercial banks.

The object of the research is JSC "Bank of Georgia", for analysis we used BOG 2013-2017 Financial statements. Methodological and theoretical basis of research is the method of economic and financial analysis, scientific abstraction, detailing, comparison, coefficients method, etc. In the process of research we analyzed and discussed different financial coefficients. Different components of financial statements are characterized by the same values and the reasons of difference.

Financial analysis, financial indexes and many other coefficients show that the company has a solid, stable, growing financial statement and does not face any financial difficulties in the near future.

# სარჩევი

ანოტაცია .....	1
შესავალი .....	4
თავი 1. ფინანსური ანგარიშგება, როგორც ფინანსური სტაბილურობის ანალიზის ინფორმაციული წყარო.....	6
1.1 საწარმოთა საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიზანი, ხარისხობრივი მახასიათებლები და მომხმარებლები .....	6
1.2 საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და მათი როლი ანალიზში .....	17
თავი 2. ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტების ანალიზის შედეგები საანალიზო ბანკის მაგალითზე.....	36
2.1 ბალანსის აქტივების ხარისხის ანალიზი .....	36
2.2 ბალანსის პასივების ხარისხის ანალიზი.....	51
თავი 3. ფინანსური შედეგების ანალიზი საანალიზო ბანკის მაგალითზე.....	60
3.1 შემოსავლების ანალიზის შედეგები.....	60
3.2 ხარჯების ანალიზის შედეგები .....	67
3.3 მოგების ფაქტორული ანალიზის შედეგები.....	77
დასკვნა.....	89
გამოყენებული ლიტერატურა .....	94
დანართი.....	96

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ვერ განხორციელდებოდა საბანკო სისტემის ცენტრალიზებული მართვიდან საბაზრო სისტემაზე გადაყვანის გარეშე. კომერციულ საწყისებზე წარმოშობილ საწარმოო, სავაჭრო თუ მომსახურების ეკონომიკურ სუბიექტებს ესაჭიროებოდათ იმავე პრინციპებზე მომუშავე საკრედიტო დაწესებულებები ანუ მათ პარტნიორებად სჭირდებოდათ დამოუკიდებელი კომერციული ბანკები, რომელთა საქმიანობა დაფუძნებული იქნებოდა ორ მთავარ ფაქტორზე - რისკსა და მომგებიანობაზე. თანამედროვე კომერციული საბანკო სისტემა ესაა მრავალფეროვანი მომსახურების ფართო სპექტრი, დაწყებული ტრადიციული საშემნახველო - სასესხო, საანგარიშწორებო-საკასო ოპერაციებიდან დამთავრებული ფულადი-საკრედიტო და ფინანსური ინსტრუმენტებით. დღეს, კომერციული ბანკები დაკავებულები არიან მეტად მრავალფეროვანი ოპერაციებით. ისინი ორგანიზებას უწევენ ფულად მიმოქცევას, მათი მეშვეობით ხდება ეკონომიკისა და მისი სუბიექტების დაკრედიტება, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, საკონსულტაციო, სადაზღვევო, სალიზინგო მომსახურება და აშ. საბანკო სისტემის პრაქტიკული როლი განისაზღვრება იმით, რომ იგი წარმართავს ქვეყნის გადახდისუნარიანობას, ახდენს მოსახლეობის დანაზოგების, თავისუფალი კაპიტალის გადანაწილებას ეკონომიკის სხვა სუბიექტებზე. ბანკი როგორც ფინანსური შუამავალი ქვეყნის ეკონომიკას უფრო მობილურს ხდის.

სამაგისტრო კვლევის მიზანს წარმოადგენს კომერციულ ბანკებში ფინანსური სტაბილურობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხების შესწავლა.

სამაგისტრო კვლევის საგანია კომერციული ბანკის ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელთა სისტემა.

კვლევის ობიექტად შერჩეული იქნა საქართველოს საბანკო სექტორში ერთ-ერთი ძლიერი ბანკი სს „საქართველოს ბანკი“. სს „საქართველოს ბანკი“ დაფუძნდა 1994 წლის 21 ოქტომბერს, სააქციო საზოგადოების სახით საქართველოს კანონმდებლობის

შესაბამისად. იგი იღებს დეპოზიტებს საზოგადოებისაგან და გასცემს კრედიტებს . ახორციელებს გადარიცხვებს , როგორც საქართველოს ფარგლებში ისე მის ფარგლებს გარეთ. ბანკი ემსახურება 2.3 მილიონ მომხმარებელს, აქვს საქართველოში სერვისცენტრების ერთ–ერთი ყველაზე ფართო ქსელი.<sup>1</sup> იგი იღებს დეპოზიტებს საზოგადოებისაგან და გასცემს კრედიტებს. BGEO Group PLC არის ინგლისისა და უელსის დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია და წარმოადგენს ბანკის მთავარ მშობელ კომპანიას. მისი აქციები სავაჭროდ დაშვებულია გაერთიანებული სამეფოს ლისტინგის სამმართველოს ოფიციალური ჩამონათვალის პრემიუმ სეგმენტში და დაშვებულია სავაჭროდ ლონდონის საფონდო ბირჟაზე. ბანკმა დაასრულა სამართლებრივი რესტრუქტურირება 2015 წლის აგვისტოში . შედეგად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნდა ახალი ჰოლდინგური კომპანია BGEO Group PLC.

**კვლევის მეთოდოლოგიურ და თეორიულ საფუძველს** წარმოადგენს ეკონომიკური და ფინანსური ანალიზის ხერხები, მეცნიერული აბსტრაქციის, დეტალიზაციის, შედარების, კოეფიციენტების მეთოდები და სხვა.

ნაშრომის დასკვნაში გადმოცემულია ანალიზის შედეგები, საანალიზო ბანკის სტაბილურობის შემდგომი განვითარების რეკომენდაციები.

---

<sup>1</sup> <https://bankofgeorgia.ge/>

# თავი 1. ფინანსური ანგარიშგება, როგორც ფინანსური სტაბილურობის ანალიზის ინფორმაციული წყარო

## 1.1 საწარმოთა საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიზანი, ხარისხობრივი მახასიათებლები და მომხმარებლები

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის მოთხოვნებით, ყველა საწარმო (იურიდიული პირი) ვალდებულია ჰქონდეს მოწესრიგებული ბუღალტერია და გამოაქვეყნოს წლიური ფინანსური ანგარიშგება. თანამედროვე ეპოქაში მოქმედი ვერცერთი სუბიექტი ერთმანეთისაგან იზოლირებულად ვერ იმუშავებს, რადგან მათ უამრავი სახის საფინანსო-ეკონომიკური კავშირები სჭირდებათ ერთმანეთთან.

ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. ანგარიშგების მიზანია საწარმოს საქმიანობის შედეგების, ფინანსური მდგომარეობისა და მისი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელთა ფართო ფენას და დაეხმაროს მათ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ინფორმაცია საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების, მოგებისა და ზარალის, საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობის, სააღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა დამატებითი მაჩვენებლების შესახებ. საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის განკარგულებაში არსებული ეკონომიკური რესურსები, მისი სტრუქტურა, ლიკვიდურობა და საწარმოს გადამხდელუნარიანობა. ასეთი ინფორმაცია საშუალებას იძლევა განისაზღვროს საწარმოს მიერ მომავალში ფულისა და ფულადი ეკვივალენტების მიღების უნარი. ინფორმაცია ფინანსური სტრუქტურის შესახებ საშუალებას იძლევა დადგინდეს სესხებზე მიმდინარე მოთხოვნა მფლობელთა შორის მომავალი მოგებისა და ფულადი სახსრების განაწილების წესი. ფინანსური მდგომარეობის ცვლილების შესახებ ინფორმაცია აუცილებელია საინვესტიციო, ფინანსური და სამეურნეო საქმიანობის შესაფასებლად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას ანუ ბუღალტრულ ბალანსს, სრული შემოსავლების (მოგებისა და ზარალის) ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ბუღალტრულ ბალანსშია ასახული. სრული შემოსავლების ანგარიშგება კი მოიცავს ინფორმაციას საწარმოს საქმიანობის ეფექტურობის შესახებ. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებები შესაბამისად, ასახულია ანგარიშგებაში კაპიტალის მოძრაობის შესახებ. ცალკეული ანგარიშგებები დანარჩენებისაგან განსხვავებულ ინფორმაციას მოიცავენ, მაგრამ დამოუკიდებლად ვერც ერთი მათგანი ვერ იძლევა მომხმარებელთა კონკრეტული საინფორმაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებას. ისინი ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციების სხვადასხვა ასპექტს წარმოადგენენ და ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებიან.

2014 წლიდან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების(ფასს) კონცეპტუალურ საფუძვლებში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები დაჯგუფებულია ორ კატეგორიად:

ძირითადი მომხმარებლები – ინვესტორები, გამსესხებლები და სხვა კრედიტორები, კომერციული ბანკების შემთხვევაში - ეროვნული ბანკი, სწორედ მათ საინფორმაციო მოთხოვნილებებზეა ორიენტირებული საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება.

დანარჩენი მომხმარებლები - ესენია, საწარმოს მმართველობა და საზოგადოება.

ფინანსური ანგარიშგებების ტრადიციულ მომხმარებლებად გარე მომხმარებლები ითვლებიან, ანალიზური ანგარიშგებები გამოიყენება საწარმოს ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის მიერ. ამ უკანასკნელის შინაარსი შეიძლება იცვლებოდეს მათი მიზნობრივი დანიშნულებისა და ხელმძღვანელის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები დაყოფილია ორ ჯგუფად:

- ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები

- შესაბამისობა (Relevance)



- სამართლიანი წარდგენა (Faithful Representation)

- ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ამაღლებენ ფინანსური ანგარიშგების სარგებლიანობას;
  - შესადარისობა (comparability)
  - შემოწმებადობა (verifiability)
  - დროულობა (timeliness)
  - აღქმადობა (understandability)

ფინანსური ანგარიშგება, საწარმოში მომხდარი ეკონომიკური მოვლენების შესახებ, წარმოდგენას გვიქმნის სიტყვებისა და ციფრების მეშვეობით. ეს ინფორმაცია სასარგებლო რომ იყოს, იგი სამართლიანად უნდა წარმოადგენდეს ამ ინფორმაციას. სამართლიანი წადგენა არა სამართლებრივ ფორმებს, არამედ ეკონომიკურ შინაარსს გულისხმობს. ამრიგად, სასარგებლო ინფორმაცია უნდა იყოს როგორც შესაბამისი, ასევე სამართლიანად წარმოდგენილი ანუ ობიექტური.

ხარისხობრივი მახასიათებლების მეორე ჯგუფს, რომელიც ამაღლებს ინფორმაციის სარგებლიანობას, როგორც უკვე ვაჩვენეთ, მიეკუთვნება: შესადარისობა, შემოწმებადობა, დროულობა და აღქმადობა. გადაწყვეტილებების მიღება, როგორც წესი, რამდენიმე ალტერნატივიდან არჩევანის გაკეთებასთანაა დაკავშირებული. ამ მიზნით, უფრო სასარგებლოა, თუ საწარმოს ინფორმაციის შედარება შესაძლებელია სხვა საწარმოს ანალოგიურ ინფორმაციასთან. პოტენციური ინვესტორებისათვის სასარგებლოა სხვადასხვა საწარმოს მაჩვენებლების შედარება, რათა გადაწყვიტოს, რომელ საწარმოში უფრო მომგებიანია ინვესტიციის ჩადება. შესადარისობა ნიშნავს სხვადასხვა საწარმოს მიერ ან ერთი საწარმოს მიერ სხვადასხვა პერიოდში, ერთი და იმავე მუხლების მიმართ ერთი და იმავე მეთოდების გამოყენებას. ინფორმაციის შემოწმებადობა ეხმარება მომხმარებელს დაადგინოს, რომ ინფორმაცია სამართლიანადაა წარდგენილი. ფინანსური ანგარიშგება მზადდება ისეთი მომხმარებლებისათვის, რომელსაც გააჩნიათ ბიზნესისა და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ საკმარისი ცოდნა და ამ ინფორმაციის ანალიზის უნარი. მხოლოდ მარტივი ინფორმაციის წარდგენა ანგარიშგებას არასრულყოფილს გახდის, რომელმაც მისი მომხმარებელი შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ყველა ხარისხობრივი მახასიათებელი ერთმანეთის ტოლფასია და მათი გამიჯვნა პირობითია. მაგრამ, ბასს-ის საბჭო არ დაეთანხმა ამ აზრს და თვლის, რომ ორი ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლის – შესაბამისობისა და სამართლიანი წარდგენის გარეშე ფინანსური ინფორმაცია ვერ იქნება სასარგებლო და ვერც იმით გახდება სასარგებლო, თუ იქნება მხოლოდ უფრო შესადარისი, შემოწმებადი, დროული ან აღქმადი. კონცეპტუალური საფუძვლების “დასკვნის საფუძვლებში” აგრეთვე აღნიშნულია, რომ განხილვის პროცესში საბჭოს სთავაზობდნენ სხვა მახასიათებლების შემოღებასაც, როგორცაა: გამჭვირვალობა, მაღალი ხარისხი, შინაგანი თავსებადობა, უტყუარობა და სამართლიანობა, სიმარტივე, ოპერატიულობა და სხვა. მაგრამ საბჭომ დაასკვნა, რომ ყველა ეს ღირებულებები სიტყვებია, რომლებიც გაუმჯობესებელია შესაბამისობით, სამართლიანი წარდგენით, შესადარისობით, შემოწმებადობით, დროულობით და აღქმადობით.<sup>2</sup>

ზუსტი აღრიცხვის გარეშე წარმოუდგენელია ამა თუ იმ ბიზნესსაქმიანობის, მით უმეტეს ისეთი რთული ორგანიზაციის მართვა და საქმიანობის ადეკვატურად შეფასება როგორც კომერციული ბანკია. საბანკო ბუღალტერიას , საქმე აქვს ბიზნესის მონაცემებთან, კონტრაგენტების ფულადი დანახარჯების აღრიცხვასთან , საგადასახადო და სააღრიცხვო დოკუმენტებში ამ ციფრების დაფიქსირებასთან. საბუღალტრო აღრიცხვა კომერციულ ბანკებში ესაა ინფორმაციული ნაკადები ფულადი სახსრების, ქონების, კრედიტების, შემოსავლების, ხარჯებისა და ფინანსური შედეგების შესახებ, რომელთა მიზანს წარმოადგენს ბანკის საქმიანობის მართვა, კონტროლი, ანალიზი, შეფასება და დაგეგმვა. თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე საბანკო ბუღალტერია ხასიათდება ოპერატიულობით და ფორმების ერთიანობით. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ ყველა ოპერაცია, რომელიც ხორციელდება საოპერაციო დღის განმავლობაში უნდა აისახოს კლიენტების შესაბამის ანგარიშებზე იმავე დღეს და მათი გაკონტორლება ხდება ბანკის ყოველდღიური ბალანსის ფორმებით. ბანკს შეუძლია ანგარიშების მიხედვით გასცეს ამონაწერები. საჭიროების შემთხვევაში, კლიენტის მოთხოვნისთანავე ბანკს შეუძლია გასცეს ამონაწერი ნებისმიერი პერიოდის ოპერაციების შესახებ.

---

<sup>2</sup> ქილაძე ი. - „ფინანსური ანალიზი“, თბ. 2018 წელი , გვ 66-74

ბანკები, აგრეთვე მათი შვილობილი ორგანიზაციები სისტემატურად აწარმოებენ ანგარიშებსა და ჩანაწერებს, ადგენენ წლიურ საფინანსო ანგარიშგებას, რომლებიც საერთაშორისო საბუღალტრო მეთოდების საფუძველზე ზუსტად ასახავს მათ ოპერაციებს და ფინანსურ მდგომარეობას. ამასთანავე, ისინი იცავენ ეროვნული ბანკის წესების შესაბამის ფორმას, დეტალურობის დონეს და სააღრიცხვო ნორმებს. ბანკების ანგარიშები, ჩანაწერები და საფინანსო ანგარიშგება კრებისით საფუძველზე ასახავს მათი შვილობილი ორგანიზაციების ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობას.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების კომერციული ბანკების საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპები ემყარება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს). ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპებია :

**უწყვეტობის პრინციპი** - იგი გულისხმობს დაშვებას, რომ კომერციული ბანკი უწყვეტად გააგრძელებს თავის საქმიანობას მომავალში და დღეისათვის არ არსებობს მისი საქმიანობის შეწყვეტის არანაირი წინაპირობა.

**შემოსავლებისა და ხარჯების დარიცხვის მეთოდი** - საქართველოს ბიზნესსტრუქტურებიდან კომერციული ბანკები პირველები გადავიდნენ შემოსავლებისა და ხარჯების დარიცხვის მეთოდზე. ეს მეთოდი გულისხმობს შემოსავლებისა და ხარჯების გადანაწილებას იმ პერიოდზე, რომელსაც იგი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა თანხები უკვე შემოსულია თუ გასულია ან მოსალოდნელია მისი მომავალში მიღება (გასვლა).

**ფორმასთან შედარებით შინაარსის უპირატესობის პრინციპი** - ამ პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ განხორციელებული ოპერაციების ასახვა ბუღალტრულ აღრიცხვაში უნა მოხდეს მათი ეკონომიკური შინაარსის და არა იურიდიული ფორმის მიხედვით.

**აქტივებისა და პასივების ცალ-ცალკე განხილვის პრინციპი** - კომერციული ბანკის ბალანსში უნდა არსებოდეს ან მხოლოდ აქტიური ან მხოლოდ პასიური ანგარიშები აქვერ შევხედებით აქტიურ-პასიურ ანგარიშებს.

**გამოსაყენებელი მეთოდის მუდმივობის პრინციპი** - ეს პრინციპი გულისხმობს იმას, რომ კომერციული ბანკი უნდა ხელმძღვანელობდეს აღრიცხვის ერთი და იმავე წესებით, იგი არ უნდა ცვლიდეს მიდგომას ცალკეული საკითხების შეფასებისადმი.

**აღრიცხვაში ოპერაციების ორმაგი ასახვის პრინციპი** - იგი გულისხმობს, იმას რომ სახსრების ნებისმიერი მოძრაობა უნდა აისახოს მინიმუმ ორ ანგარიშზე, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი საერთო ბალანსი.

**საწყისი ბალანსის მონაცემების შემკვიდრეობითობის პრინციპი** - საბალანსო და ბალანსგარეშე ანგარიშებზე მიმდინარე დღის შემომავალი, საწყისი ნაშთები უნდა შეესაბამებდეს ნაშთებს წინა დღის ბოლოსათვის.

**აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანად აღრიცხვის პრინციპი** - აქტივები თავდაპირველად აღრიცხება მათი პირვანდელი ღირებულებით, ხოლო შემდეგ ხდება მათი შეფასება მიმდინარე საბაზრო ღირებულებით, რისთვისაც გამოიყენება სხვადასხვა მაკორექტირებელი (გადაფასების ) ანგარიშები. რაც შეეხება ვალდებულებებს, მათი ასახვა ხდება ხელშეკრულების პირობების თანახმად. ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს მათი გადაფასებაც.

**ოპერაციათა თავისდროული აღრიცხვის პრინციპი** - ბანკში ოპერაციები ბუღალტრულად გატარებული უნდა იქნეს მათი შესრულებისა და სრული დოკუმენტაციის მიღებისთანავე.

ფინანსური აღრიცხვა საბანკო ოპერაციების ჩაწერის, შეფასებისა და ფინანსურ ანგარიშგებაში განზოგადების საშუალებას იძლევა. მისთვის დამახასიათებელია მომხმარებლისათვის ინფორმაციის მომზადება, ბუღალტური აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპებისა და ნორმების სავალდებულო დაცვა, ოპერაციების ფულად საზომ ერთეულებში გამოსახვა, ანგარიშგების მომზადების პერიოდულობის დაცვა, ობიექტურობა და სიზუსტე. მისი მომზადება გარე მომხმარებლისათვის ხდება უნიფიცირებული ფორმების მიხედვით.

საფინანსო სექტორის გამჭვირვალობისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს კომერციული ბანკებისა და საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლების ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგებები წარმოადგენს. ბანკები და მათი შვილობილი კომპანიები სისტემატიურად აწარმოებენ ანგარიშებს, ჩანაწერებს და ადგენენ წლიურ საფინანსო ანგარიშგებას, რომლებიც საერთაშორისო საბუღალტრო მეთოდების საფუძველზე ზუსტად ასახავს მათ ოპერაციებს და ფინანსურ მდგომარეობას. ამასთან იცავენ საქართველოს ეროვნული ბანკის წესების შესაბამის ფორმას, დეტალურობის

დონეს და სააღრიცხვო ნორმებს. ბანკების ანგარიშები, ჩანაწერები და საფინანსო ანგარიშგება კრებსით საფუძველზე ასახავს მათი შვილობილი ორგანიზაციების ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობას. აღნიშნული ანგარიშგებები მზადდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ხასიათდება პერიოდული განახლებებით.

ფინანსური ანგარიშგება საფინანსო-სააღრიცხვო პროცესის შემადგენელი ნაწილია. იგი შეიძლება შეიცავდეს ცხრილურ დანართებს და სხვა ინფორმაციას, რომელიც ემყარება ფინანსურ ანგარიშგებას ან გამომდინარეობს მისგან და განიხილება მასთან ერთად, მთლიანობაში. ანგარიშგებაში შეიძლება აღწერილი იყოს ის რისკები და განუსაზღვრელი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ლიკვიდურობასა<sup>3</sup> და გადახდისუნარიანობაზე<sup>4</sup>.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საფუძველად უდევს შემდეგი ძირითადი დაშვება : ფუნქციონირებადი საწარმო.

ფუნქციონირებადი საწარმო ანუ წარმოების უწყვეტობის პრინციპი გულისხმობს, რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას გააგრძელებს საპროგნოზო მომავალშიც ანუ კომპანია არ აპირებს და არ ითვალისწინებს ლიკვიდაციას. ასეთ შემთხვევაში ანგარიშგება მომზადდება სხვა საფუძველზე, რაც აღწერილი იქნება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

ადრე ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საფუძველას ედო ორი ძირითადი დაშვება : დარიცხვის პრინციფი და ფუნქციონირებადი საწარმო .

დარიცხვის პრინციპის თანახმად, სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს. ამასთან, ფინანსური ანგარიშგება მომხმარებელს გააცნობს არა მხოლოდ წარსულ სამეურნეო ოპერაციებს, რომლებიც

---

<sup>3</sup> ლიკვიდურობა ნიშნავს ახლო მომავალში საწარმოს ფულადი საშუალებების არსებობას მიმდინარე პერიოდის ფულადი ვალდებულებების გათვალისწინების შემდეგ.

<sup>4</sup> გადახდისუნარიანობა - ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ფინანსური ვალდებულებების

შესასრულებლად. .

მოიცავს ფულადი საშუალებების გადახდას და მიღებას, არამედ მომავალში გასანადღებელ ვალდებულებებსა და მომავალი პერიოდის მოთხოვნებსაც.<sup>5</sup>

ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან ერთად, კომერციული ბანკები აქვეყნებენ პილარ 3-ის კვარტალურ და წლიურ ანგარიშგებებს, "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის" მიხედვით. აღნიშნული ანგარიშგებები ბაზრის მონაწილეებისთვის ხელმისაწვდომს ხდის ძირითად ინფორმაციას ბანკის წინაშე არსებული რისკების, საზედამხედველო კაპიტალის ელემენტების, კორპორაციული და რისკების მართვის შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის N 92/04 ბრძანებით დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის" მიხედვით, კომერციული ბანკები ვალდებული არიან გაამჟღავნონ რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებული საზედამხედველო კაპიტალის ელემენტების, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების, უმაღლესი მენეჯმენტის ანაზღაურებისა და სხვა მატერიალური საკითხების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნების წესი ასევე მოიცავს კორპორაციული და რისკების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც, თავის მხრივ, ევროკავშირის შესაბამისი დირექტივის გამჭვირვალობის პრინციპებს ეფუძნება. ზემოთხსენებული ანგარიშის მიზანია ხელი შეუწყოს საბაზრო დისციპლინის გაძლიერებას. გამჟღავნების მოთხოვნები ბაზრის მონაწილეებისთვის ხელმისაწვდომს ხდის კომერციული ბანკის ძირითად ინფორმაციას, რაც განაპირობებს ბანკის წინაშე არსებული რისკებისა და საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ გამჭვირვალობის ზრდასა და ნდობის ამაღლებას. პილარ - 3 ში გაცხადებული ინფორმაცია შეიცავს მონაცემებს : ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალის, საზედამხედველო კაპიტალის და მათი კოეფიციენტების შესახებ. ანგარიშგებაში ასევე წარმოდგენილია საბალანსო უწყისი, ბალანსგარეშე ანგარიშის უწყისი, რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები, ინფორმაცია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს შესახებ და მათ შორის კავშირები. აღნიშნული წესის მიხედვით,

---

<sup>5</sup> ახალი ცვლილებებით, მხოლოდ ფუნქციონირებადი საწარმო დარჩა, როგორც ძირითადი დაშვება. დარიცხვის პრინციპი აღარაა ძირითადი დაშვება. იგი განიხილება როგორც ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი.

პილარ 3-ის ფარგლებში დადგენილი გამყლავნების ფორმები ექვემდებარება ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებას.<sup>6</sup>

ქართული ბანკების როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის, ისე კომერციული ბანკების ბალანსი დგება, უნიფიცირებული სისტემის მიხედვით „საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმისა და მისი გამოყენების ინსტრუქციის „შესაბამისად. აღნიშნული ანგარიშთა გეგმა შემუშავებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და აღრიცხვის ძირითადი პრინციპების მოთხოვნათა გათვალისწინებით. იგი საშუალებას იძლევა, განხორციელდეს საბანკო ოპერაციების დეტალური, სრული აღრიცხვა და მომხმარებელმა დროულად მიიღოს რეალური ინფორმაცია.

ანგარიშების აღსანიშნავად გამოყენებულია ოთხნიშნა ციფრული კოდი და იერარქიული სტრუქტურა. პირველი ორი თანრიგი განსაზღვრავს „კლასს“, მესამე თანრიგით განისაზღვრება „ჯგუფი“, ხოლო მეოთხე თანრიგით ჯგუფის შიგნით ცალკეული „ანგარიშები“.

კლასის ორნიშნა თანრიგის პირველი ციფრით აღინიშნება: 1-2-აქტივები; 3-4 ვალდებულებები; 5 საკუთარი კაპიტალი; 6-7 შემოსავლები ; 8-9 ხარჯები; 0 ბალანსგარეშე ანგარიშები.

კომერციული ბანკების ანგარიშების მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ აგებულია ანგარიშების ლიკვიდურობის წყობის პრინციპით. მთლიანად არის გამიჯნული აქტიური ანგარიშები პასიური ანგარიშებისაგან და პირიქით.

ბანკების ფინანსური ანგარიშგება სტრუქტურულად არსებითად არ განსხვავდება დანარჩენი დარგების საწარმოების ანგარიშგებისგან, ძირითად განსხვავებას ვხდებით ანგარიშგების ქვეკალსიფიკაციაში. კომერციული ბანკების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ბანკის როგორც ფინანსური შუამავლის შემოსავალს წარმოადგენს გაცემული სესხებიდან შემომავალი საპროცენტო სარგებელი . ეს სარგებელი განიხილება როგორც აღებული სესხით სარგებლობის საფასური. სწორედ

<sup>6</sup> <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=669> - საქართველოს ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკების ფინანსური გამჭვირვალობა.

ამიტომ საპროცენტო განაკვეთი საბანკო საქმიანობაში მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტრუმენტია.

საქართველოს კომერციული ბანკები ფუნქციონირებენ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიების საფუძველზე და ახორციელებენ საბანკო ოპერაციებს, რომლებიც იყოფა პასიურ და აქტიურ ოპერაციებად. ბანკების რესურსების ფორმირებასთან დაკავშირებული ოპერაციები მიეკუთვნება პასიურს. კომერციული ბანკების რესურსები ფორმირდება საკუთარი, მოზიდული და ემიტირებული სახსრების ხარჯზე. საკუთარ სახსრებს განეკუთვნება აქციონერული, სარეზერვო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება. მოზიდული სახსრები შეადგენენ კომერციული ბანკების რესურსების ძირითად ნაწილს. ესაა დეპოზიტები, აგრეთვე, კონტროკორენტული და საკორესპონდენტო ანგარიშები. არსებობს ბანკების ემიტირებული სახსრები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საკმარისად ხანგრძლივი პერიოდით. ასეთ სახსრებს განეკუთვნება ობლიგაციური სესხები, საბანკო ვექსილები და სხვა. საბანკო რესურსების განთავსებასთან დაკავშირებული ოპერაციები განეკუთვნება ბანკების აქტიურ ოპერაციებს.<sup>7</sup>

2018 წლის მაისში მომხმარებელთა ინტერესების დაცვის და კომერციულ ბანკებში ჯანსაღი საკრედიტო პორტფელის ხელშეწყობის მიზნებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით ძალაში შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, ბანკებს მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე სესხების გაცემა ეზღუდება. შემოსავლის დადასტურების გარეშე საცალო სესხების გაცემის მოტივაციის შემცირება ხელს შეუწყობს საკრედიტო სტანდარტების გაუმჯობესებას საბანკო სექტორში, კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელების ხარისხის გაუმჯობესებას და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საკრედიტო ურთიერთობების წახალისებას. მსესხებლის გადამხდელუნარიანობის შეფასების მოთხოვნა განსაზღვრულია ევროკავშირში მოქმედი დირექტივით. ახალი რეგულაციებით სესხებზე ხელმისაწვდომობა მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილისთვის მცირდება. შესაბამისად შემცირდება ბანკის მიერ გაცემული სესხების რაოდენობაც, რაც თავის მხრივ არასახარბიელო სიტუაციას შექმნის საფინანსო და

---

<sup>7</sup> ი. კოვზანაძე, გ. კონტრიძე - „თანამედროვე საბანკო საქმე : თეორია და პრაქტიკა“



ეკონომიკურ სფეროში. მოსალოდნელია, რომ კომერციული ბანკების შემოსავლები მნიშვნელოვნად შემცირდება. რადგან შემოსავლების დადასტურების გარეშე სესხად გაცემული თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს. ვფიქრობ, რომ უფრო გონივრული იქნებოდა ამგვარი რეგულაციები ძალაში ეტაპობრივად შესულიყო, რათა მიზნობრივი სექტორი მომზადებული შეხვედროდა მას.

საქართველოს კომერციული ბანკებისათვის ოპერაციების შედარებით ახალ სახეობას წარმოადგენს სალიზინგო ოპერაციები. აღსანიშნავია, რომ სალიზინგო ოპერაციებმა ფართო განვითარება ჰპოვა განვითარებულ ქვეყნებში, რომელთა გამოცდილება მეტად სასარგებლოა ჩვენი ქვეყნისათვის. ამასთან, მათ საქართველოში აქვთ შეზღუდული ხასიათი, რაც განპირობებულია ინფლაციით, ბანკებისათვის მსხვილი საკრედიტო რესურსების არარსებობით, სალიზინგო ოპერაციების სამართლებრივი ბაზის არასაკმარისი დამუშავებით. საქართველოში სალიზინგო მომსახურებას მხოლოდ რამდენიმე კომერციული ბანკს აქვს, მათ შორის ბაზრის ძირითადი მოთამაშეები საქართველოს ბანკი და თიბისი ბანკია.

ბანკმა ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი უნდა გამოაქვეყნოს ყოველწლიურად, წელიწადში ერთხელ. თუ იგი ცვლის პერიოდს წელზე მეტი ან ნაკლები ვადით, განმარტების შენიშვნებში უნდა მიუთითოს რატომ გამოიყენა ერთ წელიწადზე განსხვავებული პერიოდი. თუ ხდება შესადარისი თანხის რეკლასიფიკაცია, მაშინ განმარტებით შენიშვნებში უნდა იქნას ახსნილი რეკლასიფიკაციის ხასიათი, თითოეული მუხლის თანხა, რომლის რეკლასიფიკაცია მოხდა და უნდა მიუთითოს რეკლასიფიკაციის მიზეზი. ბანკმა ფინანსურ ანგარიშგებაში საჭიროა ასახოს შესადარისი ინფორმაცია სულ მცირე ორი საანგარიშგებო პერიოდისათვის. ეს ინფორმაციის მომხმარებელს საშუალებას აძლევს შეისწავლოს ტენდენციები და მოახდინოს პროგნოზირება.

## 1.2 საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და მათი როლი ანალიზში

ბუღალტრული ბალანსი როგორ უკვე ითქვა, ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი კომპონენტია. მასში მოცემულია ინფორმაცია აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის შემადგენლობის შესახებ, პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის. ბუღალტრულ ბალანსში ასახულია კაპიტალის ფინანსური შენარჩუნების კონცეფცია. რომლის თანახმადაც საწარმოს მიერ მოგების აღიარება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც წმინდა აქტივების ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღემატება წმინდა აქტივების ფულად ღირებულებას საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის, რომელიც რჩება მოცემულ პერიოდში საკუთარი კაპიტალის ყველანაირი გადანაწილებისა და მესაკუთრეთა მიერ განხორციელებული ყოველგვარი დამატებითი შენატანების გამოქვითვის შემდეგ. კაპიტალის ფინანსური შენარჩუნება იზომება ნომინალურ ფულად ერთეულებში ან მუდმივი მსყიდველობითუნარიანობით. ბუღალტრულ ბალანსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები აგრეთვე „ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას“ უწოდებს. მისი მომზადება ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის – ფულადი შეფასების პრინციპის საფუძველზე ხდება. ამ პრინციპის გათვალისწინებით, ბალანსში აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი ეროვნულ ვალუტით აისახება. ბუღალტრული ბალანსი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის მზადდება. ჩვეულებრივ, საანგარიშგებო პერიოდად სრული 12 თვე (წელი) იგულისხმება.

სხვადასხვა სამართლებრივი ტიპის საწარმოთა ბუღალტრული ბალანსები ერთმანეთისაგან, ძირითადად საკუთარი კაპიტალის სტრუქტურით განსხვავდებიან. გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების სამართლებრივი ფორმა სააქციო საზოგადოებაა მათი საკუთარი კაპიტალი შედგება : სააქციო, საემისიო, სარეზერვო კაპიტალისაგან და გაუნაწილებელი მოგებისაგან.

რომელი ტიპის სამართლებრივი საწარმოს ბალანსიც არ უნდა იყოს, ყოველთვის იგი ეყრდნობა შემდეგ ტოლობას, რომელიც საბალანსო ტოლობითაა ცნობილი:

$$\text{აქტივი} = \text{საკუთარი კაპიტალი} + \text{ვალდებულებები}$$

აქტივებისა და საკუთარი კაპიტალის ყველაზე რთული და სრული სტრუქტურა სააქციო საზოგადოებებს გააჩნიათ. კომერციული ბანკის ბანსში აქტივები მოიცავს ისეთ მუხლებს როგორცაა : ფული და ფულის ეკვივალენტები, საკრედიტო დაწესებულებების მოთხოვნები,გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, კლიენტებზე გაცემული სესხები, მოთხოვნები ფინანსურ იჯარაზე, საინვესტიციო ქონება, გუდვილი, არამატერიალური აქტივები გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და სხვა. რაც შეეხება ვალდებულებებს, ბანკის ვალდებულებები შეიძლება მოიცავდეს ვალდებულებებს მეანაზრეთა, საკრედიტო დაწესებულებების წინაშე, საგადასახადო ვალდებულებებს, რეზერვებს და აშ. კაპიტალის მუხლი კი მოიცავს - სააქციო კაპიტალს, დამატებით შენატანებს, სახაზინო აქციებს, სხვა რეზერვებს და აშ.

ბალანსში საწარმოს აქტივები და მათი ფორმირების წყაროები ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის – ორმხრივობის პრინციპის საფუძველზე აისახება. აქედან გამომდინარე, ბუღალტრულ ბალანსს ორი მხარე აქვს. ერთ მხარეს აქტივები აისახება, ხოლო მეორე მხარეს ამ აქტივების ფორმირების წყაროები ანუ ვალდებულებები და კაპიტალი. ბალანსში აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის თითოეულ დასახელებას ბალანსის მუხლი ეწოდება.

კომერციული ბანკის ბალანსი საბუღალტრო აღრიცხვის ძირითადი დოკუმენტია, რომელიც ანალიზური აღრიცხვის მონაცემების ჯამს ასახავს მათი ნომრების ზრდის წესით.ეს მონაცემები დაჯგუფებული უნდა იყოს მათი ეკონომიკური ერთგვაროვნების ან ლიკვიდურობის მიხედვით. საბანკო ბალანსები მიეკუთვნება კომერციული ინფორმაციის საშუალებებს და პასუხობს ოპერატიულობის,კონკრეტულობის და სანდოობის მოთხოვნებს. საქართველოში კომერციული ბანკის ბალანსის მნიშვნელობა კარგად ჩანს „გამჭვირვალობის წესში“.დოკუმენტის თანახმად,ქვეყანაში საბაზრო დისციპლინის განმტკიცებისა და საბანკო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საბანკო სექტორის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობა,რაც მიიღწევა კომერციული ბანკების მიერ ფინანსური ანგარიშგების გასაჯაროვებით.

**ცხილი. 1.2.1 კომერციული ბანკის ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურა:**

<b>ბალანსის მუხლები</b>	<b>2019 წელი</b>
<b>აქტივები</b>	
ფული და ფულის ეკვივალენტები	X
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ქონება	X
კლიენტებზე გაცემული სესხები	X
საინვესტიციო ქონება	X
ძირითადი საშუალებები	X
არამატერიალური აქტივები	X
გუდვილი	X
<b>ვალდებულებები</b>	
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	X
მიმდინარე მოგების გადასახადი	X
რეზერვები	X
სხვა ვალდებულებები	X
<b>კაპიტალი</b>	
სააქციო კაპიტალი	X
სახაზინო აქციები	X
დამატებით შეტანილი კაპიტალი	X
გაუნაწილებელი მოგება	X

საბალანსო ანგარიშების გარდა, სადაც აღირიცხება ნებისმიერი ოპერაცია, რომელიც დაკავშირებულია ფულის მოძრაობასთან, კომერციული ბანკის პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება გარებალანსური (ბალანსგარეშე) ანგარიშები. ეს ანგარიშები გამოიყენება იმ ფასეულობების, დოკუმენტებისა და პირობითი ვალდებულებების აღრიცხვისათვის, რომელთა ასახვა შეუძლებელია ბალანსში. ვინაიდან არაა დაკავშირებული უშუალოდ ფულის მოძრაობასთან, მაგრამ მნიშვნელოვანია ბანკისათვის. ამ ანგარიშების მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ აღირიცხება როგორც ბანკის მხრიდან ისე მის მიმართ ვალდებულებები, ფასეულობა და დოკუმენტები, რომლებიც მომავალში მოახდენენ ან შეიძლება მოახდინონ გავლენა ბანკში ფულის

მომრაობაზე. მოცემულ ანგარიშებზე აღირიცხება პირობითი ვალდებულებები, ფორვარდული და ფიუჩერული, ზარალში ჩამოწერილი ვალები და აშ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ყველა საწარმო ვალდებულია აჩვენოს მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები განცალკევებულად. ხოლო, ბანკების შესახებ სტანდარტებში აღნიშნულია, რომ უფრო სასარგებლო ინფორმაციას იძლევა მუხლების წარდგენა ლიკვიდურობის ზრდადობის ან შემცირებადობის მიხედვით, ვიდრე მიმდინარე და გრძელვადიანი ნიშნის მიხედვით ასახვა. ეს გამართლებულია იმით, რომ ბანკები არ აწარმოებენ საქონლისა და მომსახურების მიწოდებას მკაფიოდ განსაზღვრულ საოპერაციო ციკლში.<sup>8</sup> თუმცა აქ ჩნდება ერთი პრობლემა, თუ ბალანსში აქტივები არ არის წარმოდგენილი მიმდინარე და გრძელვადიანი ჯგუფების მიხედვით, ვერ შევძლებთ ლიკვიდურობის კოეფიციენტის გამოანგარიშებას. მის გამოსათვლელად მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების მაჩვენებლებია საჭირო.

კომერციული ბანკის აქტივები შეიძლება მოიცავდეს ნაღდ ფულს, სავალდებულო რეზერვებს ეროვნული ბანკში, საკორესპოდენტო ანგარიშებს, ფასია ქაღალდებს, ფულად სახსრებს სხვა ბანკებში, გაცემულ სესხებს, მოთხოვნას მისაღებ პროცენტებზე, ინვესტიციებს, ძირითად საშუალებებს და აშ. ბანკის ბალანსი იწარმოება სხვადასხვა სამუშაო ვალუტით და კრებსით ბალანსში ფასდება ლარში მიმდინარე ოფიციალური კურსით. ბანკს შესაძლებლობა აქვს ყოველი დღის ბოლოს მიიღოს ბალანსები ცალ-ცალკე ყველა ვალუტის მიხედვით, მაგრამ სრული და „ოფიციალური“ კრებსითი ბალანსის ფორმირება ხდება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში (ლარში). აქტივებსა და პასივებში შესული ყველა უცხოური ვალუტის ნაშთის გადაფასება ხდება იმ დღეს არსებული ოფიციალური კურსის მიხედვით. ამისგან განსხვავებით, ყველა გატარება შემოსავლების და ხარჯების ანგარიშებზე აისახება მხოლოდ ეროვნული ვალუტით, მიუხედავად იმის თუ რომელი ვალუტით მოხდა მისი გადახდა. მაგალითად, ანაბარზე მიღებული 1000 აშშ დოლარი ბალანსში აისახება, როგორც უცხოური ვალუტა, ხოლო კრებსითი ბალანსის აქტივებსა და პასივებში - ლარში, იმ დღეს არსებული კურსით. მეორე დღეს, კურსის ცვლილების შემთხვევაში არსებული ანაბარი აისახება ახალი კურსით. ამგვარად, 1000 აშშ დოლარი კრებსით ბალანსში სხვადასხვა დღეს

---

<sup>8</sup> ბასს 1 მუხლი 63

განსხვავებული ლარის ეკვივალენტით აისახება ოფიციალური კურსის ცვლილების შესაბამისად. კრებსითი ბალანსი საშუალებას იძლევა, მიღებული ანაბარი დანახული იქნას როგორც ნომინალში, ასევე მისი ეკვივალენტით. ბანკის შესაბამის საბალანსო მუხლებზე ასახული ღირებულების ცვლილებას, რომელიც წარმოიშვება ეროვნული კურსის ცვლილების შედეგად საკურსი სხვაობა ეწოდება. ბუნებრივია, შედეგად შეიძლება მიღებულს იქნას მოგება ან ზარალი. განსხვავებით ამისგან, მიღებული შემოსავალი ან გაწეული ხარჯი, მაგალითად, 200 აშშ დოლარი ოპერაციის დღესვე კონვერტირდება ოფიციალური კურსით და ფიქსირდება ლარში. მომდევნო დღეებში ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილება მასზე გავლენას აღარ ახდენს. ბანკი უფლებამოსილია შეიმუშაოს ანალიზური აღრიცხვის წარმოების სისტემა თითოეული საბალანსო ანგარიშის ჭრილში პირადი ანგარიშების გახსნით. აღნიშნული უზრუნველყოფს, ნებისმიერ დროს სრული ინფორმაციის მიღებას ანალიზის, კონტროლისა და ფინანსური ანგარიშგების დეტალიზაციის მოთხოვნიდან გამომდინარე.

კომერციული ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული უნდა იყოს მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ზუსტი, სრული და მიმდინარე ინფორმაცია, მათ შორის, აქტივების ხარისხთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს ბანკის რეალური ფინანსური მდგომარეობის დადგენას და გამჟღავნებას დეპოზიტორების, მენეჯმენტის, აქციონერების, პოტენციური ინვესტორების, საქართველოს ეროვნული ბანკისა თუ სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. ამ ინფორმაციის ძირითადი კომპონენტია ბანკის მიერ თავისი აქტივების კლასიფიკაცია რისკის გათვალისწინებით და მათი შესაძლო დანაკარგების დასაფარავად ადეკვატური რეზერვის შექმნა.<sup>9</sup> ამ წესის მიზანია კომერციულმა ბანკებმა აქტივების კლასიფიკაციისა და რეზერვებთან დაკავშირებული ვალდებულებებისათვის უზრუნველყონ შიდა პროცედურებისა და საანგარიშგებო მოთხოვნების ჩამოყალიბება და შესრულება. ნაღდი ფული, როგორც აქტივი, აუცილებელია ბანკისთვის ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად, ხოლო კაპიტალდაბანდებები ფასიან ქალაქებში წარმოადგენს ლიკვიდურობის შენარჩუნების რეზერვს და შემოსავლის მიღების ერთ-ერთ წყაროს. რაც შეეხება კრედიტს, იგი გაიცემა

<sup>9</sup> კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესი, ბრძანება №117/04 2017 წლის 10 აგვისტო, მუხლი 1

შემოსავლის მიღების მიზნით, ხოლო მეორეხარისხოვანი აქტივები წარმოადგენს ე.წ ფიქსირებულ აქტივებს, რომლებიც არის ბანკის საკუთრება (შენობა-ნაგებობები, აღჭურვილობა). დეპოზიტები, როგორც წესი, ბანკის აქტივების დაფინანსების ძირითადი წყაროა. არასადეპოზიტო ვალდებულებები კი წარმოადგენს ლიკვიდურობის გაზრდის საშუალებას, როცა ეს უკანასკნელი მთლიანად არ არის უზრუნველყოფილი ნაღდი ფულით და ფასიანი ქაღალდებით. აქციონერთა კაპიტალი აყალიბებს გრძელვადიან და სტაბილურ ფინანსურ ფუნდამენტს, რომლის საშუალებითაც ბანკი ვითარდება და ფარავს ყველა გაუთვალისწინებელ დანაკარგს.

ბანკის აქტივები წარმოადგენს მის ძირითად ინსტრუმენტს და აქედან გამომდინარე, ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანია, თუ როგორ, რა ფორმითაა აქტივები ინვესტირებული, რამდენად ექვემდებარება ისინი რისკს და რა მოცულობის ლიკვიდური ფონდები აქვს ბანკს. ზოგადად, ინვესტორები ყურადღებას ამახვილებენ არა მხოლოდ აქტივების ზრდის, არამედ მის შემადგენლობაზეც როგორცაა : ნაღდი ფული, ფასიანი ქაღალდები, საკრედიტო პორტფელი და მისი სტრუქტურა, აქტივებისა და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა და ა.შ.

ბანკის აქტივების პირველი მუხლი არის ნაღდი ფული. სწორედ ნაღდი ფული და დეპოზიტები „ნოსტრო“ ანგარიშებზე წარმოადგენს ბანკის ლიკვიდურ აქტივს. ნაღდი ფული, განთავსებული ბანკის საცავებში, ნებისმიერი დეპოზიტები, განთავსებული სხვა ბანკებში (დეპოზიტები ბანკ-კორესპონდენტში), ნაღდი ფული ინკასაციის პროცესში და აგრეთვე რეზერვები, განთავსებული ეროვნულ ბანკში, რომელთაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც პირველად რეზერვებს, წარმოადგენს რესურსების მთავარ წყაროს, მისი საშუალებით ბანკი აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც წარმოეშობა გაუთვალისწინებელი დაკრედიტებისას ან კლიენტის მხრიდან დეპოზიტების გამოთხოვისას. ბანკი ცდილობს, ასეთი სახის რეზერვების დონე არ იყოს ძალიან მაღალი, რადგან მას საერთოდ არ მოაქვს საპროცენტო შემოსავალი, ან ძალიან მცირე მოცულობის საპროცენტო სარგებელს იძლევა. ლიკვიდობის პოლიტიკა დაკავშირებულია დილემის „ლიკვიდურობა-რენტაბელობა“ გადაწყვეტასთან. ამიტომ, ბანკების წინაშე დგას ამოცანა-მიუხედავად ყოველგვარი შეზღუდვისა და გაურკვევლობის ზოგიერთი ფაქტორისა, ოპერაციები მართონ მაქსიმალური შემოსავლების მიღების მიზნით. აღსანიშნავია, რომ

ბანკის ხელმძღვანელობას არ შეუძლია, წინასწარ ზუსტად განსაზღვროს, როდის და რა მასშტაბის ლიკვიდობის პრობლემა წარმოექმნება. მსგავსი პრობლემის გაჩენის შემთხვევაში ზომების მიღება შეიძლება მხოლოდ წინასწარ შექმნილი რეზერვების, განსაკუთრებული სტრუქტურის აქტივების და პასივების საფუძველზე.

#### **აქტივების კლასიფიკაციის სისტემა შემდეგია :**

- ფული და ფულის ეკვივალენტები;
- მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ;
- გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები;
- კლიენტებზე გაცემული სესხები;
- მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან;
- საინვესტიციო ქონება;
- წინასწარი გადახები;
- ძირითადი საშუალებები;
- არამატერიალური აქტივები;
- ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში;
- გუდვილი;
- მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივები;
- სხვა აქტივები;

კომერციულმა ბანკმა ყოველთვის უნდა მოახდინოს აქტივების კლასიფიკაცია ამ წესით დადგენილი კატეგორიების მიხედვით. აქტივების ამგვარი კლასიფიკაციის განხორციელების დროს კომერციულმა ბანკმა უნდა გამოიყენოს მათ გარშემო არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობილი მოსაზრებანი, რაც უნდა ეფუძნებოდეს თითოეულ კატეგორიასთან დაკავშირებულ სტანდარტებსა და კომპონენტებს. აქტივების ნეგატიურად კლასიფიკაცია დამყარებულ უნდა იქნას იმ ფაქტებზე და სისუსტეებზე, რომლებიც გამოწვეულია ან გამომდინარეობს ისეთი გარემოებებიდან, მოვლენებიდან ან მდგომარეობიდან, რომელთა ზედმიწევნით ჩატარებული ანალიზისა და განსჯის შემდეგ ნათელი ხდება, რომ აქტივის ღირებულება მცირდება. მსესხებლის და დაკავშირებული ჯგუფის ყველა მიმდინარე სესხს, როგორც წესი, უნდა მიენიჭოს ერთი კატეგორია. გამონაკლისი შემთხვევები უნდა იყოს არგუმენტირებული და



სრულყოფილად დოკუმენტირებული. საბალანსო უწყისზე არსებული სესხის ძირ თანხაზე დარიცხული ნებისმიერი ტიპის პროცენტი, ჯარიმა, საურავი თუ სხვა თანხა უნდა ჩამოიწეროს ბალანსიდან, თუ მათი გადახდა არ მომხდარა საკონტრაქტო პირობებით განსაზღვრული ვალდებულების დადგომის თარიღიდან 31 და მეტი დღის მანძილზე. აღნიშნული მოთხოვნები უნდა აღირიცხოს გარესაბალანსო უწყისის შესაბამის ანგარიშებზე. არასტანდარტული, საეჭვო და უიმედო კლასიფიკაციის მქონე სესხებზე დარიცხული პროცენტები უნდა აღირიცხოს გარესაბალანსო უწყისის შესაბამის ანგარიშზე.<sup>10</sup>

ბალანსის მეორე მხარე მოიცავს ინფორმაციას ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის შესახებ, მათ მეორენაირად პასივებსაც უწოდებენ. ისინი წარმოადგენენ აქტივების დაფინანსების წყაროებს.

კომერციული ბაკის დაფინანსების წყარო ხუთი ძირითადი ნაწილისგან შედგება: აქციონერების მიერ საკუთარ კაპიტალში შენატანები, სარეზერვი ფონდები, რომლებიც ბანკმა შექმნა წმინდა მოგებიდან დეპოზიტები, რომლებიც მომხმარებელთა თავისუფალ სახსრებს წარმოადგენენ, სხვა დანარჩენი დეპოზიტები, კომერციული ბანკის მიერ ეროვნული ბანკისგან ან/და სხვა ბანკებისაგან აღებული სესხები.

**კომერციული ბაკის „მთლიანი ვალდებულებები“ (Debt)** ეს არის საწარმოს სესხები, ფასიანი ქაღალდები, ფინანსური ლიზინგი, ფაქტორინგი და სხვა ვალდებულებები, კრედიტორული და მსგავსი მოთხოვნების გარდა. ვალდებულებებში ასევე გაითვალისწინება ბანკის მიერ მსესხებლისათვის დამტკიცებული და აუთვისებელი ბალანსგარეშე ვალდებულებები, რომელთა ათვისება-გამოყენებაც ბანკის მხრიდან დამატებით სტანდარტული ტიპის განხილვასა და დამტკიცებას აღარ მოითხოვს, ასევე კრედიტის პირდაპირი შემცველი ტიპის ბალანსგარეშე ვალდებულება, რომელიც ასახული არ არის ბალანსში წარმოდგენილ ვალდებულებებში.<sup>11</sup>

ისევე როგორც აქტივები ვალდებულებებიც ჯგუფდება მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. ფინანსური ვალდებულების კლასიფიკაცია როგორც მოკლევადიანი ვალდებულების, უნდა მოხდეს მაშინ თუ ისინი გადახდას

<sup>10</sup> ი. კოვზანაძე, გ. კონტრიძე - „თანამედროვე საბანკოს საქმე: თეორია და პრაქტიკა“

<sup>11</sup> კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესი, ბრძანება №117/04 2017 წლის 10 აგვისტო, მუხლი 2 (23)

ექვემდებარება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში. ვალდებულების კლასიფიკაცია უნდა მოხდეს როგორც მოკლევადიანი იმ შემთხვევაშიც კი, როცა კრედიტორი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ხელმოწერის თარიღამდე თანხმდება, რომ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო არ მოითხოვს ვალდებულების დაფარვას. იგი მოკლევადიან ვალდებულებად კლასიფიცირდება იმის გამო, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმოს არ გააჩნია უპირობო უფლება, ვალდებულების დაფარვა გადაავადოს ამ თარიღიდან სულ ცოტა 12 თვით მაინც. უფრო მარტივად თუ ვიტყვით; თუ სესხი თავიდან გაცემულია ან აღებულია თორმეტი თვით ან ნაკლები ვადით, მიუხედავად იმისა, დროზე დაიფარება თუ არა, მაინც წარმოადგენს მოკლევადიან აქტივს ან ვალდებულებას. ეს იძლევა ანალიზის კარგ საშუალებას იმისათვის, დადგინდეს, რამდენად სტაბილურია ბანკის ფინანსური მდგომარეობა. რამდენად დროულად იფარება დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები.

სადეპოზიტო ოპერაციები წარმოადგენს ბანკის პასიური ოპერაციების მნიშვნელოვან ჯგუფს. დეპოზიტი ეს არის ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ბანკში შესანახად შეტანილი თანხა, გარკვეული სარგებლის მიღების პირობის სანაცვლოდ. განასხვავებენ ვადიან და უვადო დეპოზიტებს :

**ვადიანი დეპოზიტიდან** კლიენტს უფლება არ აქვს ვადის დადგომამდე თანხა გაიტანოს, ამიტომ ბანკები ვადიან ანაბარზე უფრო მაღალ პროცენტს იძლევიან ვიდრე უვადო ანაბარზე. ბანკს ეკისრება ვალდებულება ვადის დადგომისას იმავე ვალუტაში დააბრუნოს მესანაბრის კუთვნილი თანხა.

**უვადო დეპოზიტიდან** კი კლიენტს შეუძლია თანხა ნებისმიერ დროს გაიტანოს. დეპოზიტზე პროცენტის გადახდა ხდება რთული პროცენტის მეთოდით, ანუ ხდება პროცენტის კაპიტალიზაცია.

ბანკს შეიძლება გააჩნდეს მიღებული და გაცემული დეპოზიტები. მიღებული დეპოზიტები ბანკის ვალდებულებას წარმოადგევენ, ხოლო გაცემული ანაბრები - მოთხოვნას (აქტივს). კომერციულ ბანკებში კლიენტის მიერ დეპოზიტების განთავსებით, ერთი მხრივ, წარმოიშვება ფულადი სახსრები და მეორე მხრივ - ვალდებულებები შესანახად მიღებულ თანხებზე. მიღებული დეპოზიტები

წარმოადგენენ ბანკის ვალდებულებას მისი დეპოზიტორების მიმართ. შესაბამისად ეს ანგარიში თავისი ბუნებით პასიური და კრედიტის ნაშთი აქვს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ბანკმა აგრეთვე უნდა ასახოს საკუთარი კაპიტალი შემდეგ კლასებად : სააქციო კაპიტალის ანაზღაურებული ნაწილი , საემისიო კაპიტალი და რეზერვები. სხვადასხვა სამართლებრივი ტიპის საწარმოთა ბუღალტრული ბალანსები ერთმანეთისაგან, ძირითადად საკუთარი კაპიტალის სტრუქტურით განსხვავდებიან. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების იურიდიული ფორმა სააქციო საზოგადოებაა, მათი კაპიტალი შედგება: სააქციო, საემისო, სარეზერვო კაპიტალისაგან და გაუნაწილებელი მოგებისაგან. თუმცა, საქართველოში შეიცვალა მოგების გადასახადის საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც წმინდა მოგება მთლიანად უნდა იქნეს გამოყენებული დივიდენდებსა და რეინვესტირებაზე.<sup>12</sup>

ბუღალტრულ ბალანსს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სარკეს უწოდებენ. ბუღალტრული ბალანსის ზოგადი ანალიზით შეიძლება დავასკვნათ არის თუ არა საწარმო გადახდისუნარიანი, გააჩნია თუ არა საკუთარი საბრუნავი სახსრები და ფინანსური სტაბილურობის როგორი პოზიცია უკავია მას.

კომერციული ბანკის სხვადასხვა საქმიანობის , ოპერაციებისა და სამეურნეო მოვლენების შედეგები განსხვავდება სტაბილურობით, რისკითა და პროგნოზირების შესაძლებლობებით. საქმიანობის შედეგების ელემენტების ასახვა ხელს უწყობს მის საქმიანობაში მიღწეული შედეგების აღქმას და სამომავლო შედეგების შეფასებას. მოგება/ზარალის<sup>13</sup> ანგარიშგებაში ან მეორენაირად როგორც მას უწოდებენ „ფინანსური შედეგების შესახებ“ ანგარიშგებაში , მოცემულია ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდში მიღებული/გასული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. იგი უპირველესი დოკუმენტია, რომელიც კომპანიამ საფონდო ბირჟაზე უნდა წარადგინოს ვინაიდან, მასში გარდა მოგების მაჩვენებლებისა, წარმოდგენილია მაჩვენებელი - შემოსავალი ერთ აქციაზე, რომელიც საინტერესო პოტენციური ინვესტორებისათვის.

<sup>12</sup> ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 13 იანვარის ბრძანება №7

<sup>13</sup> ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში 2009 წლის ცვლილებით, მოგება/ზარალის ანგარიშგებას "სრული შემოსავლების ანგარიშგება" ეწოდება, თუმცა საწარმოებს შეუძლიათ სახელწოდება კვლავ "მოგება/ზარალის ანგარიშგება"

„ფინანსური შედეგების შესახებ“ ანგარიშგების ორ მნიშვნელოვან ელემენტს შემოსავალი და ხარჯები წარმოადგენენ. შემოსავალი ეს არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც არაა დაკავშირებული საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეთა დამატებით შენატანებთან. შემოსავალი მოიცავს ამონაგებს ძირითადი საქმიანობიდან ან გაწეული მომსახურებიდან ანუ საოპერაციო შემოსავალს და სხვა შემოსულობებს დივიდენდების, როიალტების და საიჯარო პროცენტების სახით.

ბანკებში ამონაგებს მიეკუთვნება გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი, განსხვავებით სხვა სფეროს კომპანიებისა, სადაც საპროცენტო შემოსავალი არასაოპერაციო შემოსავალს წარმოადგენს. კომერციულ ბანკში საოპერაციო შემოსავალს მიეკუთვნება გაწეული მომსახურებიდან მიღებული საპროცენტო და საკომისიო შემოსავლები.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის მიღება ხდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიების მიხედვით, მიუხედავად იმისა მიღებულია თუ არა ფული.<sup>14</sup> თუ ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში ანუ ჩნდება თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, მაშინ იგი აღიარებულ უნდა იქნეს როგორც ხარჯი. სესხით მომსახურებისათვის მისაღები საკომისიო უნდა აღიარდეს მომსახურების გაწევის მომენტისათვის. ბანკის აქტივების სხვა პირთა მიერ გამოყენებიდან მიღებული ამონაგები საიჯარო პროცენტების, როიალტის და დივიდენდების სახით, უნდა აისახოს, თუ მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ასეთი შემოსავლების აღიარება უნდა მოხდეს ეფექტური საპროცენტო მეთოდის<sup>15</sup> გამოყენებით, რომელსაც ითვალისწინებს ბასს 39 (მუხლი 9).<sup>16</sup> კომერციული ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმით, შემოსავლების აღმრიცხველი ანგარიშები დაჯგუფებულია იმ ორგანიზაციების სამართლებრივი ფორმების მიხედვით, საიდანაც მიიღება შემოსავლები, აგრეთვე, ოპერაციის ტიპების და

<sup>14</sup> გამოიყენება დარიცხვის პრინციპი

<sup>15</sup> ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ზუსტად ადისკონტირებს მომვალში მისაღებ სახსრებს.

<sup>16</sup> ბასს 39 (მუხლი 9) სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნია ფიქსირებული ან გასაზღვრადი გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის.

ვალუტის სახეების მიხედვით. კომერციული ბანკები იღებენ შემდეგი ტიპის შემოსავლებს: საპროცენტო შემოსავლები სახელმწიფო სექტორზე გაცემული გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხებიდან, ბანკებზე გაცემული სესხებიდან, ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან და სხვა ანგარიშებიდან და აშ.; საკომისიო შემოსავლები სალაროს ოპერაციებიდან, უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან, ფულის ინკასაციისა და ტრანსპორტირებიდან, კლიენტების მიმდინარე ანგარიშებიდან და აშ.; მიღებული დივიდენდები და შემოსავლები საინვესტიციო ოპერაციებიდან, სავალო ფასიანი ქაღალდებიდან, შემოსავლები დილინგური ოპერაციებიდან, შემოსავლები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან; შემოსავლები დანარჩენი ოპერაციებიდან, როგორცაა: შემოსავლები ბროკერული ოპერაციებიდან, ფაქტორული ოპერაციებიდან, ლიზინგიდან, გარანტიებიდან, სპეციალური დეპოზიტებიდან; გაუთვალისწინებელი შემოსავლები სალაროს ზედმეტობიდან, მიღებული ჯარიმები და საურავები და სხვა.

შემოსავლების აღრიცხვა-აღიარება ხდება დარიცხვის პრინციპით, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემულ პერიოდში წარმოშობილი შემოსავლები აღიარდება ამავე პერიოდის შემოსავლად, მიუხედავად იმისა მიღებულია თუ არა უშუალოდ ფულადი თანხები. ასეთი მეთოდით აღიარებული შემოსავლები მონაწილეობენ მოგება/ზარალის გამოთვლაში. შემოსავლების აღმრიცხველი ანგარიშები პასიური ანგარიშებია და მისაღები შემოსავლების დარიცხვის დროს მოხდება მისი დაკრედიტება, ხოლო მეორე მხრივ აღიარდება მოთხოვნა მისაღებ შემოსავლებზე. ანგარიშთა გეგმაში, შემოსავლების ანგარიშების კოდები იწყება ექვსიანით ან შვიდიანით.

ხარჯების ცნება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, შემდეგნაირადაა განმარტებული: ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთათვის კაპიტალის გადანაწილებასთან. ხარჯის გაწევის გარეშე შეუძლებელია მომავალში რაიმე ეკონომიკური სარგებლის მიღება მოხდეს. ბიზნესის აუცილებელი ხარჯები უზრუნველყოფენ შემოსავლების მიღებას მომავალში. საქმიანობის სფეროების

მიხედვით, დანახარჯების კლასიფიკაცია ხდება საოპერაციო, არასაოპერაციო და გაუთვალისწინებელ ხარჯებად.

საოპერაციო ხარჯები ისეთი ხარჯებია, რომელიც გაიწევა კომპანიის მაპროფილებელი საქმიანობის განხორციელებასა, მართვასა და მომსახურებაზე. ბანკების საოპერაციო ხარჯებს მიეკუთვნება: პროცენტული ხარჯები მიღებულ დეპოზიტებზე, აღებულ სესხებზე, კლიენტების მიმდინარე ანგარიშებზე, საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებზე; საკომისიო ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით, საკომისიოები უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის მიხედვით; დილინგურ ოპერაციებთან დაკავშირებით წარმოქმნილი ზარალი, ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან; ზარალი საინვესტიციო ოპერაციებიდან; ხარჯები ფაქტორინგის, სალიზინგო და საგარანტიო მოსახურებაზე და ა.შ.

არასაოპერაციო ხარჯები ისეთი ხარჯებია, რომელიც გაიწევა კომპანიის არამპირითად, დამხმარე საქმიანობაზე. ბანკებში არასაოპერაციო ხარჯებს მიეკუთვნება: ზარალი ზედმეტი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან, ზარალი დილინგური ოპერაციებიდან, ზარალი საინვესტიციო საქმიანობიდან, ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან, ზარალი ფაქტორინგული, საბროკერო, საგარანტიო და სხვა საქმიანობიდან .

გაუთვალისწინებელი ხარჯები ისეთი ხარჯია, რომლის წინასწარ დაგეგმვა და გათვალისწინება შეუძლებელია, როგორცაა დანაკარგები და ჯარიმები. ამგვარ ხარჯებს მიეკუთვნება ზარალი სალაროს დანაკლისებიდან, გადახდილი ჯარიმები და საურავები, ზარალი დატაცებებიდან და სტიქიური შემთვევებიდან. ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის პრინციპით, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე პერიოდს მიეკუთვნება ხარჯი, რომელმაც უზრუნველყო ამავე პერიოდის შემოსავლების მიღება, მიუხედავად იმისა, გადახდილია თუ არა უშუალოდ ფული. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც იქნა გაწეული, მიუხედავად იმისა, სესხი როგორ იქნა გამოყენებული.

**ცხრილი 1.2.2 მოგება/ზარალის ანგარიშების სტრუქტურა :**

ათას ლარში	2019 წელი
საპროცენტო შემოსავალი	X
საპროცენტო ხარჯი	(X)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	<b>X</b>
სესხის გაუფასურების რეზერვი	(X)
წმ. საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების რეზერვის გამოკლებით	<b>X</b>
საკომისიო შემოსავალი	X
საკომისიო ხარჯი	(X)
მოგება(ზარალი)ვალუტის ყიდვა-გაყიდვით	X
სხვა საოპერაციო ხარჯი	(X)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(X)
მოგება გადასახადის გადახდამდე	<b>X</b>
მოგების გადასახადი	(X)
წმინდა მოგება	<b>X</b>

ფულადი ნაკადების ანგარიშგება, ფულის მოძრაობის უწყისი (ინგლ. Cash flow statement) — ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი ფორმაა, რომლის მიზანია, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებელი უზრუნველყოს პერიოდის განმავლობაში საწარმოში ფულადი სახსრების შემოსვლისა და გასვლის შესახებ ინფორმაციით. იგი აჩვენებს ფულადი სახსრების მასას და მოძრაობას, ასევე საწარმოს ფულადი სახსრების ნაშთის ცვლილებას პერიოდის განმავლობაში. იგი მზადდება საკასო პრინციპით ანუ ასახავს უშუალოდ ფულადი თანხების მოძრაობას.

საწარმოს მიერ მიღებული მოგება და ფულადი სახსრები, როგორც წესი, ერთმანეთს არ ემთხვევა. სავსებით შესაძლებელია, საწარმომ საანგარიშგებო წელი დაამთავროს დიდი მოგებით, მაგრამ ჰქონდეს ცოტა ფული. ამასთან, უდავოა, რომ ფული სამეურნეო სამიანობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რადგან ფულის საშუალებით ხდება ხელფასების გადახდა, კრედიტორული დავალიანების დაფარვა,

ხარჯების ანაზღაურება. შესაბამისად, საწარმოს მართვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ფულადი სახსრების მოძრაობას. ფულადი ნაკადების შესახებ ინფორმაცია, გარდა საწარმოს ხელმძღვანელობისა, საინტერესო და სასარგებლოა ინფორმაციის სხვა მომხმარებლებისთვისაც. ისინი დაინტერესებულნი არიან გაიგონ, თუ როგორ გამოიმუშავენ და იყენებს საწარმო ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს.

ფულად საშუალებებს (სახსრებს) მიეკუთვნება ნაღდი ფული და ფულის საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი თანხები, როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში. ფულად თანხებს ყველაზე მაღალლიკვიდურ ანუ აბსოლუტურად ლიკვიდურ აქტივებს უწოდებენ, ვინაიდან მათი გამოყენება გაცვლის საშუალებად, ნებისმიერ მომენტში შეიძლება. ფულადი თანხების ეკვივალენტებია მაღალლიკვიდური ფინანსური ინვესტიციები (ფასიანი ქაღალდები), რომელთა დაფარვის ვადა სამ თვემდეა, შესაძლებელია დაუბრკოლებლად გადაიცვალოს ნაღდ ფულზე და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ბასს 7-ის განმარტებით, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში უნდა აისახოს ფულადი სახსრების ნაკადები საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც დაჯგუფებული იქნება: ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან – აქ მოცემულია საწარმოს ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები. როგორცაა, მყიდველებიდან მიღებული თანხები, მომწოდებლებზე, პერსონალზე და პარტნიორებზე გაცემული თანხები, სამეწარმეო ან სავაჭრო მიზნით დადებულ კონტრაქტებთან დაკავშირებით მიღებული და გაცემული ფულადი თანხები.

საოპერაციო საქმიანობა არის საწარმოს მთავარი საქმიანობა, რომელიც მისი ბიზნესისათვის არის დამახასიათებელი, ძირითადად მასზეა კონცენტრირებული დანახარჯები და მოაქვს მთავარი შემოსავლები. გამომდინარე იქიდან რომ საბანკო სფეროში ძირითადი შემოსავალი საპროცენტო შემოსავალია, იგი რაღა თქმა უნდა კლასიფიცირებული იქნება როგორც საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი . თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ , რომ სტანდარტი მიღებულ/გაცემულ პროცენტებს , გადახდილ დივიდენდებს , გადახდილ მოგების გადასახადს აკლასიფიცირებს როგორც საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ/გაცემულ თანხებს. რადგან ითვლება, რომ



საწარმოს ნორმალური ფინანსური მდგომარეობის დროს, ეს ხარჯები საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი თანხებით უნდა იფარებოდეს.

კომერციულ ბანკებში, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ/გაცემულ ფულად ნაკადებს მიეკუთვნება: მიღებული და გადახდილი პროცენტები, მიღებული/გადახდილი გასამრჯელო და საკომისო, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული წმინდა მოგება, წმინდა რეალიზებული მოგება. ზარალი უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან, თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები, სხვა საოპერაციო ხარჯები, სხვა შემოსავლები და აშ.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება საოპერაციო საქმიანობიდან შესაძლებელია მომზადდეს ორი მეთოდით: პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით.

პირდაპირი მეთოდით, ნაჩვენებია ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასავლის მთლიანი ნაკადები, ძირითადი კატეგორიების მიხედვით;

არაპირდაპირი მეთოდით<sup>17</sup> კი წმინდა მოგება ან ზარალი კორექტირდება არაფულადი ოპერაციების შედეგებით, წარსული ან მომავალი პერიოდის საოპერაციო შემოსავლებისა და გადახდების გადავადების ან დარიცხვის გათვალისწინებით, აგრეთვე იმ შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობის ფულად ნაკადებთან.<sup>18</sup>

ბანკები აგრეთვე წარადგენენ ანგარიშგებას საკუთარი კაპიტალის შესახებ. მასში მოცემული უნდა იყოს საკუთარი კაპიტალის თითოეული შემადგენელი მუხლის ცვლილება, რომელსაც ადგილი ჰქონდა წლის განმვლობაში. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში ან განმარტებით შენიშვნებში ყველა ტიპის სააქციო კაპიტალისათვის უნდა განიმარტოს: ნებადართული აქციების, გამოშვებული და მთლიანად ანაზღაურებული აქციების და გამოშვებული, მაგრამ ნაწილობრივ ანაზღაურებული აქციების რაოდენობა, ერთი აქციის ნომინალური ღირებულება აქციები რომლებიც რეზერვირებულია ოფციონებისა და აქციების გაყიდვის

<sup>17</sup> როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფულადი ნაკადების ანგარიშგება შეიძლება მომზადდეს არაპირდაპირი მეთოდით, რომელიც პრაქტიკაში არ გამოიყენება, ვინაიდან არასრულყოფილია ანალიზისათვის. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაღაც ობიექტური მიზეზების გამო კომპანიის მთავარ ბუღალტერს ან აუდიტორს არ გააჩნია სრული ბუღალტრული ჩანაწერები.

<sup>18</sup> ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ხელშეკრულებებისათვის, პირობებისა და თანხების ჩვენებით, საკუთარ კაპიტალში ასახული თითოეული რეზერვის შინაარსისა და დანიშნულების აღწერა

**ცხრილი 1.2.3 ფულადი ნაკადების ანგარიშგების სტრუქტურა :**

ათას ლარში	2019 წელი
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	X
გადახდილი საპროცენტო სარგებელი	(X)
მიღებული საკომისიო	X
გადახდილი საკომისიო	(X)
უცხოურ ვალუტაში გან. ოპერაციებიდან შემოსავალი	X
გადახდილი პერსონალის ხარჯები	(X)
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპ. ხარჯები	(X)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმ. ფულადი სახსრები	<b>X</b>
<b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	
შვილობილ კომპანიებში ფულადი სახსრების ჩადება	X
შემოსავალი შვილობილი კომპანიის განკარგვისგან	X
შემობა-ნაგებობების და მოწყობილობების შეძენა	X
საინვესტიციო უძრავი ქონების შეძენა/გაყიდვა	X
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმ. ფულადი სახსრები</b>	
<b>ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</b>	
სხვა ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსავალი	X
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა	(X)
გადახდილი დივიდენდები	(X)
<b>წმ. ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</b>	

ანგარიშგებაში „საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ“, მოცემულია ინფორმაცია სააქციო კაპიტალის, საემისიო კაპიტალის და რეზერვების შესახებ საანგარიშგებო წლის წმინდა მოგების გამოყენებისა და ზარალის შესახებ. მოცემულია ყველა ის ცვლილება, რომელიც შეეხება საკუთარი კაპიტალის რომელიმე ელემენტს.

მასში აგრეთვე მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების შედეგები და არსებითი შეცდომების კორექტირება.

აღრიცხვის სტანდარტებით, საკუთარი კაპიტალი არის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ვალდებულებების დაფარვის შემდეგ. იმავდროულად, საკუთარი კაპიტალი იგივე წმინდა აქტივებია. მისი სტრუქტურა სააქციო საზოგადოებებში მოიცავს: სააქციო და საემისიო კაპიტალს, მოგებიდან შექმნილ რეზერვებს, გადაფასების რეზერვს და გაუნაწილებელ მოგებას.

სააქციო კაპიტალი არის საბანკო საქმიანობის განხორციელების და მისი სტაბილური ზრდის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი ბაზა. მისი მიზანია, უზრუნველყოს საბანკოს საქმიანობის წარმოება, გააძლიეროს ბანკის ოპერაციების გაფართოების შესაძლებლობები, ისევე როგორც მიმდინარე პერიოდში, ასევე მომავალშიც. ბანკის კაპიტალის მიზანია, უზრუნველყოს ბანკის მენაბრეთა და კრედიტორთა ინტერესების მაქსიმალური დაცვა და საბანკო სისტემაში ნეგატიური შედეგების მინიმუმადე დაყვანა. კომერციულ ბანკების საქმიანობის ზედამხედველობის მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება საზედამხედველო კაპიტალი, რომელიც შედგება პირველადი და მეორადი კაპიტალისაგან.

პირველადი კაპიტალი, არის საზედამხედველო კაპიტალის ძირითადი წყარო, მისი საბაზრო ელემენტები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ჩვეულებრივი აქციები, არაკუმულაციური უვადო პრივილეგირებული აქციები<sup>19</sup>, აქციების ემისიით მიღებული დამატებითი სახსრები, წინა წლების გაუნაწილებელი მოგება (ზარალი).

მეორადი კაპიტალი კი წარმოადგენს საზედამხედველო კაპიტალის დამატებით წყაროს და შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: მიმდინარე წლის მოგება (ზარალი), მიზნობრივი ფონდები, საერთო რეზერვები, პრივილეგირებული აქციები გამოსყიდვის გამოკლებით, ბანკის აქციებში კონვერტირებადი ვალი და აშ.<sup>20</sup>

საწარმოს ბალანსით, საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილება წლის დასაწყისთან შედარებით, აჩვენებს საწარმოს წმინდა აქტივების ზრდას ან შემცირებას

<sup>19</sup> ისეთი უვადო პრივილეგირებული აქცია, რომელზეც არ ხდება წინა წლებში ბანკის მიერ გაუნაწილებელი დივიდენდის აკუმულირება.

<sup>20</sup> სესხით ან სავალო ფასიანი ქაღალდებით მიღებულ ფულადი სახსრები, რომლებიც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დადგომისას კონვერტირდება ბანკის ჩვეულებრივ ან პროვოლეგირებულ აქციებში.

საანგარიშო პერიოდში. ხოლო, საწარმოს საკუთარი კაპიტალის ჯამური ცვლილება, გარდა აქციონერებთან განხორციელებული ოპერაციებისა აჩვენებს საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს საქმიანობიდან მიღებულ მთლიან მოგებას ან ზარალს. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება აჩვენებს აქციების გამოშვების გზით მიღებული ინვესტიციების სიდიდეს და ბიზნესის განვითარებისათვის საკუთარი მოგებიდან გამოყოფილ დაფინანსებას. საკუთარი კაპიტალის ელემენტები ორ ნაწილად შეიძლება დაჯგუფდეს. როგორცაა, ინვესტირებული კაპიტალი (სააქციო და საემისიო კაპიტალი) და რეინვესტირებული (მოგებიდან შექმნილი რეზერვები). სააქციო კაპიტალის ანგარიშგებაში წარდგენილი ნაშთები, უნდა ემთხვეოდეს ბუღალტრულ ბალანსში მოცემული საკუთარი კაპიტალის ელემენტების ნაშთებს წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში მოცემულია შემდეგი კომპონენტები: საწყისი ნაშთები, რომლებიც ემთხვევა ბუღალტრულ ბალანსში წარდგენილ ნაშთებს. იგი შესწორებული არაა წინა პერიოდში მომხდარი შეცდომების ან სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებით. რომლებიც გამოვლინდა შემდგომ პერიოდში. ეს ცვლილებები მოცემულია მხოლოდ საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში და ასახვას ჰპოვებს მიმდინარე წლის კაპიტალში.

ბანკმა საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებაში ისეთი ინფორმაცია უნდა გააშუქოს, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელმა შეძლოს კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული მიზნების, პოლიტიკისა და პროცედურების შეფასება. ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში კი მან უნდა გააშუქოს როგორ არის შესრულებული თავისი მიზნები კაპიტალის მართვის შესახებ. შეასრულა თუ არა საანგარიშგებო პერიოდის განმვალობაში კაპიტალის შესახებ გარე სავალდებულო მოთხოვნები და თუ არ შესარულა ეს ვალდებულებები მაშინ, უნდა აჩვენოს ამ დარღვევის შედეგები. მაშასადამე, საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება იძლევა ინფორმაციას ინვესტირებული და რეინვესტირებული კაპიტალის ანალიზისათვის. მის საფუძველზე შეიძლება დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, წლის ბოლოს მდგომარეობით, საწარმომ ფინანსურად შეინარჩუნა თუ არა კაპიტალი და რამდენად ეფექტურია რეზერვების შექმნის პოლიტიკა.<sup>21</sup>

---

<sup>21</sup> ი. კოვზანაძე, გ. კონტრიძე - „თანამედროვე საბანკოს საქმე: თეორია და პრაქტიკა“

## თავი 2. ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტების ანალიზის შედეგები საანალიზო ბანკის მაგალითზე

### 2.1 ბალანსის აქტივების ხარისხის ანალიზი

ფინანსურ ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. ამგვარ ფართო დაჯგუფებას უწოდებენ ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს. ესენია: აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები.

**აქტივები** არის რესურსები, რომელსაც საწარმო აკონტროლებს, ისინი წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგია. მათ საფუძველზე საწარმო მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას.<sup>22</sup>

**ვალდებულებები** საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც ქარსული სამეურნეო მოვლენების შედეგად წარმოიშვა და რომლის შესრულება გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას საწარმოდან.

**საკუთარი კაპიტალი** არის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ.

**შემოსავალი** არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც დაკავშირებული არ არის მესაკუთრთა დამატებით შენატანებთან.

**ხარჯები** წარმოადგენს საწარმოს ეკონომიკური სარგების შემცირებას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოდან აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზედის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

---

<sup>22</sup> ეკონომიკური სარგებელი არის აქტივების უნარი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ხელი შეუწყოს ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემოსვლას საწარმოში.

ამდენად, ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტი ატის მოცულობითი ხასიათის ეკონომიკური მაჩვენებელი.

ბუღალტრულ ბალანსში ანუ როგორც ახალი სტანდარტი უწოდებს - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ყველა საწარმო ვალდებულია აჩვენოს მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები განცალკევებულად. ხოლო, ბანკების შესახებ აღნიშნულია, რომ უფრო სასრგებლო ინფორმაციას იძლევა მუხლების წარდგენა ლიკვიდურობის ნიშნის მიხედვით ასახვა. ეს იმითაა გამართლებული, რომ ბანკები არ აწარმოებენ საქონლის და მომსახურების მიწოდებას მკაფიოდ განსაზღვრულ საოპერაციო ციკლში.<sup>23</sup>

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მიზანია რეკომენდაციების მომზადება მმართველობითი გადაწყვეტილებებისათვის, ბანკის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. ბანკების საქმიანობა დაკავშირებულია რისკებთან, რომლის მინიმუმამდე დაყვანა არა მარტო ბანკების, არამედ მთელი სახელმწიფოს ინტერესებშია. ეკონომიკაში მიმდინარე ნებისმიერი მოვლენა ბანკების საქმიანობაზე აისახება.

ბანკის ბალანსის სტრუქტურული ანალიზი გულისხმობს შემადგენელი ელემენტების პროცენტულ წილს მთელის მიმართ. ეს გულისხმობს ბანკის ბალანსის სტრუქტურის ზოგად დახასიათებას. კეთდება დასკვნები იმის შესახებ, ბალანსის რომელი მუხლი ხასიათდება მაღალი ხვედრითი წილით, რომ მომავალი კვლევა იმ მიმართულებით გაღრმავდეს. ბანკის ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურულ ანალიზს აგრეთვე, აქტივებისა და პასივების ხარისხის შეფასებასაც უწოდებენ.<sup>24</sup>

კომერციული ბანკების აქტივების მართვის ხარისხის ანალიზი, რომლის ერთ-ერთ შედეგსაც კომერციული ბანკებისადმი წაყენებული მოთხოვნების გამკაცრება წარმოადგენს, ბანკის ფინანსური მდგომარეობისა და საიმედოობის შეფასების მნიშვნელოვანი ეტაპია. ასეთი ანალიზის დროს შეისწავლება საბანკო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და განისაზღვრება ბანკის მიერ სახსრების განთავსების ეფექტიანობა. ამიტომ ბანკის აქტივებისა და აქტივების მართვის ხარისხის სწორ ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მისი კაპიტალის ზომის, არამედ მიღებული ფინანსური შედეგების შეფასების მიზნით. მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მიერ

<sup>23</sup> ლიკვიდურობის კოეფიციენტის გამოსათვლელად გამართლებული იქნება თუკი ბანკები წლიურ მუღალტრულ ბალანსში აქტივებს წარმოადგენენ მიმდინარე და გრძელვადიანი ჯგუფების სახით.

<sup>24</sup> ჭილაძე ი. – „ბუღალტრული აღრიცხვა კომერციულ ბანკებში“, თბ. 2016 წელი, გვ 136-137

ბანკების ფინანსური მდგომარეობის ანალიზისას საფუძვლად მიჩნეულ იქნა სისტემა „CAMEL“, რომელიც შემუშავდა აშშ-ში. აქტივების მართვის ხარისხის ანალიზმა და შეფასებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, რადგან აქტივების რაოდენობრივი დახასიათება ყოველთვის როდი იძლევა სრულ წარმოდგენას ბანკის საქმიანობის ეფექტიანობისა და საიმედოობის შესახებ.

კომერციული ბანკი, მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აგროვებს დიდი მოცულობით საქმიან ინფორმაციას, რომელიც ეხება მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციონირებას, მის კავშირებს ეროვნულ ბანკთან, საკუთრების სხვადასხვა ფორმის კომერციულ ორგანიზაციებთან, ფინანსური და საგადასახადო სამსახურის ორგანოებთან. აქტივების ხარისხის ანალიზისა და შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის მრავალფეროვანი წყაროების გამო ბანკების სამუშაო მახასიათებლების მიხედვით საჭირო ხდება ამ წყაროების კლასიფიკაცია. მაგალითად, გარეშე წყაროდან მომდინარე ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანალიზის მიზნით გამოიყენება, მიიღება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებიდან, ეროვნული ბანკიდან, ფინანსთა სამინისტროდან და ა.შ. შიდა ინფორმაციის წყაროებს კი წარმოადგენს აღრიცხვისა და აღრიცხვიანობის სხვადასხვა ფორმები, ცნობები კრედიტებისა და საკრედიტო დავალიანების შესახებ, სესხებზე შესაძლო დანაკარგების გათვალისწინებული რეზერვების შესახებ და სხვ.

საბანკო საქმიანობის ფინანსურ ანალიზში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აქტივების ხარისხობრივ შეფასებას, რადგან მათი რაოდენობრივი დახასიათება, მაგალითად, გაცემული კრედიტების რაოდენობა და მოცულობა, ყოველთვის არ იძლევა წარმოდგენას საბანკო სისტემის საკრედიტო დაბანდების ეფექტიანობისა და უსაფრთხოების და ფინანსური მდგრადობის შესახებ. ამიტომ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებიდან მომდინარე უმნიშვნელოვანეს გარეშე ინფორმაციად გამოიყენება სხვადასხვა დოკუმენტები, რომლებიც წარმოადგენს საბუღალტრო აღრიცხვის ნორმატიულ-სამართლებრივ საფუძველს. მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ კანონში მოყვანილია საქართველოს საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზების ერთიანი სამართლებრივი და მეთოდური საფუძვლები.


კომერციული ბანკების ფინანსურ მდგომარეობას ახასიათებენ ისეთი განზოგადებული მაჩვენებლების საშუალებით, როგორცაა ბანკის შემოსავლისა და გასავლის მოცულობა, ძირითადი ოპერაციების თვითღირებულება, მოგების მოცულობა, რენტაბელობის დონე.ცალკე ჯგუფს წარმოადგენს ბანკის ლიკვიდობისა და ბანკის გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები და საბანკო რისკების მაჩვენებლების სისტემა.თუმცა, ბანკის ფინანსურ მდგომარეობის განმაზოგადებელი შედეგები მიიღება კერძო მაჩვენებლების გამოყენებით, რომლებიც თავის მხრივ, მიიღება ბანკის მიმდინარე და ოპერატიული საქმიანობის პროცესში. ასეთ მაჩვენებლებს შეიძლება მივაკუთვნოთ სხვადასხვა აბსოლუტური და ფარდობითი სიდიდეები, რომლებიც უკავშირდება კაპიტალის მოძრაობას, საკრედიტო რესურსებსა და პირველ რიგში, აქტივებისა და პასივების მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნას.

საქართველოს საბანკო სისტემის შემდგომი განვითარებისთვის საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით საჭირო გახდა კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შედარებით სრული შეფასება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი.<sup>25</sup>ამ დოკუმენტების ძირითადი დებულებებით დადგენილია კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შეფასების შემდეგი კატეგორიები.

---

<sup>25</sup> სენია: 1996 წლის 23 თებერვლის საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“; 2006 წლის 18 ივლისის საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“; საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2006 წლის 23 მაისის N145 ბრძანებით დამტკიცებულია „კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესი“. შეტანილია ცვლილება: საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 24 ოქტომბრის N278 ბრძანებით.





ფინანსური მდგომარეობა წარმოადგენს ბანკის საქმიანობისა და ბანკის აქტივებისა და პასივების მართვის ეფექტიანობის განმაზოგადებელ მახასიათებელს. თუმცა, აქტივებისა და პასივების მართვის მაღალი ხარისხისა და კოორდინირების მიზნით საჭიროა კერძო მახასიათებლების გამოყენებაც, რომლებითაც განისაზღვრება კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული რესურსების შეფასების მიმართულებები. მათ რიცხვში შედის შემდეგი პარამეტრების შეფასების მაჩვენებლები:

- აქტივების მართვის ხარისხი;
- პასივების მართვის ხარისხი;
- კაპიტალის საკმარისობა;
- ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა;
- შემოსავლიანობა და რენტაბელობა;
- საბანკო მოქმედების რისკები.

ფინანსური ანგარიშგების კომპლექსურ ანალიზში ამ მაჩვენებლების თანმიმდევრული გამოყენებით მიიღწევა მართვის სტრატეგიული მიზანი - საპროცენტო შემოსავლის ხარისხობრივი, მასშტაბური და მუდმივად მზარდი ნაკადის უზრუნველყოფა, ე.ი. სახსრების მოზიდვისა და განთავსების საპროცენტო განაკვეთებს შორის მაქსიმალური განსხვავების უზრუნველყოფა ლიკვიდობისა და რისკის საჭირო დონის შენარჩუნებით.

ბუღალტრულ ბალანსში წარმოდგენილი ინფორმაცია საშუალებას იძლევა შესწავლილი იქნას კომპანიის ფინანსური სტაბილურობის ხარისხი. ცნობილია ბალანსის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზის ხერხები. ვერტიკალური ანალიზი

ბალანსის მუხლების ფარდობით კოეფიციენტებს შეისწავლის, ხოლო ჰორიზონტალურილი მათ დინამიკურ ჭრილში განიხილავს. საერთოდ, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია გამოთვლილ იქნას საკუთარი და კომბინირებული მაჩვენებლები .<sup>26</sup>

<sup>27</sup>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ანალიზი ჩავატაროთ საქართველოს ბანკის მაგალითზე .

სს „საქართველოს ბანკი „დაფუძნდა 1994 წლის 21 ოქტომბერს , სააქციო საზოგადოების სახით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ბანკი მუშაობს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 1994 წლის 15 დეკემბერს გაცემული ზოგადი საბანკო საქმიანობის ლიცენზიის შესაბამისა.

იგი იღებს დეპოზიტებს საზოგადოებისაგან და გასცემს კრედიტებს . ახორციელებს გადარიცხვებს , როგორც საქართველოს ფარგლებში ისე მის ფარგლებს გარეთ . ბანკი ემსახურება 2.3 მილიონ მომხმარებელს, აქვს საქართველოში სერვისცენტრების ერთ–ერთი ყველაზე ფართო ქსელი. B GEO Group PLC არის ინგლისისა და უელსის დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია და წარმოადგენს ბანკის მთავარ მშობელ კომპანიას. მისი აქციები სავაჭროდ დაშვებულია გაერთიანებული სამეფოს ლისტინგის სამმართველოს ოფიციალური ჩამონათვალის პრემიუმ სეგმენტში და დაშვებულია სავაჭროდ ლონდონის საფონდო ბირჟაზე. სეპ<sup>28</sup> - ის მიზნების შესაბამისად , დაარეგულიროს ბანკები საქართველოში დამოუკიდებელ საფუძველზე და შესაბამისად შეზღუდოს ინვესტიციები არასაბანკო შვილობილ კომპანიებში ადგილობრივად დარეგულირებული საბანკო დაწესებულებებით , ბანკმა დაასრულა სამართლებრივი რესტრუქტურირება 2015 წლის აგვისტოში . შედეგად , საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნდა ახალი ჰოლდინგური კომპანია B GEO Group PLC.

ბანკი და დანარჩენი შვილობილი კომპანიები ქმნიან კომპანიათა ჯგუფს , რომელიც ძირითადად დაფუძნებულია საქართველოში და ბელორუსიაში. ჯგუფის

<sup>26</sup> ჩხაიძე ზ. – „კომერციულ ბანკებში აქტივების ოპტიმალური მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური სრულყოფა“ , თბ. 2016 წელი , გვ.10-16

<sup>27</sup> <https://bankofgeorgia.ge/>

<sup>28</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი

უმთავრესი საქმიანობა საბანკო მომსახურების გაწევას კორპორაციული და ინდივიდუალური კლიენტებისათვის.

ზოგადი ცნობები საქართველოს ბანკის შესახებ 2018 წლის მდგომარეობით:

**რეიტინგი :** Moody's: 'B1/Ba3' (foreign and local currency) ; Fitch Ratings: 'BB-'

**მთლიანი აქტივები :** 10 587 570 მლნ ლარი ( საბაზრო წილის 34,4%)

**კლიენტთა დეპოზიტები :** 2 613 3 მლნ ლარი (საბაზრო წილის 33,9 %)

**სააქციო კაპიტალი :** 1 682 9 მლნ ლარი

**წმინდა სესხები :** 6 193 1 მლნ ლარი

**შემოსავალი :** 283 მლნ ლარი

**მოგება :** 87 მლნ ლარი

ბანკის აქტივების ხარისხის შეფასების დროს შეისწავლება აქტივების სტრუქტურა ანუ თითოეული მუხლის ხვედრითი წილი აქტივების მიმართ და მათი დინამიკა. იგი საშუალებას იძლევა გაკეთდეს დასკვნები აქტივებში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებების დადებითი და უარყოფითი ტენდენციების შესახებ. ანალიზის დროს გამოიანგარიშება სხვადასხვა კოეფიციენტები. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

**გაცემული სესხები ფარდოვა აქტივებთან** - ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს ბანკის აქტიურობის ხარისხს. მისი ოპტიმალური დიაპაზონი 0,53-0,78 . ამ კოეფიციენტის მაღალი დონე აგრესიულ საკრედიტო პოლიტიკას ნიშნავს .

ჩვენს მიერ შერჩეული ბანკის ფინანსური ანგარიშგების ანალიზისათვის გამოვიყენეთ ხუთწლიანი დიაპაზონი რათა უფრო ნათლად დავინახოთ ტენდენციები და მონაცემების დინამიკა. ქვემოთ მოცემულია საქართველოს ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2013 წლიდან 2017 წლის ჩათვლით (იხ.დანართი N1 )

**ცხრილი 2.1.1 <sup>29</sup> სს „საქართველოს ბანკის“ გაცემული სესხების ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
გაცემული სესხები (ათასი ლ.)	3 485 407	4329795	5322887	6387965	7445578
მთლიანი აქტივები ( ათასი ლ.)	6 524 234	7537301	9003545	10765807	12620716
გაცემული სესხების წილი აქტივებში ( % - ად)	53	57	59	59	59

<sup>29</sup> წყარო : კომერციული ბანკების ნაერთი ბალანსი ( NBG)

როგორც ზემოთ აღნიშნეთ მოცემული კოეფიციენტის ოპტიმალური დიაპაზონი 0,53-0,78 მდე მერყეობს. როგორც დინამიკა გვიჩვენებს საქართველოს ბანკისათვის ეს მაჩვენებელი სასურველ დიაპაზონში ხვდება და სტაბილურობით ხასიათდება .

კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის რისკიანობას ახასიათებს ისეთ კოეფიციენტი როგორცაა გაცემული სესხების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან. თუ ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა 8 -ზე მეტია, ეს ნიშნავს იმას რომ ბანკს საკრედიტო საქმიანობისათვის საკუთარი კაპიტალის უკმარისობა გააჩნია. საინტერესოა როგორია ამ კოეფიციენტის მაჩვენებელი იმავე საანალიზო ბანკის მაგალითზე :

**ცხრილი 2.1.2 სს „საქართველოს ბანკის“ გაცემული სესხების წილის კოეფიციენტი საკუთარი კაპიტალის მიმართ**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
გაცემული სესხები (ათასი ლ.)	3 485 407	4 329 795	5 322 887	6 379 965	7 445 578
სულ კაპიტალი (ათასი ლ.)	1 244 315	1 461 087	1 224 607	1 265 946	1 481 928
გაცემული სესხების წილის კოეფიციენტი საკუთარი კაპიტალის მიმართ	2,80	2,96	4,35	5,04	5,02

საქართველოს ბანკის მაგალითზე აღნიშნული კოეფიციენტის მაჩვენებლებიც დამაკმაყოფილებელია . არც ერთ წელს აღნიშნული კოეფიციენტი 8 -ს არ აჭარბებს , ეს ნიშნავს იმას რომ ბანკს საკრედიტო საქმიანობისათვის საკმარისი საკუთარი კაპიტალის მოცულობა გააჩნია.

საინტერესოა წლების მიხედვით როგორი თანაფარდობაა მთლიან აქტივებსა და ფულის და ფულის ეკვივალენტებს შორის .

**ცხრილი 2.1.3 სს „საქართველოს ბანკის“ ფულადი აქტივების კოეფიციენტი მთლიან აქტივებთან**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
ფულის და ფულის ეკვივალენტები(ათასი ლ.)	1049069	709861	1376782	1487170	1501654
მთლიანი აქტივები (ათასი ლ.)	6524 234	7 537 301	9003545	10765807	12620716
ფულადი აქტივების კოეფიციენტი მთლიან აქტივებთან	0,16	0,09	0,15	0,14	0,12

ფული და ფულის ეკვივალენტები ბალანსის ყველაზე ლიკვიდურ პუნქტს წარმოადგენს. ს.ს „საქართველოს ბანკის“ შემთხვევაში ამ ლიკვიდური ნაწილის ხვედრითი წილი მერყეობით ხასიათდება. წლების განმავლობაში მათი ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში ცალსახად ზრდადობით ან კლებადობით არ ხასიათდება, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ 2015 წლიდან ეს მაჩვენებელი კლებადობით ხასიათდება რაც ნიშნავს იმას, რომ ფულისა და ფულის ეკვივალენტების ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში მცირდება.

**ცხრილი 2.1.4 სს „საქართველოს ბანკის“ გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების კოეფიციენტი მთლიან აქტივებში**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები (ათასი ლ.)	519623	769712	902240	1283902	1613759
მთლიანი აქტივები (ათალი ლ.)	6 524 234	7537301	9003545	10765807	12620716
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების კოეფიციენტი მთლიან აქტივებში	0,08	0,10	0,10	0,12	0,13

აქტივებისა და პირველ რიგში, გაცემული სესხების ხარისხის შეფასებისას მათი ვადიანობის მიხედვით მიზანშეწონილია ისეთი მაჩვენებლების სისტემის გამოყენება, რომელიც მისაღები იქნება საბანკო პრაქტიკაში. ანალიზისათვის უფრო პრაქტიკულია გაცემული სესხები დაიყოს ცალკეულ ჯგუფებად - ყველა სასესხო აქტივი მათი გაცემის ვადის მიხედვით . ამგვარი დაყოფის ყველაზე ზოგადი მეთოდია სესხების მარტივი დაჯგუფება მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან სესხებად. რამდენადაც სესხების მოკლე და გრძელი ვადით გაცემას სხვადასხვა მიზნები აქვს, განსხვავებულია ამ ჯგუფების ანალიზის მაჩვენებლებიცა და მეთოდებიც. სასესხო დავალიანების შემთხვევაში ყველაზე გავრცელებული ანალიტიკური მაჩვენებლები შეიძლება იყოს :

- სასესხო დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი -  $K_0$
- სასესხო დავალიანების დაფარვის პერიოდი  $T_p$

სასესხო დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი განისაზღვრება განსახილველ პერიოდში სასესხო დავალიანების საკრედიტო ბრუნვის ფარდობით სასესხო დავალიანების საშუალო ნაშთთან :

$$K_o = \frac{O_k}{C}$$

ამასთან, სასესხო დავალიანების საშუალო ნაშთი (C) გამოითვლება მარტივი საშუალოარიტიმეტიკული ფორმულით, ანუ როგორც სასესხო დავალიანების ნაშთების ნახევარჯამები განსახილველი პერიოდის დასაწყისისა და დასასრულისთვის:

**ცხრილი 2.1.5 სს „საქართველოს ბანკის“ სასესხო დავალიანების საშუალო ნაშთი (C)**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
სასესხო დავალიანების ნაშთები (ათალი ლ.)	6519074	7815202	9652682	11702852	13825543
სასესხო დავალიანების საშუალო ნაშთი (C)	3259537	3907601	4826341	5851426	6912772

სასესხო დავალიანების საშუალო ნაშთის გამოსათვლელად საჭიროა გამოვთვალოთ წლების მიხედვით მისი მარტივი საშუალო არითმეტიკული. ეს მაჩვენებელი გვჭირდება რათა საბოლოოდ გაანგარიშდეს სასესხო დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი .

**ცხრილი 2.1.6 სს „საქართველოს ბანკის“ სასესხო დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
კლიენტებზე გაცემული სესხები (ათასი ლ.)	3 485407	4 329795	5 322 887	6 379 965	7445578
სასესხო დავალიანების საშუალო ნაშთი (C)	3259537	3907601	4826341	5851426	6912772
სასესხო დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი	1,07	1,11	1,10	1,09	1,08

ბრუნვადობის მაჩვენებლები შეიძლება გამოითვალოს როგორც ბანკის მთელი სასესხო დავალიანების მიხედვით, ისე მისი ცალკეული სახეების მიხედვით, მაგალითად, კომერციულ კრედიტებზე, ნდობის კრედიტებზე, ფიზიკურ პირებზე გაცემულ მოკლევადიან კრედიტებზე, ბანკებში დეპოზიტებზე, მოკლევადიან დაბანდებებსა და სხვ. ბრუნვადობის მაჩვენებლებს გააჩნიათ არა მხოლოდ დამოუკიდებელი მნიშვნელობა ბანკის მიმდინარე აქტივების შეფასებისას, არამედ მათი გამოყენება შესაძლებელია კრიტერიალურ მაჩვენებლებად საბანკო დაკრედიტების ამა თუ იმ პირობების დადგენისას. მაგალითად, ბრუნვადობის მაჩვენებლების საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს საჯარიმო წანამატები ან საშეღავათო დაქვითვები იმ ძირითად საპროცენტო განაკვეთზე, რომელიც დადგენილია მსესხებლისათვის კონტოკორენტულ კრედიტზე, რომელიც ეხსნება განსაკუთრებულად მაღალი რეპუტაციის მქონე

საწარმოებს. მას გააჩნია მიზნობრივი დანიშნულება - საწარმოების მიმდინარე სამეწარმეო საქმიანობის დაფინანსება.

საინტერესოა როგორ იცვლებოდა წლების განმავლობაში საქართველოს ბანკის მიერ კლიენტებზე გაცემული სესხების დინამიკური მაჩვენებელი (საბაზისო წლად ავიღოთ 2013 წელი) :

**ცხრილი 2.1.7 სს „საქართველოს ბანკის“ კლიენტებზე გაცემული სესხების დინამიკური მაჩვენებელი**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
კლიენტებზე გაცემული სესხები (ათასი ლ.)	3485407	4329795	5 322 887	6379965	7445578
კლიენტებზე გაცემული სესხების დინამიკური მაჩვენებელი (% -ად)	100	124.23	152.72	183.05	213.62

როგორც ცხრილიდან ჩანს კლიენტებზე გაცემული სესხების დინამიკური მაჩვენებელი ზრდადობით ხასიათდება. ეს ნიშნავს იმას, რომ 2013 წლიდან 2017 წლამდე კლიენტებზე გაცემული სესხების რაოდენობა საგრძნობლადაა გაზრდილი.

**ცხრილი 2.1.8 სს „საქართველოს ბანკის“ არამატერიალური აქტივების ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
მთლიანი აქტივები (ათასი ლ.)	6 524 234	7537301	9003545	10765807	12620716
არამატერიალური აქტივები (ათასი ლ.)	26434	34432	30669	35814	50948
არამატერიალური აქტივების ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში (%-ად)	0,41	0,46	0,34	0,33	0,40

უნდა აღინიშნოს, რომ არამატერიალური აქტივების ხვედრითი წილი მთლიან აქტივებთან 2015 წლიდან უფრო მეტად კლებულობს ვიდრე ეს იყო 2013-2014 წლებში. ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალი 2016 წელს იყო.

რამდენადაც საბანკო აქტივები გარკვეული რისკის ქვეშაა, ბანკმა პერიოდულად უნდა განსაზღვროს აქტივების რისკის ხარისხი და გააჩეროს იგი განსაზღვრულ დონეზე ბანკის პოლიტიკისა და მოცემულ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. ბანკის აქტივების სტრუქტურის შესწავლის საფუძველზე შეიძლება, განვასხვავოთ რისკის სხვადასხვა სახეები. ასე მაგალითად, პროცენტული რისკი შეიძლება განისაზღვროს

კონკრეტული ოპერაციებით, რომლებიც უკავშირდება პროდუქტებისა და მომსახურეობის შექმნას. სწორედ ამ სახის რისკის განსაზღვრისას გამოიყენება აქტივების სტრუქტურის ანალიზის შედეგები. აქტივების ხარისხის შეფასება რისკის ხარისხის მიხედვით საჭიროებს აქტივების არა მხოლოდ მოცულობისა და ხვედრითი წილის ანალიზს, რომლებიც შეწონილია რისკის ხარისხთან და რისკის თითოეული ჯგუფის ხვედრითი წილის განსაზღვრას, არამედ კრიტიკული და არასრულფასოვანი აქტივებისა და მათი ცვალებადობის მოცულობების ანალიზს.

რისკის ხარისხის მიხედვით აქტივების კლასიფიკაცია არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომლის საშუალებითაც ხდება აქტივების ხარისხის და მისი რისკიანობისადმი მგრძობელობის განსაზღვრა. მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში და მათ შორის საქართველოში დამკვირდებულია „რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების“ ცნებას, რომელიც გულისხმობს აქტივების კლასიფიკაციას მათთან დაკავშირებული რისკის მიხედვით. ამგვარი აქტივები გამოიყენება კომერციული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრისათვის და იგი მოიცავს საკრედიტო და საბაზისო რისკებით შეწონილ აქტივებს. საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტი პარტნიორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი, ხოლო საბაზისო რისკი არის ბაზარზე ფასების მერყეობის შედეგად ბანკის აქტივების ღირებულების ცვლილებით გამოწვეული რისკი.

ბანკის აქტივები იყოფა 4 კატეგორიად და თითოეულ კატეგორიის აქტივებს შეესაბამება საკრედიტო რისკის კოეფიციენტი :

I კატეგორიის აქტივები, 0 % -იანი საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 0;

II კატეგორიის აქტივები, 20 % - იანი საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 0,2 ;

III კატეგორიის აქტივები, 50 % - იანი საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 0,5;

IV კატეგორიის აქტივები, 100 % -იანი საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 1.0 %



პირველი კლასის აქტივები ესენია, ბანკის ფულადი სახსრები და პორტფელში მყოფი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. ამ აქტივების საკრედიტო რისკის მაჩვენებელი 0 % - ია . მეორე კლასის აქტივები ესენია გაცემული მოკლევადიანი სესხები , ბანკთაშორისი კრედიტები, ნაყიდი კომერციული ფასიანი ქაღალდები.მესამე კლასის აქტივები მოიცავს გრძელვადიან სესხებს, საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს და ა.შ. ხოლო მეოთხე კლასში შედის არალიკვიდური აქტივები , როგორცაა: ვადაგადაცილებული სესხები , ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები. რისკის მიხედვით შეწომილი აქტივები გამოითვლება როგორც, თითოეული კატეგორიის აქტივის თანხის მათივე რისკის კოეფიციენტზე ნამრავლების ჯამი.

**ცხრილი 2.1.9 სს „საქართველოს ბანკის“ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
I კატეგორია კოეფიციენტი (0)	0	0	0	0	0
II კატეგორია კოეფიციენტი (0,2)	487701.04	603275.8	782481.84	953692.8	1136737.96
III კატეგორია კოეფიციენტი (0,5)	956892.9	1250815	1515697.4	1917944	2295995.1
IV კატეგორი კოეფიციენტი (1)	497103	622945	338361	346083	356422

ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებული კაპიტალის სტანდარტების პარალელურად სებ-მა დანერგა ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR – Liquidity Coverage Ratio), რომლის მიზანია, კომერციული ბანკი ფლობდეს ლიკვიდურ აქტივებს, რომელიც საკმარისი იქნება ფინანსური სტრესის დროს მთლიანი წმინდა ფულადი გადინების გადასაფარად. ამისთვის საჭიროა, ბანკმა შეინარჩუნოს ადეკვატური ლიკვიდობის მარაგი, რომელიც საშუალებას მისცემს ბანკს გაუმკლავდეს მოსალოდნელ სხვაობას ლიკვიდური სახსრების შემოდინებასა და გადინებას შორის 30-დღიან სტრესულ პირობებში. გარდა ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტისა, კომერციული ბანკების ლიკვიდობა რეგულირდება საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტის საშუალებითაც, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო თვის საშუალო ლიკვიდური აქტივებისა და საანგარიშგებო თვის საშუალო ვალდებულებების შეფარდებას.

ლიკვიდურობის კოეფიციენტი ახასიათებს, რამდენად შეუძლია ბანკს, დაფაროს მისი მიმდინარე ვალდებულებები და აგრეთვე, შეეძლოს სესხების გაცემის ზრდა. იგი ბანკის საიმედოობას და ფინანსურ სტაბილურობას ახასიათებს. ბანკის აქტივების ეფექტური მართვა უზრუნველყოფს ბანკის მაღალ ლიკვიდურობას. ეს უაკანასკნელი, უზრუნველყოფილია იმით, რომ იგი მუდმივად იტოვებს მოკლევადიან, მაღალი ხარისხის აქტივებს. ამიტომ, ლიკვიდობის საფასური წარმოადგენს იმ მოგებაზე უარის თქმას, რომელსაც იღებენ გრძელვადიანი ნაკლები ხარისხის აქტივებიდან. თუ ბანკს არ ექნება ლიკვიდური აქტივების საკმარისი მარაგი, მაშინ მან უნდა მოახდინოს აქტივების რესტრუქტურირება ან მოიპოვოს ახალი ვალდებულებები. კომერციული ბანკის ლიკვიდურობა მისი ფინანსური მდგომარეობის მდგრადობის აუცილებელი პირობაა, აქტიური და პასიური ოპერაციების რისკიანობასთან, პორტფელის დაბალანსებულობასთან და ოპერაციების შემოსავლიანობასთან ერთად.

ლიკვიდურობას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ბანკისათვის, ასევე მათი კლიენტებისათვის. კერძოდ: კლიენტებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ მათი დაბანდების უკან დაბრუნება. ბანკებს შეუძლიათ საშუამავლო ოპერაციების შესრულება, რითაც ეკონომიკის აქტიურობასა და ეკონომიკური კრიზისების თავიდან აცილებას უწყობენ ხელს. ამდენად, ბანკების ლიკვიდურობის აუცილებელი დონის დაცვა მთალი ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებში შედის.

პრაქტიკაში გავრცელებულია აბსოლუტური, საშუალო და საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტები.

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი გამოიანგარიშება ფულადი თანხების ჯამის ფარდობით, მიმდინარე ვალდებულებებთან. ამ კოეფიციენტის მინიმალურ დონედ მიღებულია 20%.

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი გამოითვლება მიმდინარე აქტივების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან. ბანკებში ეს კოეფიციენტი უნდა იყოს მიმდინარე ვალდებულებების არანაკლებ 90 %. იგი მიაჩნებოდა იმაზე, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია თუ არასტაბილური.

საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი - საანგაროშგებო პერიოდის საშუალო ლიკვიდური აქტივები უნდა იყოს საშუალო ვალდებულებების არანაკლებ 30 % .

**ცხრილი 2.1.10 ს.ს „საქართველოს ბანკის“ აბსოლუტური ლიკვიდურობის  
კოეფიციენტის მაჩვენებელი**

მაჩვენებელი	2013	2014	2015	2016	2017
ფული და ფულის ეკვივალენტები (ათასილ.)	3485407	4329795	5322887	6379965	7445578
მიმდინარე ვალდებულებები (ათასი ლ.)	2091244.2	2597877	3193732.2	3827979	4467346.8
აბსოლუტური ლიკვიდურობის მაჩვენებელი ( % -ად)	50	27	43	39	34

აქტივების ხარისხის , აქტივების სხვადასხვა მუხლის გაუფასურების ან დაკარგვის რისკი, მათი შეფასება არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კომერციული ბანკის მართვისათვის. კომერციული ბანკის აქტივების ხარისხის განსაზღვრა ხდება იმის ანალიზით, თუ რამდენად ოპტიმალური და ჯანსაღია მისი სტრუქტურა , ხომ არ არის მასში რისკიანი აქტივების დასაშვებად ზომაზე მეტი მოცულობა. დივერსიფიცირებულია თუ არა საინვესტიციო და საკრედიტო მიმართულებები , ადეკვატირად არის თუ არა ასახური ბალანსში ყველა აქტივი. აქტივების ხარისხის დადგენა ხდება შეფასების სხვადასხვა მეთოდებით .

ბალანსის აქტივების ანალიზი არის ამ რესურსების გამოყენების მიმართულებათა კლასიფიკაცია და სტრუქტურა, ანუ სად, რა მიზნით, რა მოცულობით, რა ფასად, რა რისკითა და ვადით უნდა მოხდეს მათი განთავსება. ბანკის აქტივების ხარისხის ანალიზისას ნათლად ჩანს მისი მენეჯმენტის უნარი, მიიღოს მაქსიმალური მოგება მინიმალური დანახარჯებით და ლიკვიდურობის აუცილებელი დონის შენარჩუნებით, ანუ რამდენად უზრუნველყოფს იგი ოპტიმალურად გაანაწილოს საკუთარი და მოზიდული სახსრები სხვადასხვა სახეობის აქტივებში .

ის, თუ რამდენად ოპტიმალურია აქტივების სტრუქტურა, რამდენა საიმედოდაა ისინი დაბანდებული და რამდენად არის დაცული ბალანსი მომგებიანობასა და რისკიანობას შორის განაპირობებს კომერციული ბანკის მდგრადობას. ამ ბანკში განთავსებული დეპოზიტების და სხვა სახსრების უსაფრთხოების გარანტირებას. აქედან გამომდინარე ცალკეული ბანკის და მთლიანად საბანკო სისტემის მიერ აქტივების

განთავსებისას ფრთხილ და გონივრულ გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება.<sup>30</sup>

## 2.2 ბალანსის პასივების ხარისხის ანალიზი

კომერციული ბანკის ბალანსი არის ის სარკე, რომელიც სრულად ასახავს ბანკის მდგომარეობას მოცემული მომენტისათვის. ის ინფორმაცია, რომელიც იკითხება თუნდაც გამსხვილებული მუხლებით წარმოდგენილი, ე.წ. „მოკლე“ ბალანსიდან, პასუხს სცემს ბევრ საინტერესო კითხვას ამ კომერციული ბანკის შესახებ. ბალანსიდან შესაძლოა გავიგოთ პირველადი ინფორმაცია ბანკის მასშტაბებზე, რესურსების სტრუქტურასა და წყაროებზე. კომერციული ბანკის ბალანსი- ესაა ბუღალტრული ბალანსი, რომელიც ასახავს კომერციული ბანკის საკუთარი და მოზიდული სახსრების მდგომარეობას და მათ განთავსებას სხვადასხვა აქტიურ ოპერაციებში, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს. იგი საბუღალტრო აღრიცხვის ძირითადი დოკუმენტია.

საქართველოში კომერციული ბანკის ბალანსი, როგორც მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის უპირველესი წყაროს მნიშვნელობა კარგად ჩანს „<sup>31</sup>გამჭვირვალობის წესში“. ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შედგება აქტივებისაგან, ვალდებულებებისაგან და საკუთარი კაპიტალისაგან რომელთა შორის შესაბამისობა გამოისახება ბალანსის ცნობილი ფორმულით:

**აქტივები = ვალდებულებები + საკუთარი კაპიტალი**

ბალანსის აქტივების ხარისხის ანალიზი პირველ ქვეთავში განვიხილეთ, ეს ნაწილი კი პასვების ხარისხის ანალიზს მოიცავს. ანალიზისათვის კვლავ საქართველოს ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება გამოვიყენოთ.

თითოეული კომერციული ბანკი დამოუკიდებლად განსაზღვრავს საკუთარი პასივების სტრუქტურას, რაც განპირობებულია კონკრეტული ბანკის განვითარების სტრატეგიით, ბაზარზე კონკრეტული დონით, აქციონერების ფინანსური

<sup>30</sup> კოვზანაძე ი. კონტრიძე გ. – „ თანამედროვე საბანკოს საქმე :თეორია და პრაქტიკა „ თბ.2014 წელი , გვ 180-181

<sup>31</sup> დოკუმენტის თანახმად, ქვეყანაში საბაზრო დისციპლინის განმტკიცებისა და საბანკო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა გამჭვირვალობა. ეს ყოველივე კი მიიღწევა კომერციული ბანკების მიერ ფინანსურ ანგარიშგებათა საჯაროობით

შესაძლებლობებით, ბანკის იმიჯით მის მიერ განხორციელებული აქტიური ოპერაციების მოცულობით, ხასიათით და რისკის დონით.

ბანკის პასივების სტრუქტურა მრავალფეროვანია და მისი თითოეული კომპონენტის როლი და დანიშნულება განსაკუთრებულია . საქართველოს ბანკის პასივები შემდეგი კომპონენტებისაგამ შედგება :

- ვალდებულებები;
- ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე;
- ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე;
- სავალო ვალდებულებების სახით გამოშვებული ფასანი ქაღალდები;
- მიმდინარე მოგების გადასახადი;
- გადავადებული მოგების გადასახადი;
- რეზერვები;
- სხვა ვალდებულებები;
- კაპიტალი;
- სააქციო კაპიტალი;
- დამატებით შეტანილი კაპიტალი;
- სახაზინო აქციები;
- სხვა რეზერვები;
- გაუნაწილებელი მოგება;
- ბანკის აქციონერებს მიკუთვნებული მთლიანი კაპიტალი;
- კონტროლის არმქონეთა წილი

დეპოზიტური სახსრები , რომელთა მოზიდვა ხდება დეპოზიტური ოპერაციების შედეგად არის სწორედ ის მთავარი „მიზეზი“ , რის გამოც კომერციული ბანკები მოექცნენ ცენტრალური ბანკების ინტერესისა და განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ.კომერციული ბანკების დეპოზიტების სტრუქტურა მრავალფეროვანია და მათი კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს ვადიანობის , მფლობელების, ვალუტის , რეზიდენტობისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

არადეპოზიტური სახსრები ბანკის რესურსების არანაკლებ მნიშვნელოვანი წყაროა. ამგავრი ოპერაციები შეიძლება დავაჯგუფოთ სამ ძირითად ტიპად :

- ბანკების ანგარიშები წარმოადგენს იმ ანგარიშებს , რომლებზე განთავსებულია სხვა ბანკების მიმდინარე სახსრები და ვადიანი დეპოზიტები .<sup>32</sup>ანგარიშებს , რომლებიც გახსნილია კონკრეტულ ბანკში სხვა კომერციული ბანკისათვის , „ლორო“ ანგარიშებს უწოდებენ.ანგარიშის მფლობელი ბანკისათვის ლორო ანგარიში ცხადია აქტივში აღირიცხება და მისთვის ეს „ ნოსტრო „ ანგარიშია.
- ნასესხები სახსრები განსხვავებით საბანკო დეპოზიტებისაგან არის გრძელვადიანი რესურსების წყარო , რომელიც ძირითადად წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებულ ნასესხებ სახსრებს.
- საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები არის რესურსების მოზიდვის ახალი და მეტად საინტერესო ინსტრუმენტი. ამ ტიპის ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება ობლიგაციები , რომელთაც უშვებენ კომერციული ბანკები .

ს.ს „საქართველოს ბანკში“ მენაბრეთა წინაშე ვალდებულებების ხვედრითი წილი მთლიან ვალდებულებებში

**ცხრილი 2.2.1 ს.ს „საქართველოს ბანკში“მენაბრეთა წინაშე ვალდებულებების ხვედრითი წილი მთლიან ვალდებულებებში**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
ვალდებულებები მენაბრეთა წინაშე (ათასი ლ.)	3,117,757	3,473,429	5025677	5773512	7,123,866
მთლიანი ვალდებულებები ( ათასი ლ.)	5,279,919	6,076,214	7,778,938	9,499,861	11,138,797
მენაბრეთა წინაშე ვალდებულებების ხვედრითი წილი მთლიან ვალდებულებებში (%-ად)	59	57	65	61	64

წლების მიხედვით მენაბრეთა წინაშე ვალდებულებების ხვედრითი წილი მთლიან ვალდებულებებში რამდენიმე ერთეულით ყოველწლიურად იზრდება. გამონაკლისი მხოლოდ 2016 წელია 2015 წელთან შედარებით ამ მაჩვენებლის წილი 4 % ით არის შემცირებული .

<sup>32</sup> BOG -ის ვალდებულების მეორე მუხლი - ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულების წინაშე.

**ცხრილი 2.2.2 ს.ს „საქართველოს ბანკის“ რეზერვების დინამიკური მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგია**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
რეზერვები (ათასი ლ.)	481	4732	2254	3380	2815
რეზერვების დინამიკური მაჩვენებლები	1	9,84	4,69	7,03	5,85

ძირითადი კოეფიციენტები , რომლებიც ბანკის პასივების ხარისხიანობის ინტენსივობას ახასიათებს , შემდეგია :

პასივების ხარისხის ანალიზის ერთ-ერთი გავრცელებული კოეფიციენტია ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით :

$$\text{ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \text{ვალდებულებები} / \text{აქტივები}$$

**ცხრილი 2.2.3 ს.ს „საქართველოს ბანკის“ ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
მთლიანი აქტივები (ათასი ლ.)	6,524,234	7,537,301	9,003,545	10,765,807	12,620,716
სულ ვალდებულებები (ათასი ლ.)	5,279,919	6,076,214	7,778,938	9,499,861	11,138,797
ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი	0,81	0,81	0,86	0,88	0,88

მისი ოპტიმალური მნიშვნელობა 0,2 და 0.35 -მდე ინტერვალში უნდა იყოს . იგი ბანკის საიმედოობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

როგორც ვიცით ბანკები დამატებითი სახსრების მოძიებისათვის უშვებენ სავალო ფასიან ქაღალდებს . ამასთან საქართველოს ბანკის აქციები განთავსებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე . საინტერესოა როგორია მისი სავალო ფასიანი ქაღალდების დინამიკა და სტრუქტურა წლების მიხედვით


**ცხრილი 2.2.4 ს.ს „საქართველოს ბანკში“სავალო ფასიანი ქაღალდების ხვედრითი წილი მთლიან პასივებში**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
სავალო ფასიანი ქაღალდები (ათასი ლ.)	728,117	856,695	940945	177271	749655
მთლიანი პასივები (ათასი ლ.)	6,524,234	7,537,301	9,003,545	10,765,807	12,620,725
ბანკში“სავალო ფასიანი ქაღალდების ხვედრითი წილი მთლიან პასივებში (%-ად)	11	11	10	2	6

**ცხრილი 2.2.5 წლების მიხედვით ს.ს „საქართველოს ბანკის“ სავალო ფასიანი ქაღალდების დინამიკური მაჩვენებელი (საბაზისო წელი 2013)**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
სავალო ფასიანი ქაღალდები (ათასი ლ.)	728,117	856,695	940945	177271	749655
სავალო ფასიანი ქაღალდების დინამიკური მაჩვენებელი	1,00	1,18	1,29	0,24	1,03

**2.2.1 ს.ს „საქართველოს ბანკის“ სავალო ფასიანი ქაღალდების დინამიკური მაჩვენებელი**



გამოთვლებიდან ჩანს, რომ 2013-2015 წლებში ფასიანი ქაღალდების დინამიკური მაჩვენებელი ზრდადობით ხასიათდება. ჩავარდნა იყო 2016 წელს, ხოლო 2017 წელს მაჩვენებელმა 1,03 მიაღწია.

კომერციული ბანკების საკუთარი სახსრების სტრუქტურა არცთუ ისე მარტივია



საქართველოს ბანკს კაპიტალი დაყოფილი აქვს შემდეგ კომპონენტებად : სააქციო კაპიტალი; დამატებითი შენატანები კაპიტალში ; სახაზინო აქციები; სხვა რეზერვები; გაუნაწილებელი მოგება;კონტროლის არმქონეთა წილი;

საწესდებო კაპიტალის მინიმალური მოცულობისადმი საქართველოში არსებული მოთხოვნა ეროვნული ბანკის მხრიდან განპირობებულია საერთაშორისო პრაქტიკით, კერძოდ ბაზელის კომიტეტის<sup>33</sup> რეკომენდაციით , რომელიც განსაზღვრავს საწესდებო კაპიტალის მინიმალურ სასურველ ოდენობას 5 მლნ ევროს ოდენობით.

<sup>34</sup>რამდენიმე წლის წინ საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა გაეზარდათ . ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით, კომერციული ბანკებისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნა, ამჟამად დაწესებული 12 მილიონი ლარიდან 50 მილიონამდე გაიზარდა.აღნიშნული ცვლილების მიზანია დაბალი კაპიტალიზაციის მქონე ბანკებში რისკის შეზღუდვა და სისტემაში ფინანსურად მდგრადი ინსტიტუტების დამკვიდრება, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს საბანკო სისტემის ფინანსური სტაბილურობას.ბრძანების გამოცემამდე საქართველოში უკვე ლიცენზირებული კომერციული ბანკებისთვის აღნიშნული მოთხოვნის შესრულების ვადები სამ ეტაპად დაიყო, რომელთა მიხედვითაც მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი, 2017 წლის 31 დეკემბრისათვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ 30 მილიონ ლარს, 2018 წლის 30 ივნისისათვის არანაკლებ 40 მილიონ ლარს და 2018 წლის 31 დეკემბრისათვის არანაკლებ 50 მილიონ ლარს.<sup>35</sup>

**ცხრილი 2.2.6 ს.ს „საქართველოს ბანკის“ საკუთარი კაპიტალი ხვედრითი წილი აქტივებში**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
მთლიანი აქტივები (ათასი ლ.)	6,524,234	7,537,301	9,003,545	10,765,807	12,620,716
სულ კაპიტალი (ათასი ლ.)	1244315	1461087	1224607	1265946	1481928
საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წილი აქტივებში (%-ად)	19	19	14	12	12

<sup>33</sup> კომერციული ბანკების საზედამხედველო კომიტეტი.იგი შედგება ბელგიის , კანადის, საფრანგეთის,გერმანიის, იტალიის, იაპონიის, ლიქსენბურგის,ნიდერლანდების,შვედეთს,შვეიცარიის, დიდი ბრიტანეთი, ჩრდილოეთ ირლანდიის და აშშ-ს საბანკო ზედამხედველობის ორგანოებისაგან და ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელობას წარმოადგენს.

<sup>34</sup> <https://imedinews.ge/ge/ekonomika/11925/komertsiuli-bankebistvis-satsesdebo-kapitalis-odenoba-gaizarda>

<sup>35</sup> <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2>

**საკუთარი კაპიტალის წილი აქტივებში = საკუთარი კაპიტალი / აქტივები**

ეს კოეფიციენტი 0.08 - სა და 0.15 ინტერვალში შეიძლება იყოს. თუ იგი 8 % - ზე ნაკლები აღმოჩნდა , შეიძლება ვივარაუდოთ რომ ბანკი გაკოტრების წინაშეა. ჩვენს შემთხვევაში საქართველოს ბანკს გაკოტრება ნამდვილად არ ემუქრება.

ჯგუფი მართავს კაპიტალს ბიზნესთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიზნით. ჯგუფის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტებით და კაპიტალის შესახებ ბაზელის 1988 წლის შეთანხმებით.დამტკიცებული და გამოქვეყნებულია 2013 წლის 28 ოქტომბერს სებ-ის მიერ, ახალი კაპიტალის ადეკვატურობის რეგულაცია ძალაში შევიდა 2014 წელს, ბაზელი II/III-ის საფუძველზე, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა სებ-ის დისკრეციულ პუნქტებთან. პილარ 1 მოთხოვნები ძალაში შევიდა 2014 წლის 30 ივნისს, პილარ II მოთხოვნები ძალაში შევიდა 2015 წლის 30 ივნისს. გარდამავალი პერიოდი უნდა გაგრძელდეს 2017 წლის 31 დეკემბრამდე, რომლის განმავლობაშიც ბანკი ვალდებული იქნება შეასრულოს სებ-ის როგორც ახალი, ასევე მიმდინარე კაპიტალთან დაკავშირებული რეგულაციები. ს.ს „საქართველოს ბანკის“ კაპიტალის მართვის ძირითადი მიზანია, კაპიტალის ადეკვატურობის გარე მოთხოვნებთან ბანკის შესაბამისობის უზრუნველყოფა და მაღალი საკრედიტო რეიტინგისა და ჯანსაღი კაპიტალის კოეფიციენტების შენარჩუნება, რაც უზრუნველყოფს ბიზნესის დაცვასა და აქციონერთათვის ღირებულების გაზრდას.

საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნით, ბანკი ვალდებულია შეინარჩუნოს კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური განაკვეთი, რისკით შეწონილი აქტივების 10,8%-ის ოდენობით, რაც გამოითვლება სებ-ის აქტების შესაბამისად მომზადებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით.

**ცხრილი 2.2.7 ს.ს „საქართველოს ბანკის“ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (%-ად)	15,40%	13,80%	13,20%	13,50%	16,90%

2014 წლის 30 ივნისს ძალაში შევიდა, სებ-ი მოითხოვს, რომ ბანკებმა იქონიონ რისკ-შეწონილი აქტივების მინიმალური მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი

10.5%, რომელიც გაანგარიშებულია სეზონის რეგულაციებისა და განცხადებების შესაბამისად მომზადებული ბანკის დამოუკიდებელი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე, ბაზელ II/III მოთხოვნების მიხედვით. ამის საფუძველზე 2017 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი იყო შემდეგი :

**ცხრილი 2.2.8 სს „საქართველოს ბანკის“ მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
1-ლი რიგის კაპიტალი (ათასი ლ.)	1170101	1431399	1232808	1240270	1471714
გამოქვითები კაპიტალიდან (ათასი ლ.)	0	-49633	-33340	-33340	-33340
მე-2 რიგის კაპიტალი (ათასი ლ.)	256224	249419	471777	561713	560771
გამოქვითები კაპიტალიდან (ათასი ლ.)	-51147	-1522	-1163	-9	-9
<b>სულ კაპიტალი (ათასი ლ.)</b>	<b>1375178</b>	<b>1629663</b>	<b>1670082</b>	<b>1768634</b>	<b>1999136</b>
<b>რისკ შეწონილი კაპიტალი (ათასი ლ.)</b>	<b>5080827</b>	<b>6252992</b>	<b>6692485</b>	<b>7929784</b>	<b>9750829</b>
მთლიანი კაპიტალის კოეფიციენტი (%-ად)	27,10%	26,10%	25,00%	22,30%	20,50%
1-ლი რიგის კაპიტალის კოეფიციენტი (%-ად)	23,00%	22,10%	17,90%	15,20%	14,80%
<b>მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (%-ად)</b>	<b>8,00%</b>	<b>8,00%</b>	<b>8,00%</b>	<b>8,00%</b>	<b>8,00%</b>

ბანკის ფინანსური სიძლიერის, გადახდისუნარიანობის, საიმედოობისა და მდგრადობის შეფასების ძირითადი კომპონენტია კაპიტალის ადეკვატურობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ბანკის კაპიტალის არსსა და მიზნებს. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრისა და შეფასებისათვის გამოიყენება ბანკის სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კოეფიციენტები და მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის განმსაზღვრელი სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კოეფიციენტები ეს არის პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი. პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი არის ბანკის პირველადი კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან, რომლის მიხედვით ბანკის პირველადი კაპიტალი უნდა იყოს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების არანაკლებ 8 პროცენტისა. საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი არის ბანკის საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან, რომლის მიხედვით ბანკის საზედამხედველო

კაპიტალი უნდა იყოს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების არანაკლებ 12 პროცენტისა. საქართველოში მოქმედი ბანკისათვის მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა დგინდება ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით.<sup>36</sup>

---

<sup>36</sup> კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება - დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 17 სექტემბრის N 237 ბრძანებით. (შეტანილია ცვლილება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2003 წლის 23 დეკემბრის N 298 ბრძანებით)

## თავი 3. ფინანსური შედეგების ანალიზი საანალიზო ბანკის მაგალითზე

### 3.1 შემოსავლების ანალიზის შედეგები

საწარმოს საქმიანობის შესაფასებლად აუცილებელია მოგების სიდიდის დადგენა, რისთვისაც აუცილებელია ორი ელემენტის საერთო შემოსავლისა და საერთო ხარჯების სიდიდის ცოდნა. შემოსავალი ეს არის ფირმის ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც დაკავშირებული არ არის საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეთა დამატებით შენატანებთან. ყველა ბიზნესის მფლობელის მთავარ მიზანს წარმოადგენს შემოსავლის ზრდა და ამის საფუძველზე მოგების მაჩვენებლების გაუმჯობესება. კომპანიები ყოველწლიურად ახდენენ შემოსავლის ანალიზს, რათა დაადგინონ თუ როგორ შეიცვალა მისი დონე წინა წელთან შედარებით. არის თუ არა საანგარიშგებო პერიოდში მონაცემები გაუმჯობესებული, ანალიზის შედეგები მენეჯმენტს საშუალებას აძლევს განსაზღვროს რა გზებით შეიძლება მიღწეულ იქნეს შემოსავლის სასურველი დონე.

შემოსავლების ცნება მოიცავს ამონაგებსა და შემოსულობას. ამონაგები არის საწარმოში შემოსული ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხა, რომელიც მიიღება საწარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან. შემოსავლები არსებობს სხვადასხვა სახის, როგორცაა: ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან, ამონაგები მომსახურების გაწევიდან, საპროცენტო შემოსავალი, დივიდენდი, როიალტი და საიჯარო ქირა.

ს.ს „საქართველოს ბანკის“ შემოსავლის მუხლები შემდეგნაირად გამოიყურება:

- საპროცენტო შემოსავალი;
- შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან;
- უძრავი ქონებიდან წმინდა შემოსავალი;
- სხვა საოპერაციო შემოსავლები;
- საოპერაციო შემოსავლები საკრედიტო რისკის ხარჯამდე;
- წლიური სრული შემოსავლები;

ს.ს „საქართველოს ბანკის“ სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემდეგი კონკრეტული კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს ვიდრე მოხდება შემოსვლის აღიარება :

**პროცენტი და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი :** ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის და სავაჭროდ გამიზნული ან გასაყიდად არსებული საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდებისათვის, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღრიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.<sup>37</sup>

**შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან :** ჯგუფი იღებს შემოსავალს გასამრჯელოდან და საკომისიოდან მომხმარებელთათვის გაწეული სხვადასხვა მომსახურებიდან, რაც შესაძლოა დაიყოს შემდეგ ორ კატეგორიად:

**შემოსავალი საოპერაციო მომსახურებიდან მიღებული გასამრჯელოდან**

მესამე მხარეთა ოპერაციებთან (როგორებიცაა აქციების თუ სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა თუ საწარმოს შესყიდვა ან გაყიდვა) დაკავშირებული მოლაპარაკებებიდან ან მოლაპარაკებებში მონაწილეობიდან მიღებული თანხები აღრიცხულია გარიგების დასრულებისას. გარიგებებთან დაკავშირებული გასამრჯელო ან გასამრჯელოს კომპონენტები, აღიარებულია შესაბამისი პირობების შესრულების შემდგომ. გასამრჯელო ან მისი კომპონენტები, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ შესრულებასთან, აღიარებულია შესაბამისი კრიტერიუმების შესრულების შემდეგ.

**კლიენტების ლოიალობის პროგრამა**

კლიენტების ლოიალობის პროგრამის ქულები, რომლებიც აკუმულირებულია ამ ბიზნესში განიხილება როგორც გადავადებული შემოსავალი და აღიარებულია შემოსავლებში თანდათან, როცა ხდება მათი მიღება. ჯგუფი აღიარებს კლიენტის ლოიალობის პროგრამიდან მიღებულ მთლიან შემოსავალს, როცა განხორციელების ვალდებულება შესრულდება ე.ი. როცა კლიენტი გამოისყიდის ქულებს ან ქულები ამოიწურება, როცა ჯგუფი მოქმედებს როგორც ხელმძღვანელი და პირიქით, ჯგუფი ზომავს სხვაობას თავის შემოსავალს, როგორც მის ანგარიშზე არსებულ თანხას, რომელიც

---

<sup>37</sup> კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გამოთვლისას გათვალისწინებულია ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი და ამ ხარჯების გაწვევის პერიოდი; დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გამოთვლისას გათვალისწინებულია ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი, მიღებული/მისაღები სარგებელი და აღნიშნული ხარჯების გაწვევისა და სარგებლის მიღების პერიოდი;

წარმოადგენს მასტიმულირებელ დანარიცხებს და მესამე მხარისთვის კრედიტორული დავალიანებებისთვის გამოყოფილ თანხას შორის, რომელიც უზრუნველყოფს სტიმულირებას რაც შეიძლება მალე როგორც კი მოხება მასტიმულირებელი დარიცხვები, როცა ჯგუფი მოქმედებს როგორც აგენტი. თვითოეულ საანგარიშგებო დღეს ჯგუფმა შეაფასა დაგროვილი ქულების ნაწილი, რომელიც მოსალოდნელია, რომ გამოყენებული იქნება კლიენტების მიერ სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. ეს ქულები განიხილება როგორც ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და აღიარებულია მხოლოდ შემოსავალში, როცა ქულები მიიღება ან ამოიწურება.

### **შემოსავალი დივიდენდებიდან**

შემოსავლის აღიარება ხდება ჯგუფის მიერ თანხის მიღების უფლების წარმოშობისას.

### **ერთჯერადი მუხლები**

ჯგუფი ცალკე ახორციელებს კლასიფიკაციას და წარმოადგენს იმ შემოსავალს და ხარჯებს, რომლებიც თავისი ხასიათის გამო არ არის ერთჯერადი. ჯგუფი განსაზღვრავს ერთჯერად შემოსავალს ან ხარჯებს, რომელიც გამოიწვია ჯგუფის რეგულარული და ჩვეულებრივი საქმიანობისთვის არდამახასიათებელმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენამ და გამოწვეულია გაურკვეველი ან გაუთვალისწინებელი გარეშე ფაქტორებისგან, რომელთა წარმოქმნა გონივრულად არ იქნებოდა მოსალოდნელი მომავალში, და ამიტომ ისინი არ უნდა იყოს გათვალისწინებული სამომავლო შედეგების საპროექტო გათვალისწინების მომზადების დროს.

### **ფასს 15 კლიენტებთან კონტრაქტებიდან შემოსავალი**

2014 წლის მაისში ფასსს-მ გამოუშვა ფასს 15 კლიენტებთან კონტრაქტებიდან შემოსავალი, რომელიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან, ნებადართულია დროზე ადრე მიღება. ფასს 15 განსაზღვრავს შემოსავლის აღიარების პრინციპებს და გამოიყენება კლიენტებთან ყველა კონტრაქტის მიმართ. თუმცა, ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი პროცენტი და საკომისიო შემოსავლები და იჯარები კვლავაც სცილდება ფასს 15-ის ფარგლებს და რეგულირდება სხვა მოქმედი სტანდარტებით. ფასს 15-ის შესაბამისად, შემოსავალი აღიარებულია იმ მოცულობით, რომელიც ასახავს თანხას, რომელსაც საწარმო მოსალოდნელია, რომ მიიღებს საქონლის ან მომსახურებების კლიენტისთვის გადაცემის სანაცვლოდ. ეს სტანდარტი ასევე განსაზღვრავს ხასიათთან,

მოცულობასა და დროსთან ასევე ნებისმიერ შემოსავლი გაურკვეველობასთან და კლინეტების შესაბამისი ფულად ნაკადებთან დაკავშირებულ ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნებს. ფასს 15 შეიძლება მიღებული იქნას სრული რესტროსპექტივის ან მოდიფიცირებული რესტროსპექტივის მიდგომის გამოყენებით.

ს.ს „საქართველოს ბანკმა“ დროზე ადრე მიიღო ახალი შემოსავლის აღიარების სტანდარტი, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან მოდიფიცირებული რესტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. ჯგუფის შემოსავლები, რომელზეც გავლენა მოახდინა ფასს 15-ის მიხედვით ოპერაციებმა, მოიცავდა საკომისიო შემოსავალს საკრედიტო ბარათით ოპერაციებიდან და ლოიალობის პროგრამების ფარგლებში საკომისიოს შემოსავლს გარკვეული ოპერაციების შესაბამისად. შემოსავლების მიღების არხებთან დაკავშირებით, შემოსავლების ნაწილი გადავადებული იქნა ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად, შესაბამის შესრულების ვალდებულებების შესრულებამდე, რომლებიც მოსალოდნელია გამოშვებული საკრედიტო ბარათების და ლოიალობის პროგრამის მიხედვით ბონუს ქულებით ანგარიშსწორებისა ან ვადის ამოწურვის სავარაუდო ვადაში.

ორგანიზაციის შემოსავლების ანალიზისთვის ინფორმაციის ძირითადი წყაროა მოგება/ზარალის შესახებ ანგარიშგება. იგი გვიჩვენებს ბიზნესის აქტიურობას პერიოდის განმავლობაში. მასში მოცემულია საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგი და შესაძლებელია შესწავლილ იქნეს ფინანსურ-ეკონომიკური ეფექტიანობა. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში შეტანილი ბოლო ცვლილებით, მოგება/ზარალის ანგარიშგებას „სრული შემოსავლების ანგარიშგება“ ეწოდება, თუმცა საწარმოებს შეუძლიათ სახელწდება კვლავ „მოგება/ზარალის ანგარიშგება“ გამოიყენონ, რაც უფრო მართებულად მიმაჩნია, ვინაიდან მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მხოლოდ შემოსავლები არაა მოცემული იქ მოცემულია ხარჯებიც. შემოსავლების ცნება არ მოიცავს ხარჯებს. მოგება/ზარალის მაჩვენებლის გამოთვლა კი მოითხოვს შემოსავლებისა და ხარჯებს მაჩვენებლებს ერთდროულად. ს.ს „საქართველოს ბანკის“ მოგება/ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება შემდეგნაირად გამოიყურება ( იხ. დანართი 2)

ბანკების შემოსავლების თითოეული კომპონენტის ანალიზი არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ის საშუალებას აძლევს დამფუძნებლებს და აქციონერებს,



ადმინისტრაციებს, აირჩიონ ორგანიზაციის აღმშენებლობის ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროები. საწარმოს შემოსავლის ანალიზის მიზანია განისაზღვროს მათი ღირებულების ოპტიმიზაციის გზები როგორც მთლიანად, ასევე ინდივიდუალური ტიპის საქმიანობიდან. ამ მიზნის მისაღწევად, საჭიროა დინამიკის, სტრუქტურისა და ფაქტორული ანალიზი. მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება გაანალიზდეს დანახარჯების სტრუქტურა, მოგების მაჩვენებლების შედარებითი დახასიათება, დანახარჯებისა და შემოსავლების მომგებიანობის სხვადასხვა მაჩვენებლები. იგი საშუალებას იძლევა შემუშავებული იქნეს მოგების ზრდის ღონისძიებები. ანგარიშგებაში კომპანიამ აგრეთვე უნდა აჩვენოს ერთი აქციის შემოსავლიანობის საბაზისო ან გაზავებული მაჩვენებლები.

**ცხრილი 3.1.1 ს.ს „საქართველოს ბანკის“ საბაზისო და გაზავებული მოგება ერთ აქციაზე**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
მოგების კოეფიციენტი ერთ აქციაზე გაგრძელებული ოპერაციებიდან	13,8088	6,34472	7,7576	10,3511	12,1803
მოგების კოეფიციენტის ერთ აქციაზე შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0	0,5572	0,2368	0	0
საბაზისო და გაზავებული მოგების კოეფიციენტი ერთ აქციაზე	13,8088	6,9044	7,9944	10,3511	12,1803

შემოსავლების ანალიზისთვის საჭიროა მოგება/ზარალის ანგარიშგების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზის ჩატარება. ვერტიკალური ანალიზი გულისხმობს შემოსავლების სტრუქტურულ, ხოლო ჰორიზონტალური - დინამიკურ ანალიზს.

**ცხრილი 3.1.2 ს.ს „საქართველოს ბანკის“ წმინდა საპროცენტო შემოსავლის ხვედრითი წილი მთლიან შემოსავალში**


მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
წმინდა საპროცენტო შემოსავალი (ათასი ლ.)	314096	259030	506057	535182	644547
შემოსავალი (ათასი ლ.)	546172	512574	697022	739690	862054
ხვედრითი წილი შემოსავლებში (%-ად)	58%	51%	73%	72%	75%

როგორც გამოთვლებიდან ჩანს წმინდა საპროცენტო შემოსავლების წილი მთლიან შემოსავლებში ხან ზრდადობით ხანაც კლებადობით ხასიათდება თუმცა 2013 წელთან შედარებით ბოლო წლებში მისი ხვედრითი წილი საგრძობლად გაზარდილია.

**ცხრილი 3.1.3 ს.ს „საქართველოს ბანკის“ საპროცენტო შემოსავლების დინამიკა**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
საპროცენტო შემოსავალი (ათასი ლ.)	574107	602722	865343	908042	1105385
დინამიკა ( %-ად)	100%	105%	151%	158%	193%

**გრაფიკი 3.1.1 ს.ს „საქართველოს ბანკის“ საპროცენტო შემოსავლების დინამიკა**



ს.ს „საქართველოს ბანკის“ საპროცენტო შემოსავალს იღებს ისეთი პოზიციებიდან:

- კლიენტებზე გაცემული სესხები;
- გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები;
- მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ;
- მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან;


დინამიკური მაჩვენებლების გამოსათვლელად საბაზისო წლად გამოვიყენეთ 2013 წელი.თუ გრაფიკს დავაკვირდებით შევამჩნევთ, რომ საპროცენტოს შემოსავალი წლების განმავლობაში ზრდის ტემპით ხასიათდება.

საინტერესოა ს.ს „საქართველოს ბანკის“ მოგება/ზარალში წარმოდგენილი შემოსავლის სხვადასხვა მუხლების შედარევა ერთმანეთთან. თვალსაჩინოებისათვის გრაფიკულად ავსახოთ მათი მაჩვენებლების წლების მიხედვით

ცხრილი 3.1.4 ს.ს „საქართველოს ბანკის“ შემოსავლების განაწილება

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
წმინდა საპროცენტო შემოსავალი (ათასი ლ)	314096	259030	506057	535182	644547
წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან (ათასი ლ.)	87114	86158	105094	109890	116270
საოპერაციო შემოსავალი საკრედიტო რისკის ხარჯამდე (ათასი ლ.)	324347	318111	456267	472088	538685
სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი (ათასი ლ.)	64768	67386	85871	94618	101237

გრაფიკი 3.1.2 „საქართველოს ბანკის“ შემოსავლების განაწილება




2015 წლიდან შემოსავლების მუხლებში ყველაზე მეტი წილით წმინდა საპროცენტო შემოსავლები ხასიათდება. ზემოთ რამდენიმე მაჩვენებელმაც გვიჩვენა რომ 2015 წლიდან კლიენტებზე გაცემული სესხები მკვეთრად გაიზარდა შესაბამისად გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალიც გაიზარდა.

საინტერესოა როგორ გამოიყურება შემოსავლების წლიური ზრდის ტემპი 5 წლის საანალიზო პერიოდში.

ს.ს „საქართველოს ბანკის“ შემოსავლების დინამიკა გვიჩვენებს , რომ წლების განმავლობაში მიღებული შემოსავლები ზრდადობით ხასიათდება .

### გრაფიკი 3.1.3 სს „საქართველოს ბანკის“ შემოსავლების დინამიკა



ს.ს. „საქართველოს ბანკის“ შემოსავლების დინამიკა გვიჩვენებს, რომ წლების განმავლობაში მიღებული შემოსავლები ზრდადობით ხასიათდება.

### 3.2 ხარჯების ახალიზის შედეგები

დასახული საფინანსო-ეკონომიკური მიზნების მისაღწევად, მრავალი სახის რესურსები მოზიდვა და გამოყენებაა საჭირო. კომპანიის ინტერესებშია, ფლობდეს ზუსტ ინფორმაციას როგორც რესურსების შექმნის, ასევე მათი გამოყენების შესახებ, რათა დაადგინოს, რესურსები რამდენად ეფექტიანად გამოიყენება, მათ რაც შეიძლება მაღალი სარგებლიანობით მოხმარებას გულისხმობს. ამიტომ, საწარმოს ხალმმღვანელობამ უნდა იცოდეს რამიზნით გაიწევა ხარჯები.

მომგებიანი ბიზნესი არის მისი მფლობელის, მასში დასაქმებული პერსონალის, მომხმარებლების და თვით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური ძლიერების წყარო.

აღიკვვის სტანდარტების განმარტებით, ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სტანდარტში მოცემული ეს განმარტება უფრო მეტად შეეფერება ზარალის კატეგორიის განმარტებას. ვეთანხმებით აზრს იმის

შესახებ, რომ წარმოებაში გაწეული ხარჯები არ შეიძლება ჩაითვალოს „საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირებად“ პირიქით, თუკი არ მოხდება რესურსების ხარჯვა, არც შემოსავლები იარსებებს. ვინაიდან სწორედ რესურსების ხარჯვა იწვევს სამომავლოდ შემოსავლების ზრდას. ხარჯები ეს არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით, პროდუქციის დამზადებასა და მომსახურების გაწევაზე მოხმარებული რესურსების ღირებულება, რომლებიც შემოსავლების მიღებას უზრუნველყოფენ მომავალში.

დანახარჯების კლასიფიკაცია საქმიანობის სფეროების მიხედვით, გულისხმობს მათ დაჯგუფებას საქმიანობის სექტორების მიხედვით ანუ გაითვალისწინება, ხარჯები მოცემულ კომპანიაში მაპროფილებელ საქმიანობაზე გაიწევა თუ დამხმარე ღონისძიებებზე.

საქმიანობის სფეროების მიხედვით, დანახარჯები იყოფა: საოპერაციო, არასაოპერაციო და განსაკუთრებული სახის დანახარჯებად.

საოპერაციო დანახარჯები ისეთი ხარჯებია, რომლებიც საწარმოთა ძირითადი ანუ მაპროფილებელი საქმიანობის განხორციელებაზე იხარჯება. კომერციული ბანკების ხარჯის თავისეფურებას წარმოადგენს ის რომ , საპროცენტო ხარჯი საბანკო სექტორში საპერაციო დახარჯების ჯგუფის შემადგენლობაში შედის.

არასაოპერაციო ხარჯები ისეთი დანახარჯებია, რომლებიც მოცემული საწარმოსათვის დამხმარე ხასიათის საქმიანობაზე გაიწევა.

განსაკუთრებული ხარჯები ისეთი ხარჯებია, რომლებიც გამოწვეული იყო ჩვეულებრივი საქმიანობისგან განსხვავებული სამეურნეო მოვლენებისა და ოპერაციებისაგან, რომლებიც რეგულარულად არ ხდება და მეთხვევითი ხასიათისა.

ს.ს „საქართველოს ბანკის „ კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საპროცენტო ხარჯები შედგება შემდეგი პუნქტებისაგან:


- ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე;
- ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების წინაშე;
- სავალო ვალდებულებების სახით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები;

გამომდინარე იქიდან, რომ ვალდებულებებს მეანაბრეთა წინაშე ყველაზე დიდი წილი უკავია ხარჯების სტრუქტურაში საინტერესოა როგორ იცვლება წლების განმავლობაში მისი ხვედრითი წილის მთლიან საპროცენტო ხარჯებში.

### 3.2.1 მეანაბრეთა წინაშე ვალდებულებებზე გაწული ხარჯების სტრუქტურა საპროცენტო ხარჯებში


მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე (ათასი ლ.)	159,028	134,838	191,155	194,029	221,410
საპროცენტო ხარჯი (ათასი ლ.)	259,613	248,692	359,286	372,860	460,838
ხვედრითი წილის საპროცენტო ხარჯებში (%-ად)	61%	54%	53%	52%	48%

### გრაფიკი 3.2.1 მეანაბრეთა წინაშე ვალდებულებებზე გაწული ხარჯების სტრუქტურა საპროცენტო ხარჯებში




მეანაბრებზე გაწული საპროცენტო ხარჯის დინამიკა წლების განმავლობაში გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება

3.2.2 სს „საქართველოს ბანკის“ ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე




სს „საქართველოს ბანკის“ ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე აგრეთვე ზრდადობით ხასიათდება. ეს გარკვეულწილად გასაკვირი არაა, რადგან როდესაც იზრდება გაცემული სესხები რაოდენობა შესაბამისად ბანკი ზრუნავს იმაზე, რომ მოიზიდოს რაც შეიძლება მეტი რესურსები სესხების გასაცემად. შესაბამისად ბანკი ცდილობს გაზარდოს ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე მიღებული დეპოზიტების, გამოშვებული ობლიგაციებისა თუ ფასიანი ქაღალდების ხარჯზე.

გრაფიკი 3.2.3 სს „საქართველოს ბანკის“ საპროცენტო ხარჯის დინამიკა



გრაფიკი 3.2.4 სს „საქართველოს ბანკის“ საპროცენტო შემსავლის დინამიკა



რადგან იზრდება ვალდებულებები შესაბამისად იზრდება საპროცენტო ხარჯიც. ეს უკანასკნელი მიღებული სახსრების გამოყენების ერთგვარ საფასურს წარმოადგენს. როგორც ანალიზიდან ჩანს წლების განმავლობაში საპროცენტო ხარჯი ზრდადობით ხასიათდება. ამაზე გავლენა თავის მხრივ მოახდინა მიღებული ანაზრების ზრდამ. შესაბამისად გაიზარდა მათზე გასაწევი საპროცენტო ხარჯებიც. წლების განმავლობაში აგრეთვე იზრდებოდა საკრედიტო დაწესებულებებზე და გამოშვებულ სავალო ვალდებულებებზე გასაწევი საპროცენტო ხარჯებიც.

საბანკო სისტემამ სწრაფი ცვლილებები განიცადა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, რასაც შედეგად მოჰყვა საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული კომპლექსური რისკების ზრდა. რისკზე წასვლა თავისთავად ნეგატიური ნაბიჯი არ არის და იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს დამატებითი მოგების მიღებასთან. საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული კომპლექსური რისკების ზრდამ განაპირობა გამართული კორპორაციული მართვის აუცილებლობა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ბანკის მენეჯმენტის, პოლიტიკისა და პროცედურების აქტიურ ზედამხედველობას, რისკების შეფასებასა და დადგენას, მათი ლიმიტების განსაზღვრას, მათი მონიტორინგის დაწესებას, საინფორმაციო სისტემების, რისკების კონტროლისა და შიდა კონტროლის



სისტემების დანერგვას. ბანკის მიერ მთავარი რისკების, როგორცაა საკრედიტო რისკი, საბაზრო რისკი და საოპერაციო რისკი, შეფასებისათვის გამოყენებული მოდელები, ბანკის მოთხოვნებს, მისი ოპერაციების მოცულობას, კომპლექსურობას და ბანკის მიერ მიღებულ სარგებელს უნდა შეესაბამებოდეს.

ს.ს „საქართველოს ბანკი“ თავისი საკრედიტო რისკის ღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს შემდეგ მონაცემებს :

- გაუფასურების ხარჯი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე;
- გაუფასურების ხარჯები ფინანსური იჯარიდან;
- გაუფასურების რეზერვი სხვა აქტივებზე და მარაგებზე;

**ცხრილი 3.2.2 ს.ს „საქართველოს ბანკის“ საკრედიტო რისკის ღირებულება (ათასი ლ.)**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
გაუფასურების ხარჯი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე (ათასი ლ.)	41,499	45,087	142,814	155,366	156,558
გაუფასურების ხარჯები ფინანსური იჯარიდან(ათასი ლ.)	2,809	76	1,615	161	475
გაუფასურების რეზერვი სხვა აქტივებზე და მარაგებზე (ათასი ლ.)	0	9,568	6,013	5,616	11,316
გაუფასურების ხარჯის უკუგატარება აქტივებსა და მარაგებზე (ათასი ლ.)	17,494	0	0	0	0
<b>საკრედიტო რისკის ღირებულება (ათასი ლ.)</b>	<b>61,802</b>	<b>54,579</b>	<b>150,442</b>	<b>161,143</b>	<b>168,349</b>

წყარო: BOG - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, NBG.

საინტერესოა როგორია თვითეული მაჩვენებლის ხვედრითი წილის მთლიანი საკრედიტო რისკის ღირებულებაში

**ცხრილი 3.2.3 მაჩვენებლების ხვედრითი წილი მთლიანი საკრედიტო რისკის ღირებულებაში**

მაჩვენებლების	2013	2014	2015	2016	2017
გაუფასურების ხარჯი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე	67.15	82.61	94.93	96.41	93.00
გაუფასურების ხარჯები ფინანსური იჯარიდან	4.55	0.14	1.07	0.10	0.28
გაუფასურების რეზერვი სხვა აქტივებზე და მარაგებზე	0.00	17.53	4.00	3.49	6.72
<b>ჯამი</b>	<b>71,7</b>	<b>100,28</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>

საკრედიტო რისკის ღირებულებაში ყველაზე დიდი წილი უკავია კლიენტებზე გაცემულ სესხებზე გაწული ხარჯების გაუფასურებას. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ბანკის შემოსავლებზე კლიენტებზე გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავლები თამაშობს ყველაზე დიდი როლს და თავად ბანკის საქმიანობის ძირითადი კომპონენტაც რომ გაცემული სესხებია.


საკრედიტო რისკი დინამიკა წლების განმავლობაში შემდეგნაირად გამოიყურება (საბაზისო წლად ავიღოთ 2013 წელი) :

**ცხრილი 3.2.4 ს.ს „საქართველოს ბანკის“ საკრედიტო რისკის დინამიკა**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
საკრედიტო რისკის ღირებულება (ათასი ლ.)	61,802	54,579	150,442	161,143	168,349
დინამიკა (%-ად)	100%	88%	243%	261%	272%

როგორც ცხრილიდან ჩანს საკრედიტო რისკის დინამიკური მაჩვენებელი წლების განმავლობაში იზრდება. მეტი თვალსაჩინოებისათვის ავსახოთ 3.2.4 ცხრილში მოცემული ინფორმაცია გრაფიკულად.

**გრაფიკი 3.2.5 „საქართველოს ბანკის“ საკრედიტო რისკის დინამიკა (გრაფიკულად)**



ს.ს „საქართველოს ბანკს“ თავის კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საოპერაციო ხარჯები შემდეგ კომპონენტებად აქვს დაყოფილი :

- ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისათვის;
- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები;

- ცვეთა და ამორტიზაცია;
- სხვა საოპერაციო ხარჯები;

**ცხრილი 3.2.5 ს.ს „საქართველოს ბანკის“ საოპერაციო ხარჯები (ათასი ლ.)**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისთვის(ათასი ლ.)	133,773	116996	139141	153760	186885
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (ათასი ლ.)	57916	51680	67239	75534	95007
ცვეთა და ამორტიზაცია (ათასი ლ.)	26572	23494	31520	34883	38414
სხვა საოპერაციო ხარჯები (ათასი ლ.)	3564	2293	2855	3425	3063
<b>საოპერაციო ხარჯები (ათასი ლ.)</b>	<b>221,825</b>	<b>194,463</b>	<b>240,755</b>	<b>267,602</b>	<b>323,369</b>


3.2.5 მოცემული ინფორმაცია გვჩივრდება რათა გამოვთვალოთ 3.2.6 ცხრილის მონაცემები. უნდა აღვნიშნოთ, რომ საოპერაციო ხარჯების მოცულობა წლების განმავლობაში ზრდადობით ხასიათდება . მხოლოდ 2013 წლის მონაცემი აღემატება 2014 წლის მონაცემს , 2015 წლიდან კი საოპერაციო ხარჯების ოდენობა უფრო და უფრო იზრდება.

**ცხრილი 3.2.6 ს.ს „საქართველოს ბანკის“ საოპერაციო ხარჯების სტრუქტურა ( %-ად)**

საოპერაციო ხარჯების სტრუქტურა(%-ად)	2013	2014	2015	2016	2017
ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისთვის	60.31	60.16	57.79	57.46	57.79
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	26.11	26.58	27.93	28.23	29.38
ცვეთა და ამორტიზაცია	11.98	12.08	13.09	13.04	11.88
სხვა საოპერაციო ხარჯები	1.61	1.18	1.19	1.28	0.95

საოპერაციო ხარჯებში ყველაზე მეტი ხვედრითი წილის თანამშრომლებზე გაწულს ხარჯებს უკავია. ეს არცაა გასაკვირი რადგან ს.ს „საქართველოს ბანკში“ თითქმის 5 200 თანამშრომელია დასაქმებული.

გრაფიკი 3.2.6 საოპერაციო ხარჯების დინამიკა



საინტერესოა როგორია თანაფარდობა საპროცენტო შემოსავლებსა და საპროცენტო ხარჯებს შორის :

ცხრილი 3.2.7 საპროცენტო ხარჯის თანაფარდობა საპროცენტო შემოსავალთან


მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
საპროცენტო შემოსავალი (ათასი ლ.)	574,107	602,722	865,343	908,042	1,105,385
საპროცენტო ხარჯი (ათასი ლ.)	259,613	248,692	359,286	372,860	460,838
საპროცენტო ხარჯის თანაფარდობა საპროცენტო შემოსავალთან (%-ად)	45%	41%	42%	41%	42%

საპროცენტო ხარჯებისა და საპროცენტო შემოსავლების ურთიერთშედარება საშუალებას იძლევა შედარდეს ის თუ რამდენად შეუძლია გაცემული სესხებიდან მირებულ შემოსავლებს დაფაროს აღებულ ვალდებულებებზე გასაწევი საპროცენტო ხარჯები.

მაჩვენებლების გრაფიკულად გამოსახვა უფრო თვალსაჩინოს ხდის იმას თუ როგორ აღებატება საორიცენტო შემოსავლები საპროცენტო ხარჯებს.

გრაფიკულად ნათლად ჩანს, რომ საპროცენტო შემოსავლის ოდენობა პროცენტებზე გაწულს ხარჯებზე მთელი საანალიზო პერიოდი განმავლობაში მეტია.

გრაფიკი 3.2.7 საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილების ტემპის შედარება




3.2.8 სს „საქართველოს ბანკის“ საპროცენტო შემოსავალი 1ლ საპროცენტო ხარჯზე

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
საპროცენტო ხარჯი (ათასი ლ.)	259,613	248,692	359,286	372,860	460,838
საპროცენტო შემოსავალი (ათასი ლ.)	574107	602722	865343	908042	1105385
შემოსავალი 1 ლ დანახარჯზე	2.21	2.42	2.41	2.44	2.40

3.2.8 სს „საქართველოს ბანკის“ საპროცენტო შემოსავალი 1ლ საპროცენტო ხარჯზე

(გრაფიკულად)



საპროცენტო შემოსავლის მაჩვენებელი 1 ლ საპროცენტო ხარჯზე მერყეობით ხასიათდება. წლების განმავლობაში მისი მნიშვნელობა ხან იზრდება ხან მცირდება, 2017 წელს 2016 წელთან შედარებით მისი მნიშვნელობა 0,04 ერთეულითაა შემცირებული.

### 3.3 მოგების ფაქტორული ანალიზის შედეგები

მოგება წარმოადგენს საწარმოს მუშაობის ეკონომიკურ ეფექტს. იგი არის საწარმოს საბოლოო დადებითი ფინანსური შედეგი. მასში ასახულია საწარმოს საქმიანობის ყველა მხარის ფუნქციონირების ხარისხი. ამიტომ, მოგება საწარმოს ეკონომიკური ეგექტიანობის კომპლექსური, ნაერთი, ზოგადი მაჩვენებელია, რომელზეც პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენს საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობაში თუ მორალურ ქცევებში მომხდარი ყველა ქმედება. მოგება წარმოადგენს წარმოების გაფართოების, მატერიალური სტიმულირების და დაგროვების საშუალებას. მაშასადამე, მოგების მიღების უზრუნველყოფა და მისი გადიდების გონივრული გზების ძიება საწარმოს ფინანსური მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ მიზნის მისაღწევად შესაბამისი ანალიზური მიდგომები გამოიყენება.

მოგებისა და მომგებიანობის ანალიზის მიზანია საწარმოს მომგებიანობის დონის შეფასება და მისი შემდგომი ამაღლების რეზერვების გამოვლენა.

ფინანსური შედეგების ანალიზის ამოცანებია:

- მოგების პროგნოზირების სრულყოფა;
- დანახარჯების შემცირების გზების დადგენა;
- შემოსავლების ზრდის გზების გამოვლენა;
- მოგებისა და მომგებიანობის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა;
- მომგებიანობის შემდგომი ამაღლების დონისძიებების შემუშავება;

ანალიზის ინფორმაციულ წყაროს წარმოადგენს საწარმოს ფინანსური ანგარიშგება და ბიზნეს-გეგმის მაჩვენებლები. აგრეთვე, საწარმოთა მომგებიანობის საშუალო დარგობრივი მაჩვენებლები.<sup>38</sup>

საწარმოთა საქმიანობის ფინანსური შედეგი ხასიათდება მიღებული მოგების სიდიდით და რენტაბელობის დონით. ფინანსური შედეგი მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების ან ზარალის სახით.

საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების ან ზარალის გაანგარიშგებაში ჩართულია მოცემულ პერიოდში აღიარებული შემოსავლებისა და ხარჯების ყველა

<sup>38</sup> „ფინანსური ანალიზი“ - ი. ჭილაძე, თბილისი 2018 წ.

მუხლი, რომელიც ძირითადად ორი კომპონენტისაგან შედგება: საწარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისაგან მიღებული მოგება ან ზარალი და არაორდინალური საქმიანობისაგან მიღებული მოგება ან ზარალი.

ჩვეულებრივი საქმიანობა ეწოდება ნებისმიერ საქმიანობას, რომელსაც საწარმო ახორციელებს როგორც თავისი ძირითადი საქმიანობის ნაწილს, აგრეთვე ისეთ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ძირითად საქმიანობასთან ან გამომდინარეობს მისგან.

არაორდინალური საქმიანობა ეწოდება ჩვეულებრივი საქმიანობისაგან განსხვავებულ მოვლენებს და ოპერაციებს, რომლებიც არ ხდებიან რეგულარულად და მათგან მიღებული შემოსავლები და ხარჯები აისახება როგორც განსაკუთრებული მუხლები. მაგალითად, სტიქიური უბედურობის დროს მიღებული სადაზღვევო თანხები და სხვა.

კომპანიის მომგებიანობის ხარისხი შესაბამისი ეკონომიკური მაჩვენებლების მეშვეობით შეისწავლება. ფინანსური შედეგების ამსახველი მაჩვენებლები ორ ჯგუფად იყოფა: აბსოლუტური და შეფარდებითი. აბსოლუტური მაჩვენებლები კომპანიის ფინანსური შედეგების საერთო მოცულობას გამოხატავს, როგორცაა მოგება და ზარალი. შეფარდებითი მაჩვენებლები კი საწარმოს მომგებიანობის დონეს ახასიათებენ. კომპანია მომგებიანია, თუ პროდუქციის/მომსახურების წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების დაფარვის შემდეგ ლეზულობს წმინდა შემოსავალს მოგების სახით. მომგებიანობის მაჩვენებელს რენტაბელობას უწოდებენ და პროცენტულად გამოისახება.

მოგება - ეს არის ფულად ფორმაში გამოსახული წმინდა შემოსავალი დაბანდებულ კაპიტალზე, რომელიც ახასიათებს კომპანიის მიერ სამეწარმეო საქმიანობის რისკის განხორციელების შედეგად მიღებულ „ჯილდოს“. საწარმო თავის საქმიანობას საბოლოოდ მიღებული მოგების სიდიდით აფასებს, რადგან ნებისმიერ ბიზნესს იმდენად აქვს აზრი, თუ რამდენი მოგება მოაქვს. საწარმო მოგებას იყენებს კაპიტალის გასაზრდელად, წარმოების გაფართოებათვის, დაქირავებული მუშა-ხელის წახალისებისათვის და ა.შ. საბაზრო ურთიერთობების პირობებში მოგების მაჩვენებლის ზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან მისი ერთი ნაწილი

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის წყაროა და ხმარდება საზოგადოების ინტერესებს, მეორე ნაწილი საწარმოს განვითარებას, ხოლო მესამე ნაწილი ემსახურება ამ საწარმოს მუშაკების აქციონერების, მეწარმეების ინტერესებსა და მათ კეთილდღეობას.

მოგების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის: საწარმოს მიმდინარე და გრძელვადიანი განვითარების ძირითადი შიგა წყარო; საწარმოს საბაზრო ღირებულების ზრდის მთავარი წყარო; საწარმოს კრედიტუნარიანობის ინდიკატორი; მესაკუთრის ძირითადი ინტერესი, იგი საწარმოს კონკურენტუნარიანობის ინდიკატორი, მოგების სტაბილური და მყარი დონის პირობებში; სახელმწიფოს წინაშე საწარმოს ვალდებულებების შესრულების გარანტი და საზოგადოების სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების წყარო.

დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანალიზის პროცესში მოგების სხვადასხვა მაჩვენებლები გამოიყენება. მოგება წარმოადგენს სხვაობას სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ერთობლივ დანახარჯებს შორის. საერთო მოგება გაიანგარიშება როგორც სხვაობა პროდუქციის/მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებსა და პროდუქციის საწარმოო თვითღირებულებას შორის. საერთო მოგება ემსახურება კომერციული და მმართველობითი ხარჯების დაფარვას.<sup>39</sup>

საწარმოს ფინანსური შედეგების მაჩვენებლები ორ ჯგუფად: აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებლებად იყოფა.

აბსოლუტური მაჩვენებლები საწარმოს საბოლოო ფინანსური შედეგის საერთო მოცულობას გამოხატავენ, როგორცაა: მოგება ან ზარალი. მოგება არის სხვაობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. მოგება არის ეკონომიკური ეფექტიანობის აბსოლუტური მაჩვენებელი. მოგების მიღება ნიშნავს, რომ რესურსების გამოყენების შედეგად მიღებულია დამატებითი შემოსავალი. მაგრამ ინტერესის სფეროს წარმოადგენს იმ მიზეზების გამოვლენა, რამ გამოიწვია მოგების ზრდა, რადგან, შესაძლოა მოგებას ადგილი ჰქონდეს მხოლოდ ფასების ზრდის შედეგად, რაც რეალურ ეკონომიკურ ზრდად არ შეიძლება ჩაითვალოს.

---

<sup>39</sup> „ეკონომიკური ანალიზი“ - მერაბ ჯიქია, თბილისი 2018 წ., გვ.184-188



საწარმოში მოგების მაჩვენებელი სხვადასხვა დონეზე განისაზღვრება. შესაბამისად გამოიყოფა მოგების შემდეგი მაჩვენებლები:

- მოგენა რეალიზაციიდან;
- საოპერაციო მოგება;
- მოგება დაბეგვრამდე (წლიური მოგება)
- წმინდა მოგება;
- განაწილებული და რეინვესტირებული მოგება;

**მოგება რეალიზაციიდან** არის სხვაობა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალსა და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას შორის. აგრეთვე ცნობილია ზღვრული მოგების მაჩვენებელი, რომელიც არის სხვაობა შემოსავლებსა და ცვლად ხარჯებს შორის. მაგრამ, ეს მაჩვენებელი გამოიყენება საწარმოს შიგნით, მენეჯმენტის მიერ გადაწყვეტილებების მისაღებად დაგეგმვის დროს და არ წარმოადგენს ფინანსური ანალიზის სფეროს გარე ანგარიშგების მომხმარებლებისათვის.

**რეალიზაციიდან მიღებული მოგების** მაჩვენებელზე გავლენას ახდენენ შემოსავლისა და თვითღირებულების ცვლილება. შემდეგ კი თვით შემოსავლებსა და თვითღირებულებაზე მოქმედი ფაქტორები. როგორცაა: რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა, ფასი, დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე და ცალკეული სახის დანახარჯების გამოყენების ხარისხი.

**საოპერაციო მოგება** არის საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან მიღებული მოგება. იგი უდრის რეალიზაციიდან მიღებულ მოგებას გამოკლებული არასაწარმოო დანახარჯები, როგორცაა: მარკეტინგის და საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები. ანუ, საოპერაციო შემოსავლებს მინუს საოპერაციო ხარჯები.

**მოგება დაბეგვრამდე** (იგივე წლიური მოგება) უდრის საოპერაციო მოგებას მინუს საპროცენტო ხარჯები და პლუს საპროცენტო შემოსავლები. რასაკვირველია, ამ მაჩვენებლების ცვლილება დამატებით გავლენას ახდენს წლიური მოგების ცვლილებაზე.

**წმინდა მოგება** არის სხვაობა დასაბეგრ მოგებასა და მოგების გადასახადს შორის. მაშასადამე, მასზე გავლენას ახდენს მოგების გადასახადის ნორმა და ყველა ის ფაქტორი, რაც ზემოთ იქნა ჩამოთვლილი.

**გაუნაწილებელი მოგება** არის წმინდა მოგებიდან გაცემული დივიდენდებისა და შექმნილი რეზერვების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი მოგება. როგროც ადრე უკვე აღვნიშნეთ, მოგების გადასახადის საკანონდებლო მოთხოვნები საქართველოში შეიცვალა და წმინდა მოგება მთლიანად უნდა იქნეს გამოყენებული დიდი დენდებსა და რეინვესტირებაზე.

ს.ს „საქართველოს ბანკს“ თავის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქვს მოგების შემდეგი მაჩვენებლები :

- მოგება გაგრძელებული ოპერაციებიდან საშემოსავლო გადასახადის დანახარჯამდე;
- მოგება გაგრძელებული ოპერაციებიდან ;
- მოგება წლის განმავლობაში;
- წლური მოგება;

ბანკის ეფექტიანი მართვა არის რეგულირების სისტემის მეშვეობით მოგების მართვა, რომელიც მოცემული პირობებისათვის ოპტიმალური ფინანსური შედეგის მიღების შესაძლებლობას იძლევა. მოგების მართვა ბანკის რეალური შემოსავლებისა და ხარჯების, თითოეული კონკრეტული სახეობის მომსახურების განხორცილებაზე დანახარჯების აღრიცხვის შესახებ მუდმივი ოპერატიული ინფორმაციის არსებობას ითვალისწინებს. ცენტრალური ბანკის მიერ შეთავაზებული მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგების ფორმა, ბუღალტრული ბალანსის მსგავსად, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისათვის ინფორმაციისადმი წაყენებულ საჭირო მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. ამიტომ მმართველობითი აღრიცხვის ჩატარებისათვის ანგარიშგების საკუთარი ფორმა შემუშავდება, რომელშიც შემოსავლები და ხარჯები ჯგუფდება როგორც ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით, ასევე ცალკეული ქვედანაყოფების მიხედვითაც. აღნიშნული მეთოდის ძირითადი მიზანია ფილიალისათვის ფაქტიური მონაცემების მიხედვით ყველაზე უფრო შემოსავლიანი ოპერაციების სახეობების გამოვლენა, სამომავლოდ ყველაზე მომგებიანი ოპერაციების პროგნოზირებისა და საბანკო პროდუქტის ფასის განსაზღვრა.

გამომდინარე იქედან, რომ მოგება არის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის აბსოლუტური მაჩვენებელი, იგი წინა წლებთან შედარების დროს, ეფექტიანობის

რეალურ ზრდას ვერ ახასიათებს. ამიტომ, გამოიყენება ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების ფარდობითი მაჩვენებელი – მომგებიანობა ანუ რენტაბელობა. იგი ახასიათებს მომგებიანობის დონეს პროცენტულად და ხარისხობრივი მაჩვენებელია. მოგებისა და მომგებიანობის შედარებითი დახასიათების დროს, აუცილებელია იმის შემეცნება, მათგან რომელია ფაქტორი (მიზეზი) და რომელია შედეგი. ანუ, მოგება ახდენს მომგებიანობაზე გავლენას, თუ პირიქით, მომგებიანობა ახდენს გავლენას მოგების სიდიდეზე. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება რაოდენობრიობასა და თვისობრიობას შორის არსებული კავშირების ანალიზის საფუძველზე. საერთოდ, თვისობრიობა განსაზღვრავს რაოდენობრიობას. ეს კანონზომიერება კარგად ჩანს მოგებისა და მომგებიანობის მაჩვენებლების შედარების დროს.

მომგებიანობის აუცილებელი დონის შენარჩუნება- ეს არის საწარმოების და საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების ობიექტური კანონზომიერება. მოგების მუდმივი უკმარისობა და მისი დინამიკის არადაამაკმაყოფილებელი დონე მოწმობს ბიზნესისა და რისკის მართვის არაეფექტურობაზე, რაც გაკოტრების ერთ-ერთ მთავარ შინაგან მიზეზს წარმოადგენს. მოგებისა და მომგებიანობის საწარმოთაშორისო ანალიზის მიზანია იპოვოს მოგების მოცულობის გადიდებისა და მომგებიანობის დონის ამაღლების რეზერვები, ერთგვაროვან საწარმოებთან.

**მომგებიანობის მაჩვენებელთა სისტემა სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:**

- I. ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები;
- II. ფინანსური მომგებიანობის მაჩვენებლები;
- III. პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლები.

**ცხრილი 3.3.1 ს.ს „საქართველოს ბანკის“ აქტივების მომგებიანობა**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
მოგება დაბეგვრამდე (ათასი ლ.)	249,712	252,100	295,166	261,776	366,747
მთლიანი აქტივები (ათასი ლ.)	6,524,234	7,537,301	9,003,545	10,765,807	12,620,716
აქტივების მომგებიანობა (%-ად)	3.83	3.34	3.28	2.43	2.91

აქტივების მომგებიანობის კოეფიციენტი გვიჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ერთ ლარ აქტივებზე და მთელი ავანსირებული ღირებულების გამოყენების ეფექტიანობას ახასიათებს. მისი ალტერნატიული მაჩვენებელია კაპიტალის უკუგება (ROCE)

კაპიტალის უკუგება = მოგება პროცენტისა და გადასახადის გადახდამდე /  
საკუთარი კაპიტალი + გრძელვადიანი ვალდებულებები


**ცხრილი 3.3.2 ს.ს „საქართველოს ბანკის“ კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
საოპერაციო მოგება საკრედიტო რისკის ხარჯამდე (ათასი ლ)	324,347	318,111	456,267	472,088	538,685
ფინანსური ვალდებულებები (გრძელვადიანი)(ათასი ლ)	1,612,364	1,922,609	2,199,289	2,020,993	2,593,418
საკუთარი კაპიტალი (ათასი ლ)	1,244,315	1,461,087	1,224,607	1,265,946	1,481,928
ROCE (%-ად)	11.35	9.40	13.33	14.36	13.22

კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი აჩვენებს გამოყენებული კაპიტალის საერთო უკუგებას მანამ, სანამ გადაიხდება პროცენტები ადებულ სესხებზე და მოგების გადასახადი. დინამიკაში ამ მაჩვენებლის ზრდა კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის ზრდას ნიშნავს. საანალიზო ბანკის მაგალითზე ვხედავთ, რომ ROCE - ს მაჩვენებელია ზრდადობით არ ხასიათდება, თუმცა უნდა დინიშნოს რომ იგი შედარებით სტაბილურია წლების განმავლობაში.

ქვემოთ გრაფიკზე მოცემულია საანალიზო წლების განმავლობაში აქტივების მომგებიანობისა და გამოყენებული კაპიტალის უკუგების დინამიკური შედარება.

**გრაფიკი 3.3.1 აქტივების უკუგებისა და ROCE ზრდის ტემპის შედარება**



ROCE ყოველთვის აჭარბებს აქტივების მომგებიანობა მაჩვენებელს. რაც ნიშნავს იმას, რომ აღებულ სესხებსა და მოგების გადასახადის გადახდამდე გამოყენებული კაპიტალის საერთო უკუგება უფრო მაღალია ვიდრე მოგება ერთ ლარ აქციაზე.

ეკონომიკური მომგებიანობის კიდევ ერთი გავრცელებული მაჩვენებელია : შემოსავლის მომგებიანობა. რომელიც აჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღევა ერთ ლარ შემოსავალზე.

**ცხრილი 3.3.3 ს.ს „საქართველოს ბანკის“ შემოსავლების მომგებიანობის მაჩვენებელი**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
წლის მოგება (ათასი ლ.)	213800	245984	260722	289094	338907
შემოსავალი (ათასი ლ.)	546172	512574	697022	739690	862054
შემოსავლების მოგებიანობა (%-ად)	39.15	47.99	37.41	39.08	39.31

როგორც გამოთვლებიდან ჩანს ეს მაჩვენებელი შედარებით სტაბილურობით გამოირჩევა. 2014 წელს შემოსავლების მომგებიანობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება.

ს.ს „საქართველოს ბანკის“ საოპერაციო ხარჯების მომგებიანობის გამოსათვლელად საჭიროა შემდეგი მაჩვენებლების გამოყენება :

- საოპერაციო მოგება;
- საოპერაციო ხარჯი;

**ცხრილი 3.3.4 ს.ს „საქართველოს ბანკის“ საოპერაციო ხარჯების მომგებიანობა**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
საოპერაციო მოგება ( ათასი ლ.)	324347	318111	456267	472088	538685
საოპერაციო ხარჯი (ათასი ლ.)	221825	194463	240755	267602	323369
საოპერაციო ხარჯების მომგებიანობის კოეფიციენტი	1.46	1.64	1.90	1.76	1.67

როგორც გამოთვლებიდან ჩანს საოპერაციო ხარჯების მომგებიანობის მაჩვენებელი ბოლო წლების განმავლობაში კლებადობით ხასიათდება.

რაც შეეხება ფინანსური რენტაბელობის მაჩვენებლებს, ისინი გამოითვლება წმინდა მოგების მაჩვენებლის მიხედვით სხვადასხვა ბაზის საფუძველზე. მაგალითად, როგორცაა აქტივების ფინანსური რენტაბელობა :

**ცხრილი 3.3.5 ს.ს“ საქართველოს ბანკის „ აქტივების ფინანსური რენტაბელობის მაჩვენებელი**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
წმინდა მოგება (ათასი ლ.)	213,800	245,984	260,722	289,094	338,907
მთლიანი აქტივები (ათასი ლ.)	6,524,234	7,537,301	9,003,545	10,765,807	12,620,716
აქტივების ფინანსური რენტაბელობის კოეფიციენტი (%-ად)	3.28	3.26	2.90	2.69	2.69

აქტივების ფინანსური რენტაბელობის მაჩვენებელი აჩვენებს, აქტივებში ავანსირებული ღირებულების ყოველ ერთ ლარზე, საწარმოს მლობელთა საკუთრებაში რამდენი პროცენტი მოგება რჩება. ს.ს „საქართველოს ბანკის“ შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 2013-2014 წლებთან შედარებით კლებადობით ხასიათდება, ხოლო ბოლო ორ წელიწადში მისი მაჩვენებელი სტაბილურად 2,69 % -ს შეადგენს.

კიდევ ერთი საინტერესო ფინანსური რენტაბელობის მაჩვენებელია სააქციო კაპიტალის რენტაბელობა, რომელიც გვიჩვენებს აქციონერთა პოტენციურ შემოსავალს და მეტად საინტერესოა აქციონერებისათვის.

**ცხრილი 3.3.6 ს.ს „საქართველოს ბანკის“ საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის მაჩვენებელი**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
წმინდა მოგება (ათასი ლ.)	213,800	245,984	260,722	289,094	338,907
საკუთარი კაპიტალი	36,513	36,513	27,821	27,821	27,821
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის მაჩვენებელი	5.86	6.74	9.37	10.39	12.18


უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის მაჩვენებელი წლების განმავლობაში ზრდადობით ხასიათდება.

იგი ასახავს აქტივებში ავანსირებული ღირებულების ყოველ ერთ ლარზე, საწარმოს მფლობელთა საკუთრებაში რამდენი პროცენტი მოგება რჩება კაპიტალიდან. ზოგადად მიღებულია, რომ აღნიშნული მაჩვენებლის ოდენობა 15%-20% შორის მიმზიდველია ინვესტორებისათვის, თუმცა კოეფიციენტის სხვადასხვა ოპტიმალური ვარიაციები დამოკიდებულია დარგის საქმიანობაზე. აღნიშნული კოეფიციენტის ნაკლოვანება ისაა, რომ თუ კომპანიის ფინანსური სტრუქტურაში ვალდებულებები

არაპროპორციულადა წარმოდგენილი რაც იწვევს საკუთარი კაპიტალის მკვეთრად შემცირებას, მაშინ საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად გაიზრდება, შედეგად კოეფიციენტი რეალური სურათის ამსახველი აღარ იქნება, ამიტომ ინვესტორებმა აღნიშნული კოეფიციენტი იზოლირებულად არ უნდა განიხილონ.<sup>40</sup>

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2017 წელს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ (მოგების გადასახადის შემდეგ მოგება) 870 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2016 წლის მაჩვენებელზე 191 მლნ ლარით (28%-ით) მეტია. 2016 წელს ბანკების წმინდა მოგება 679 მლნ ლარი იყო. საქართველოში მოქმედი 16 კომერციული ბანკიდან 2017 წელს წმინდა მოგების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სწორედ ჩვენს საანალიზო ს.ს „საქართველოს ბანკს“ ჰქონდა .<sup>41</sup>

**გრაფიკი 3.3.2 სს „საქართველოს ბანკის“ წლიური მოგების დინამიკა**



დინამიკური ანალიზის შემდეგ საჭიროა მომგებიანობის მაჩვენებლებზე მოქმედი ფაქტორების გავლენის გამოთვლა. როგორც იცით, დეტერმინირებული ფაქტორული ანალიზის ჩატარებისათვის საანალიზო მაჩვენებელი დაშლილ უნდა იქნას მასზე მოქმედ

<sup>40</sup> ფინანსური ანალიზი - ი. ჭილაძე, თბილისი 2018 წ.

<sup>41</sup> <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2>

ფაქტორებად და მათი კავშირი წარმოდგენილ იქნეს ფორმულის ანუ მწკრივის სახით. ამასთან, რადგან მომგებიანობის ანუ რენტაბელობის მაჩვენებლები ფარდობითი მაჩვენებლებია, მათზე მოქმედი ფაქტორებიც ფარდობითი მაჩვენებლები უნდა იყოს.

ასე მაგალითად, აქტივების საერთო მომგებიანობა, რომელიც წლიური მოგების აქტივებთან ფარდობით გამოითვლება, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მასზე მოქმედი ფაქტორ-მაჩვენებლების შემდეგი მწკრივის სახით:

$$\text{წლ.მოგება/აქტივები} = \text{წლ.მოგება/შემოსავლებ} * \text{შემოსავალი/გაცემული სესხები} *$$

$$* \text{გაცემული სესხები/ძირით.საშ.} * \text{ძირით.საშ./აქტივები}$$

**ცხრილი 3.3.7 ს.ს. „საქართველოს ბანკის“ აქტივების საერთო მომგებიანობის მაჩვენებელთა სისტემა**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
წლის მოგება (ათასი ლ.)	213800	245984	260722	289094	338907
შემოსავალი (ათასი ლ.)	546172	512574	697022	739690	862054
გაცემული სესხები (ათასი ლ.)	7445578	6379965	5322887	4329795	3485407
ძირითადი საშუალებები (ათასი ლ.)	450773	529591	448102.5	308980.5	307871.5
ძირითადი აქტივები (ათასი ლ.)	6090257	7030768	8270423	9884676	11693261.5

ამ მაჩვენებელთა სისტემის საფუძველზე გავაკეთოთ ფაქტორული ანალიზი.

**ცხრილი 3.3.8 ს.ს „საქართველოს ბანკის“ აქტივების საერთო მომგებიანობის მაჩვენებელი**

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
წლიური მოგება/აქტივები	0.035	0.034	0.032	0.029	0.028
წლიური მოგება/შემოსავლები	0.391	0.48	0.374	0.391	0.393
შემოსავალი/გაცემული სესხები	0.07	0.08	0.13	0.17	0.25
გაცემული სესხები/ძირითადი საშ.	17.76	11.35	19.36	15.04	11.87
ძირითადი საშ./აქტივები	0.072	0.078	0.034	0.029	0.024

გამოთვლებიდან ჩანს, რომ აქტივების საერთო მომგებიანობის მაჩვენებელი შედარებით სტაბილურობით ხასიათდება. მართალია იგი 2015 წლიდან 2013-2014 წელთან შედარებით კლებულობთ თუმცა ეს კლება უმნიშვნელოა. მოცემული ფაქტორების გავლენის გასაზომად გამოვიყენოთ აბსოლუტური სხვაობის ხერხი :



**ცხრილი 3.3.9 ს.ს „საქართველოს ბანკის“ აქტივების საერთო მომგებიანობის ფაქტორული ანალიზი**

მაჩვენებლები	2016	2017	გადახრა
წლიური მოგება/აქტივები	0.029	0.028	<b>-0.001</b>
წლიური მოგება/შემოსავლები	0.391	0.393	0.002
შემოსავალი/გაცემული სესხები	0.17	0.25	0.08
გაცემული სესხები/ძირითადი საშ.	15.04	11.87	-3.17
ძირითადი საშ./აქტივები	0.029	0.024	-0.005
<b>მოქმედი ფაქტორების გავლენა:</b>			
I შემოსავლების მომგებიანობა	-	-	+ 0.00014834
II შემოსავალი/გაცემული სესხები	-	-	+ 0.01371686
III გაცემული სესხები/ძირითადი საშ.	-	-	-0.0090319
IV ძირითადი საშ./აქტივები	-	-	-0.0058333
<b>ფაქტორთა გავლენის ჯამი</b>			<b>-0.001</b>

ჩატარებული გამოთვლების შედეგად გაკეთდა შემდეგი დასკვნა : გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ აქტივების საერთო მომგებიანობის გადახრაზე მოქმედი განხილული ფაქტორებიდან ორმა ფაქტორმა დადებითი გავლენა მოხდინა, ორმა კი უარყოფითი. კერძოდ, გამომდინარე იქიდან რომ ბანკში შემოსავლების მომგებიანობა, შემოსავლებისა და გაცემული სესხების თანაფარდობა გაიზარდა ამან გამოიწვია აქტივების საერთო მომდებიანობის ზრდა 0,013 - ით , ხოლო ძირითადი საშუალებების აქტივებთან და გაცემული სესხების ძირითად საშუალებებთან თანაფარდობის კოეფიციენტის შემცირებამ გამოიწვია აქტივების საერთო მომდებიანობის ჯამურად 0,014 - ით შემცირება.

საანალიზო ბანკის შემთხვევაში, ს.ს „საქართველოს ბანკის: მოგებისა და მომგებიანობის მაჩვენებლები საანალიზო პერიოდში შედარებით სტაბილურობით ხასიათდება. მონაცემები ერთნაირი დინამიკით ხასიათდება 2013-2014 წლებსა და 2015-2017 წლებში. უნდა აღინიშნოს, რომ წლიური მოგების მაჩვენებელი ბოლო წლებში საგრძნობლად გაზრდილია, ეს არცაა გასაკვირი რადგან ბოლო პერიოდში ს.ს „საქართველოს ბანკის“ მიერ გაცემული სესხები რაოდენობა გაიზარდა და შესაბამისად ამან საბოლოო შედეგზეც გავლენა იქონია. აგრეთვე , ბანკის ფასიანი ქაღალდები განთავსებულია სხვადასხვა ფინანსურ ბირჟებზე რაც ბანკს „ფასს“ უფრო მეტად უზრდის.

## დასკვნა

ამრიგად წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში „ფინანსური სტაბილურობის ანალიზის აქტუალობა“ სს „საქართველოს ბანკის მაგალითზე“ შესწავლილ იქნა ფინანსური ანგარიშგების ანალიზის აქტუალობა კომერციულ ბანკებში. საკვლევ თემაზე მუშაობის პროცესში გაანალიზებულ იქნა ფინანსური ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. მისი მიზანია საწარმოს საქმიანობის შედეგების, ფინანსური მდგომარეობისა და ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელთა ფართო ფენას და დაეხმაროს მათ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. ანგარიშგებით დაინტერესებული სუბიექტები თავის მხრივ იყოფიან **ძირითად და დანარჩენ მომხმარებლებად**. იმისათვის, რომ ფინანსური ანგარიშგება იყო საიმედო იგი უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე ხარისხობრივ მახასიათებელს. ეს უკანასკნელი თავის მხრივ იყოფა :

- ძირითად ხარისხობრივ მახასიათებლად : შესაბამისობა, სამართლიანი წარდგენა;
- ხარისხობრივ მახასიათებლებად, რომლებიც ამაღლებენ ანგარიშგების სარგებლიანობას: შესადარისობა, შემოწმებადობა, დროულობა, აღქმადობა;

საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შედგება ხუთი კომპონენტისაგან, ესენი: ფინანსური მდგომარეობის ანგარუშება( ბალანსი), ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება (მოგება/ზარალი) , ფულადი ნაკადების ანგარიშგება, საკუთარი კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები. აქვე უნდა აღნიშნოთ ფინანსური ანგარიშგების ელემენტებიც: აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი და ხარჯები. თითოეული კომპონენტი კომანიის ფინანსური მაჩვენებლების ანალიზის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მათ საინფორმაციო ბაზაზე შესაძლებელია გამოთვლილ იქნას ისეთი მნიშვნელოვანი კოეფიციენტები როგორებიცაა აქტივების მომგებიანობა, მათ ბრუნვადობა, საკუთარი კაპიტალის უკუგება, საშუალება გვაქვს გამოვითვალოთ სხვადასხვა სტრუქტურული თუ დინამიკური მაჩვენებლები

რომლებიც მნიშვნელოვანი საფინანსო გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება ისევე როგორც მენეჯმენტს ასევე გარეშე დაინტერესებულ პირებს.

კვლევის პროცესში **ობიექტად** შერჩეულ იქნა საქართველოს საბანკო სექტორში ერთ-ერთი წამყვანი ბანკი სს „საქართველოს ბანკი“, საინფორმაციო ბაზად აღებულ იქნა მისი 2013-2017 წლების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ბანკი „დაფუძნდა 1994 წლის 21 ოქტომბერს, სააქციო საზოგადოების სახით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იგი იღებს დეპოზიტებს საზოგადოებისაგან და გასცემს კრედიტებს. ახორციელებს გადარიცხვებს, როგორც საქართველოს ფარგლებში ისე მის ფარგლებს გარეთ. ბანკი ემსახურება 2.3 მილიონ მომხმარებელს, აქვს საქართველოში სერვისცენტრების ერთ-ერთი ყველაზე ფართო ქსელი. იგი იღებს დეპოზიტებს საზოგადოებისაგან და გასცემს კრედიტებს. ახორციელებს გადარიცხვებს, როგორც საქართველოს ფარგლებში ისე მის ფარგლებს გარეთ ანალიზური მეთოდების საშუალებით გამოთვლილ იქნა ისეთი მაჩვენებლები, რომელმაც ბანკის საქმიანობის შეფასებისა და მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა.

კვლევამ აჩვენა, რომ საანალიზო პერიოდში ბანკის მიერ გცემული სესხების ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში სტაბილურობით ხასითდება. ზოგადად ამ კოეფიციენტის დიაპაზონი 0,53-0,78 - მდე მერყეობს, საანალიზო ბანკის კოეფიციენტი კი ბოლო სამი წლის განმავლობაში არ შეცვლილა და 0,59 -ია. დამაკმაყოფილებელია გაცემული სესხების წილი საკუთარ კაპიტალში, რომელიც საკრედიტო პოლიტიკის რისკიანობას ახასიათებს. როგორც ცნობილია, თუ ამ მაჩვენებლის, მნიშვნელობა 8 ზე მეტია ეს მიუთითებს იმაზე, რომ ბანკს საკრედიტო საქმიანობისათვის საკუთარი კაპიტალის უკმარისობა გააჩნია. სს „საქართველოს ბანკის“ შემთხვევაში ამ კოეფიციენტს 5,04-სთვის არ გადაუჭარბებია. რაც რასაკვირველია დამაკმაყოფილებელი შეგედა. რაც შეეხება სასესხო დავალიანებების ბრუნვადობის კოეფიციენტს საანალიზო პერიოდში ისიც ზრდადობით ხასიათდება. ბალანსისი ყველაზე ლიკვიდური ელემენტი ფული და ფულის ეკვივალენტების წილი 2015 წლიდან მთლიან აქტივებში მცირდება, რაც არც თუ ისე კარგია თუმცა ეს შემცირება მაქსიმუმ 0,2 ერთეულია რაც საგანგაშო არ არის. ბალანსში არამატერიალური

აქტივების ხვედრითი წილი მთლიან აქტებში 2013-2014 წლებთან შედარებით კლებადობით ხასიათდება.

სს „საქართველოს ბანკის“ ფასიანი ქაღალდები სხვადასხვა საფონდო ბირჟებზე განთავსებული, შესაბამისად ბოლო წლებში გაზრდილია საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების წილი მთლიან აქტივებში რაც ინვესტიც მხრივ სასარგებლო და მისასალმებელია.

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი საანალიზო პერიოდის განმავლობაში შემცირების ტენდენციით ხასიათდება ხასიათდება, რაც არც თუ ისე კარგია. ლიკვიდურობა მიგვანიშნებს იმაზე თუ რამდენად შეუძლია ბანკს დაფაროს მისი მიმდინარე ვალდებულებები და შეძლოს სესხების გაცემის ზრდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შეიჩნევა ფულისა და ფულის ეკვივალენტების შემცირების ტენდენცია შესაბამისად შემცირდებოდა აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტიც , რომლის გამოთავლელადაც ვიყენებთ ისეთ მაჩვენებლებს როგორებიცაა: ფული და ფულის ეკვივალენტები, მიმდინარე ვალდებულებები.

ბალანსის პასივების ანალიზისას გამოვლინდა მენაბრეთა წინაშე ვალდებულებების ზრდის ტენდენცია. გამონაკლისია მხოლოდ 2016 წელი , ამ დროს 2015 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 4 % -ით არის შემცირებული. პასივების ხარისხის ანალიზის ერთ-ერთი გავრცელებული კოეფიციენტია ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი. მისი ოპტიმალური მნიშვნელობა 0,2-0,35 ინტერვალშია. იგი ბანკის საიმედოობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა. სს „საქართველოს ბანკის“ შემთხვევაში ამ კოეფიციენტის ინტერვალია 0,81-0,88 .

კლებადობით ხასიათდება სავალო ფასიანი ქაღალდების ხვედრითი წილი მთლიან პასივებში. რაც შეეხება საკუთარი კაპიტალის ხვედრით წილს აქტივებში, რომელიც მიჩნეულია რომ 0,08-0,15 ინტერვალში უნდა იყოს, სს „საქართველოს ბანკისათვის 0,12-0,19 ინტერვალშია. თუ ეს მაჩვენებელი 8 % ზე ნაკლები აღმოჩნდა შეიძლება ვივარაუდოთ რომ ბანკი გაკოტრების წინაშეა. ჩვენი გამოთვლებით ცალსახაა, რომ საანალიზო ბანკს გაკოტრების საფრთხე ნამდვილად არ ემუქრება. კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 13,20%- 16,90% ინტერვალში მერყეობს , ხოლო მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი სტაბილურად 8%-ია.

შემოსავლების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ გაზრდილია საპროცენტო შემოსავლების რაოდენობა. ეს არცაა გასაკვირი რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ გაზრდილია გაცემული სესხები ოდენობა. აგრეთვე, ზრდადობით ხასიათდება საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე. სს „საქართველოს ბანკი“ საპროცენტო შემოსავალს იღებს ისეთი პოზიციებიდან, როგორცაა : კლიენტებზე გაცემული სესხები, გასაყიდად არსებული საინვესტიციო ქონება, მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან. 2015 წლიდან შემოსავლების მუხლებში ყველაზე მეტი წილი უკავია წმინდა საპროცენტო შემოსავლებს. ხარჯების ანალიზისას გამოვლინდა მენაბრეთა წინაზე ვალდებულებებზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წილის შემცირება საპროცენტო ხარჯებში. თუმცა გაზრდილია ზოგადად საპროცენტო ხარჯების მაჩვენებელი. როგორც ბანკის კონსოლიდირებული ანგარიშგებისან ჩანს ზრდადობით ხასიათდება საკრედიტო რისკის ღირებულებაც. რაც შეეხება საოპრაციო ხარჯებს იგი მერყეობით ხასიათდება, ყველაზე დიდი მაჩვენებელი 2017 წელს 323 369 (ათასი ლ) ფიქსირდება. მასში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი თანამშრომლებზე გაწეულ ხარჯებს უკავია. მერყევია 1 ლარ დანახარჯზე შემოსავლის მაჩვენებელიც, 2017 წელს 2016 წელთან შედარებით იგი შემცირებულია და 2,40 -ია.

მოგებისა და მომგებიანობის ანალიზის შედეგად გამოვლინდა აქტივების მომგებიანობის მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია, შემცირებულია კაპიტალის უკუგების კოეფიციენტიც . სს „საქართველოს ბანკის“ აქტივების ფინანსური რენტაბელობის მაჩვენებლები ყველაზე მაღალია 2013-2014 წლებში და იგი 3,26 -ს შეადგენს. 2015 წელს კოეფიციენტმა 2,90 - მდე დაიწია , ხოლო 2016-2017 წლებში 2,69 - ია. ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს აქტივებში ავანსირებული ღირებულების ყოველ ერთ ლარზე, საწარმოს მფლობელთა საკუთრებაში რამდენი პროცენტი მოგება რჩება კაპიტალიდან. რაც შეეხება საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის მაჩვენებელს, რომელიც გვიჩვენებს აქციონერთა პოტენციურ შემოსავალს, მისი პროცენტული მნიშვნელობა საანალიზო პერიოდში იზრდება. აგრეთვე ზრდადობით ხასიათდება აღებული ვალდებულებები და საპროცენტო ხარჯები მაგრამ მათი ზრდის ტემპი ჩამორჩება გაცემული სესხების და საპროცენტო შემოსავლების ზრდის ტემპებს.

ანალიზმა აჩვენა, რომ შემცირების ტენდენციით ხასიათდება აქტივების მომგებიანოდისა და კაპიტალის უკუგების კოეფიციენტები.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შემუშავებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია მოხდეს აქტივებში ფულისა და ფულის ეკვივალენტები ხვედრითი წილის ზრდა, რაც თავის მხრივ გაზრდის აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტს;
- გაუმჯობესდეს აქტივების მართვისა კონტროლის ხარისხი;
- გაუმჯობესდეს ხარჯების მართვის ხარისხი;
- მეტი ყურადღება მიექცეს რისკების მართვის პოლიტიკას .

## გამოყენებული ლიტერატურა

1. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. – „თანამედროვე საბანკო საქმე : თეორია და პრაქტიკა“ , თბილისი, 2014 წელი ;
2. ჭილაძე იზოლდა - „ფინანსური ანალიზი“ , სახელმძღვანელო, თბილისი, 2018 წელი;
3. ჭილაძე იზოლდა - „ბუღალტრული აღრიცხვა კომერციულ ბანკებში“, თბილისი 2016 წელი;
4. ხაჯომია ნინო - „საქართველოს კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის ანალიზი გარადამავალი ეკონომიკის პირობებთან ადაპტირებული მოდელით“; საბანკო სისტემა; 47-50 გვ.
5. ჯიქია მერაბ - „ეკონომიკური ანალიზი“ , თბილისი 2018 წელი;
6. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ თავი 1-2 , მუხლი : 3-16 , თბილისი 2009 N 1676-IIს
7. „საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ ,თბილისი 2009 წელი;
8. "კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს N117\_04 ბრძანება;
9. "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის N92\_04 ბრძანება;
10. სს “საქართველოს ბანკის” და მისი შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
11. ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 13 იანვარის ბრძანება №7;
12. ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები , აღიარება, შეფასება , მუხლი 39
13. ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
14. კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება - დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 17

სექტემბრის N 237 ბრძანებით. (შეტანილია ცვლილება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2003 წლის 23 დეკემბრის N 298 ბრძანებით)

15. <https://www.bloomberg.com/europe;>
16. <https://bankofgeorgia.ge/>
17. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2> - კომერციული ბანკების წლიური ფინანსური ანგარიშგებები;
18. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3772749> - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №117/04, 2017 წლის 10 აგვისტო;
19. <https://www.equitymaster.com/detail.asp?date=03/08/2010&story=2&title=Key-ratios-related-to-banks-balance-sheets> - Key ratios related to banks' balance sheets;
20. <https://corporatefinanceinstitute.com/resources/knowledge/modeling/projecting-balance-sheet-line-items/> - Balance Sheet Forecast items;
21. <https://www.uba.org/userfiles/EDP%202013/Complete%20Handouts.pdf> - Understanding Bank Financial Statements, UTAH Bankers Association, February 2013;
22. <https://www.investopedia.com/articles/stocks/07/bankfinancials.asp> - Analyzing A Bank's Financial Statements
23. <https://www.ukessays.com/dissertation/literature-review/banking/literature-review-on-the-profitability-of-banks.php> - Literature Review on bank profitability, Essays UK, November 2018



## დანართი

### დანართი 1 : ს.ს „საქართველოს ბანკის“ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში (ათას ლარში)

	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
<b>აქტივები</b>					
ფული და ფულის ეკვივალენტები	1049069	709 861	1 376 782	1 487 170	1 501 654
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	347 261	418 502	718 677	940 485	1 216 343
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	519 623	769 712	902 240	1 283 902	1 613 759
კლიენტებზე გაცემული სესხები	3 485 407	4 329 795	5 322 887	6 379 965	7 445 578
მოთხოვნები ფინანსური ოჯარიდან	45 606	38 519	14 010	13 096	65 306
საინვესტიციო ქონება	157 707	190 860	135 453	152 596	202 534
წინასწარი გადახდები	25 416	33 503	17 662	12 452	55 953
ძირითადი საშუალებები	470 669	588 513	307 692	310 269	305 474
არამატერიალური აქტივები	26 434	34 432	30 669	35 814	50 948
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	-	-	-	9 626	11 031
გუდვილი	48 720	49 633	33 453	33 453	33 453
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივები	4 552	4 215	988	18 505	696
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები	14 544	18 530	12 106	194	130
სხვა აქტივები	329 226	351 226	130 926	88 280	117 857
<b>მთლიანი აქტივები</b>	<b>6 524 234</b>	<b>7 537 301</b>	<b>9 003 545</b>	<b>10 765 807</b>	<b>12 620 716</b>
<b>ვალდებულებები</b>					
ვალდებულებები მესაზღვრეთა წინაშე	3 117 757	3 473 429	5025677	5773512	7 123 866
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	1 157 979	1 409 213	1677587	3468353	3 162 209
სავალო ვალდებულებების სახით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები	728 117	856 695	940945	177271	749 655
მიმდინარე მოგების გადასახადი	2 928	11 093	9658	-	8 753
გადავადებული მოგების გადასახადი	66 100	86 471	79497	22242	11 342
რეზერვები	481	4 732	2254	3380	2 815
სხვა ვალდებულებები	206 557	234 581	43320	55103	80 157
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>5 279 919</b>	<b>6 076 214</b>	<b>7 778 938</b>	<b>9 499 861</b>	<b>11 138 797</b>
<b>კაპიტალი</b>					
სააქციო კაპიტალი	36 513	36 513	27 821	27 821	27 821
დამატებით შეტანილი კაპიტალი	570 185	611 238	297 300	216 030	141 154
სახაზინო აქციები	-2 428	-1 522	-3	-9	0
სხვა რეზერვები	22 733	31 211	-7040	25 685	10 212
გაუნაწილებელი მოგება	563 407	728 839	893520	981 815	1 302 741
<b>ბანკის აქციონერებს მიკუთვნილებული მთლიანი კაპიტალი</b>	<b>1 190 410</b>	<b>1 406 279</b>	<b>1 211 598</b>	<b>1 251 342</b>	<b>1 481 928</b>
კონტროლის არმქონეთა წილი	53 905	54 808	13009	14 604	-
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>1 244 315</b>	<b>1 461 087</b>	<b>1 224 607</b>	<b>1 265 946</b>	<b>1 481 928</b>
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	<b>6 524 234</b>	<b>7 537 301</b>	<b>9 003 545</b>	<b>10 765 807</b>	<b>12 620 725</b>
წყარო: კომერციული ბანკების წარმომადგენლის (NBG)					

დანართი 2 : ს.ს „საქართველოს ბანკის“ კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება

	2013	2014	2015	2016	2017
<b>საპროცენტო შემოსავალი</b>					
კლიენტებზე გაცემული სესხები	522847	555288	783514	806641	965614
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	35371	39988	69407	90589	113276
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	8423	5119	9588	7933	17031
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	7466	2327	2834	2879	9464
	<b>574107</b>	<b>602722</b>	<b>865343</b>	<b>908042</b>	<b>1105385</b>
<b>საპროცენტო ხარჯი</b>					
ვალდებულებები მესაზღვრეთა წინაშე	-159 028	-134838	-191155	-194029	-221410
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	-100585	-54764	-101205	-137248	-195594
სავალო ვალდებულებების სახით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები	0	-59090	-66926	-41583	-43834
	<b>-259 613</b>	<b>-248 692</b>	<b>-359 286</b>	<b>-372 860</b>	<b>-460 838</b>
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო განაკვეთიანი სვოპებიდან (დანაკარგებიდან) მოგებამდე</b>	<b>314 494</b>	<b>354 030</b>	<b>506 057</b>	<b>535 182</b>	<b>644 547</b>
წმინდა(დანაკარგი) მოგება საპროცენტო განაკვეთიანი სვოპებიდან	-398	0	0	0	0
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>314 096</b>	<b>259 030</b>	<b>506 057</b>	<b>535 182</b>	<b>644 547</b>
შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან	115106	129043	157529	168386	191000
გასამრჯელო და საკომისიო ხარჯი	-27992	-42885	-52435	-58496	-74730
<b>წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან</b>	<b>87114</b>	<b>86158</b>	<b>105094</b>	<b>109890</b>	<b>116270</b>
წმინდა გამომუშავებული სადაზღვევო პრემიები	129993	0	0	0	0
წმინდა სადაზღვევი მოთხოვნები	-84660	0	0	0	0
<b>წმინდა სადაზღვევო შემოსავალი</b>	<b>45333</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>
ჯანდაცვიდან შემოსავალი	60013	0	0	0	0
ჯანდაცვის მომსახურების ღირებულება	-37644	0	0	0	0
<b>სულ ჯანდაცვიდან შემოსავალი</b>	<b>22369</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>
საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი	42252	0	0	0	0
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	-29760	0	0	0	0
<b>საქონლის გაყიდვიდან წმინდა შემოსავალი</b>	<b>12492</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>
უძრავი ქონებიდან წმინდა შემოსავალი	0	5600	11831	8631	5679
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული წმინდა მოგება	3097	93	73	2162	2060
წმინდა ზარალი სხვა წარმოებული ფინანსური ინსტიტუტებიდან	0	0	0	-634	1478
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული წმინდა მოგება	9788	0	6388	-1221	7336
უცხოური ვალუტიდან მიღებული წმინდა მოგებ(ზარალი)					
გაჭრობიდან	46330	44599	64561	65461	66502
საჯურსო სხვაობები	-2318	13135	1257	18307	19238
სხვა საოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)	7871	3959	1761	1912	-1056
<b>სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი</b>	<b>64768</b>	<b>67386</b>	<b>85871</b>	<b>94618</b>	<b>101237</b>
<b>შემოსავალი</b>	<b>546172</b>	<b>512574</b>	<b>697022</b>	<b>739690</b>	<b>862054</b>
ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისთვის	-133 773	-116996	-139141	-153760	-186885
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-57916	-51680	-67239	-75534	-95007
ცვეთა და ამორტიზაცია	-26572	-23494	-31520	-34883	-38414
სხვა საოპერაციო ხარჯები	-3564	-2293	-2855	-3425	-3063
<b>საოპერაციო ხარჯები</b>	<b>-221 825</b>	<b>-194 463</b>	<b>-240 755</b>	<b>-267 602</b>	<b>-323 369</b>
<b>საოპერაციო მოგება საკრედიტო რისკის ხარჯამდე</b>	<b>324347</b>	<b>318111</b>	<b>456267</b>	<b>472088</b>	<b>538685</b>
გაუფასურების ხარჯი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე	-41499	-45087	-142814	-155366	-156558
გაუფასურების ხარჯები ფინანსური იჯარიდან	-2809	76	-1615	-161	-475
გაუფასურების რეზერვი სხვა აქტივებზე და მარაგებზე	0	-9568	-6013	-5616	-11316
გაუფასურების ხარჯის უკუგატარება აქტივებსა და მარაგებზე	-17494	0	0	0	0
<b>საკრედიტო რისკის ღირებულება</b>	<b>-61802</b>	<b>-54579</b>	<b>-150442</b>	<b>-161143</b>	<b>-168349</b>
<b>მოგება გაგრძელებული ოპერაციებიდან საშემოსავლო გადასახადის დანახარჯამდე</b>	<b>249712</b>	<b>252100</b>	<b>295166</b>	<b>261776</b>	<b>366747</b>
მოგების ხარჯებზე გადასახადი	0	0	0	0	0
საშემოსავლო გადასახადის დანახარჯები	-35912	-30272	-42722	27318	-27840
<b>მოგება გაგრძელებული ოპერაციებიდან</b>	<b>213800</b>	<b>221828</b>	<b>252444</b>	<b>289094</b>	<b>338907</b>
<b>მოგება წლის განმავლობაში</b>	<b>213800</b>	<b>245984</b>	<b>260722</b>	<b>289094</b>	<b>338907</b>
<b>განკუთვნილი</b>					
ჯგუფის აქციონერებისათვის	206748	238644	257628	287945	338761
კონტროლის არმქონეთა წილისათვის	7052	7340	3094	1149	146
<b>წლის მოგება</b>	<b>213800</b>	<b>245984</b>	<b>260722</b>	<b>289094</b>	<b>338907</b>